ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
22 მაისი ოთხშაბათი 2013
№118 (14 034) ფასი 80 თეთრი

# დინამო დუბლს უმიზნებს, ჩიხურა პირველ ტიტულს

დინამო (თბ) ჩიხურა




ფინალის წინათქმა 2-3

ეროვნული ნაკრები

## შეკრება დაიწყო, ქეცბაიამ 28 შეარჩია


თემურ ქეცბაია

საქართველოს ეროვნული ნაკრები მოახლოებული ამხანაგური მატჩებისთვის მზადებას უკვე შეუდგა. ჩვენი გუნდი 2 ივნისს სტუმრად ირლანდიას შეხვდება, ხოლო 5 ივნისს ასევე გასვლით პაექრობაში დანიის ნაკრებს დაუპირისპირდება.

სფფ-ის ვებგვერდის ცნობით, საქართველოს ნაკრების თავკაცმა **თემურ ქეცბაიამ** შეკრებაზე 28 ფეხბურთელი გამოიძახა:

მეკარეები: **გიორგი ლორია** (დინამო, თბილისი), **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი), **ომარ მიგინეიშვილი** (ტორპედო, ქუთაისი), **გიორგი მაკარიძე** (ლე მანი, საფრანგეთი);

მცველები: **უჩა ლობჟანიძე** (კრივბასი, უკრაინა), **ზურაბ ხიზანიშვილი** (ქაისერისფორი, თურქეთი), **ალექსანდრე ამისულაშვილი** (კრასნოდარი, რუსეთი), **დავით კვირკველია**, **გულვერდ თომაშვილი** (ორივე - დილა, გორი), **გურამ კაშია** (ვიტესი, ჰოლანდია), **გიორგი ფოფხაძე** (ბაქი, აზერბაიჯანი), **აკაკი ხუბუტია** (მორდოვია, რუსეთი), **სოლომონ კვირკველია** (რუბინი, რუსეთი);

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი**, **ლევან ყენია** (ორივე - კარპატი, უკრაინა), **ჯაბა კანკავა**, **ალექსანდრე კობახიძე** (ორივე - დნიპრო, უკრაინა), **ჯანო ანანიძე** (სპარტაკი მ. რუსეთი), **თორნიკე ოქრიაშვილი**, **დავით თარგამაძე** (ორივე - ილიჩევეცი, უკრაინა), **მერაბ გიგაური**, **ელგუჯა გრიგალაშვილი** (ორივე - ტორპედო, ქუთაისი), **ირაკლი მაისურაძე** (დილა, გორი), **ირაკლი ძარია** (დინამო, თბილისი), **დავით დევდარიანი** (ორჰუსი, დანია), **თორნიკე გორგიაშვილი** („ზესტაფონი");

თავდამსხმელები: **ნიკოლოზ გელაშვილი** (ბოხუმი, გერმანია), **ლევან მჭედლიძე** (ემპოლი, იტალია).

ყველაზე თვალშისაცემი ის არის, რომ სანაკრებო სიაში ვერ მოხვდა პოლონური "ლეგიას" თავდამსხმელი **ლადო დვალიშვილი**.

ნაკრებმა მზადება არასრული შემადგენლობით დაიწყო. ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" მთავარი მწვრთნელის მეთვალყურეობით ვარჯიშობენ **ომარ მიგინეიშვილი, როინ კვასხვაძე, გიორგი ფოფხაძე, თორნიკე გორგიაშვილი, ელგუჯა გრიგალაშვილი, დავით კვირკველია, ირაკლი მაისურაძე, გულვერდ თომაშვილი** და **გურამ კაშია**.

დღეს ნაკრებს შეუერთდება ნიკოლოზ გელაშვილი. ხვალიდან შეკრებას დაიწყებენ დინამოელები, **გიორგი ლორია** და **ირაკლი ძარია**, სრული შემადგენლობით კი ჩვენი ეროვნული გუნდი 27 მაისიდან ივარჯიშებს. საქართველოს ნაკრები ირლანდიაში 29 მაისს, ჩარტერული რეისით გაფრინდება და ქეცბაია თან მხოლოდ 24 ფეხბურთელს იახლებს.

ირლანდია-საქართველო 2 ივნისს, დუბლინში, სტადიონ "ავივაზე" გაიმართება, ხოლო დანიის ნაკრები ქართველებს 5 ივნისს, ოლბორგის "ნორდისკ არენაზე" უმასპინძლებს.

ლევან ჯანეზაშვილი

# გათანაბრდა

ოლიმპი-აკადემია 1:1


12
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# გალამ გაილაღა

მარკოიშვილი ნახევარფინალშია


12
მანუჩარ მარკოიშვილი

# კალაძის მეგობრების გუნდი თითქმის დასახელდა

4



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩიხურა



სოსო ფრუიძე — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## სოსო ფრუიძე: გვაქვს თავისუფლება და შევუტევთ

როგორც უნდა დასრულდეს დღევანდელი ფინალი, საჩხერის „ჩიხურა" ამ სეზონში უდავოდ წარმატებული გუნდი გამოდგა - უმაღლეს ლიგაში ალზევ-და თუ არა, ევროპა ლიგაზე თამაშის უფლება მოიპოვა.

დღეს „ჩიხურა" საქართველოს ყველაზე ტიტულოვან გუნდს დაუპირისპირდება და შეიძლება ითქვას, რომ ფინალს ფავორიტი ჰყავს, თუმცა ზოგი ფინალი ისეთია, მოულოდნელად რომ ვითარდება პერიპეტიები.

გუშინ „ჩიხურამ" მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ივარჯიშა. სოსო ფრუიძემ ფეხბურთელები დიდად არ დატვირთა, მატონიზებულ ვარჯიშში ტაქტიკური ელემენტები ვერ დავინახეთ. რაც შესამჩნევი იყო, „ჩიხურას" ფეხბურთელების სილაღე გახლდათ, ფინალის ვერმოგების შემთხვევაში ხომ მათ ვერავინ დაძრახავს.

ვარჯიშამდე „ჩიხურას" დამრიგებელმა ფრუიძემ პრესკონფერენცია გამართა.

- ცხადია, ფინალშიც წარმატების მიღწევა გვსურს, გავალთ მოედანზე და თავისუფლად ვითამაშებთ. ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავს, „დინამო" ყველანაირად შეეცდება, რომ ამ სეზონში დუბლი შეასრულოს. „ჩიხურას" სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, ფინალის შემდეგ შევხვედრები კლუბის ხელმძღვანელობას და დავსახავთ გეგმას.

**- „ჩიხურა" ფინალს უდანაკარგოდ ვერ შეხვდება...**

- ამ მატჩისთვის არ გვეყოლებიან დავით ოდიკაძე და გიორგი რეხვიაშვილი (ისინი „დინამო თბილისისგან" ინათხოვრა „ჩიხურამ" და შეთანხმების თანახმად, თავიანთი კლუბის წინააღმდეგ თამაშის უფლება არ აქვთ - რედ.), კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ნიკა კვასხვაძის თამაში, მას ტრავმა აწუხებს. ამ ფინალისთვის დისკვალიფიცირებულნი იყვნენ დავით ბოლქვაძე და ედიკ საჯაია, მაგრამ „დინამომ" გვიშუამდგომლა ფეხბურთის ფედერაციასთან და ამ ფეხბურთელებს ფინალში თამაშის ნება დართეს. ცხადია, რომ არა „დინამოს" პოზიცია, ეს მოთამაშეები ფინალში არ გვეყოლებოდნენ.

**- მეტოქეზე რას გვეტყოდით, უფრო რა განაპირობებს „დინამოს" ძალას - ცალკეული ფეხბურთელების ოსტატობა თუ გუნდური თამაში?**

- „დინამოს" მართლაც კარგი შემსრულებლები ჰყავს, განსაკუთრებით შეტევაში ინდივიდუალურად კარგი თამაშით აღწევს ეს გუნდი წარმატებას.

**- და ასეთ მოწინააღმდეგესთან რის ხარჯზე შეუძლია „ჩიხურას" წარმატების მიღწევა?**

- ვნახოთ, ვიბრძოლებთ, დაცვაში არ ჩავჯდებით, შეტევაში აქტიურად თამაშს ვაპირებთ, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რამდენად მოგვცემს მეტოქე ამის საშუალებას.

**- ისეთი შეგრძნებაა, თითქოს „დინამოს" უკვე მოგებული აქვს ეს ფინალი...**

- მე არ მაქვს ასეთი შეგრძნება. „დინამოსთან" თამაშის არანაირი კომპლექსი არ გაგვაჩნია. ამ სეზონში „დინამოს" უკვე მეხუთედ ვეთამაშებით. ის ამოცანა, რაც სეზონის წინ გვქონდა, უკვე შევასრულეთ, ასე რომ, ამ შეხვედრაში თავისუფლად ვიმოქმედებთ.

**- საჩხერიდან მოდიან გულშემატკივრები „ჩიხურას" მხარდასაჭერად?**

- გულშემატკივრები ჩამოვლენ, გარდა ამისა, თბილისში ბევრი საჩხერელი ცხოვრობს და მათი მხარდაჭერის იმედიც გვაქვს.

**- პრემიერ-მინისტრი არ აპირებს საქომაგოდ მოსვლას?**

- არა მგონია...

დავით თავართქილაძე

## დუშან უჰრინი: ...რა ტაქტიკით ვითამაშებთ?

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის ფინალის წინადღეს მეტოქე გუნდებს მატჩისწინა ვარჯიშები "მიხეილ მესხის" სტადიონზე უნდა გაემართათ, ვაკის სტადიონის მედიაცენტრში კი მთავარ მწვრთნელებს - წინასამატჩო პრესკონფერენციები. მაგრამ "დინამომ" გეგმები შეცვალა - ფეხბურთელებმა დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ივარჯიშეს და ჟურნალისტების შეკითხვებსაც უპასუხეს. "დინამოს" მთავარ მწვრთნელს, **დუშან უჰრინს** ორიოდე კითხვა დავუსვით და მალე ვარჯიშიც დაიწყო:

- გუნდში მშვენიერი განწყობაა. ჩემპიონებიც გავხდით, ბოლო ტურში "ზესტაფონსაც" მოვუგეთ და ახლა თასის მოპოვებაც გვსურს. მატჩის მნიშვნელობაზე არაფერს ვიტყვი – ისედაც ყველასათვის გასაგებია, რომ ფინალი ფეხბურთელებისა და გულშემატკივრისთვის ბევრს ნიშნავს. "დინამოს" კი ყველა ტიტულის მოპოვება სურს. საქართველოს თასს თუ დავეუფლებით, ეს ჩვენთვის სეზონში მეორე ტიტული იქნება. ამიტომ მაქსიმალურად კონცენტრირებული ვართ და ბოლომდე დავიხარჯებით, სეზონი მოგებით რომ დავასრულოთ.

**- მიკელ ალვაროს გარდა, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად არის და თამაშისთვის ემზადება?**

- დიახ, ყველა დანარჩენი სათამაშოდ მზად არის. ალვაროს ტრავმა კი ძალიან სამწუხაროა. "ზესტაფონთან" შეხვედრამდე ვარჯიშზე დაშავდა და ძალიან დაგვაკლდება.

**- "დინამო" წლეულს ტაქტიკას არ ცვლიდა. ამჯერად რაიმე სიურპრიზს უნდა ველოდოთ?**

- ჩვენ იმ ტაქტიკით ვითამაშებთ, რაც მოსაგებად იქნება საჭირო. თამაშამდე სხვას ვერაფერს ვიტყვი.

მერაბ მამულაშვილი



დუშან უჰრინი

საქართველოს თასი. ფინალი. წინათქმა

# დღევანდელი მეტოქეები და განსაკუთრებული ფაქტები

### დინამო

საქართველოს ყველაზე ტიტულიანი გუნდისათვის ეს სეზონი მართლაც გამორჩეულია: თბილისის „დინამომ" ხუთწლიანი პაუზის მერე შეძლო ოქროს მედლების მოპოვება! თუმცა, „დინამოს" ხელმძღვანელობასა თუ მწვრთნელ-ფეხბურთელებს ასე ნანატრი ჩემპიონობა ჯერ არ „დაუსველებიათ": გუნდს დღეს ხომ საქართველოს თასის ფინალი აქვს სათამაშო და წარმატების შემთხვევაში, „დუბლიც" შესრულდება და ასეთი ტრიუმფული სეზონის აღსანიშნავ საზეიმო სუფრაზე, ალბათ, „განსხვავებულების" რაოდენობაც მოიმატებს...

...„დუბლი" ვახსენეთ და ასეთ წარმატებას „დინამომ" უკანასკნელად 2003 წელს მიაღწია: **ივო შუშაკის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა ჩემპიონატშიც გაიმარჯვა და თასიც მოიგო. აი, ამის მერე იყო, „დინამომ" მხოლოდ ერთხელ რომ შეძლო თასის მოპოვება (2009 წელს, **კახა კაჭარავას** ხელმძღვანელობით), თორემ მანამდე „დუბლის" შესრულება მართლაც ჩვეულებრივ ამბად აღიქმებოდა. თავად განსაჯეთ: 1992-97 წლებში „დინამომ" ზედიზედ ხუთჯერ შეასრულა „დუბლი"! აქვე, იმასაც შეგახსენებთ, რომ „დინამომ" ამ წარმატებას სამჯერ მიაღწია **დავით ყიფიანის**, ორჯერ - **გივი ნოდიას**, ერთხელ კი - **რევაზ ძოძუაშვილის** ხელმძღვანელობით. ცნობისათვის: „დინამოს" გარდა „დუბლი" მხოლოდ ერთ გუნდს აქვს შესრულებული - 2001 წელს, ქუთაისის „ტორპედო" საქართველოს ჩემპიონიც გახდა და თასიც მოიპოვა.

... ისე როგორც ჩემპიონატში, „დინამო" საქართველოს თასის გათამაშების რეკორდსმენიცაა: გუნდი თერთმეტჯერ იყო ფინალში გასული, სადაც ცხრაჯერ გაიმარჯვა და ორჯერ დამარცხდა. რაც შეეხება ამ სეზონს, **დუშან უჰრინის** გუნდს საწყის ორ ეტაპზე პრობლემები არ შექმნია: სტუ-სა და ფოთის „კოლხეთის" კარში „დინამომ" 18 გოლი გაიტანა. ერთი შეხედვით, არც მეოთხედფინალში უნდა გასჭირვებოდა გუნდს, რამეთუ მეტოქედ პირველი ლიგის წარმომადგენელი შეხვდა. თუმცა, „დინამოსა" და „გურიას" ის ორრაუნდიანი დაპირისპირება თასის ამ გათამაშების მშვენებად უნდა მივიჩნიოთ! ლანჩხუთში ჩატარებულმა პირველმა მატჩმა გადაჭედილი ტრიბუნების წინ ჩაიარა და პირველი ლიგის მართლაც დამსახურებულმა ლიდერმა „გურიამ" ტოლი არაფერში დაუდო მრისხანე მეტოქეს. „გურიას" სიძლიერე საპასუხო შეხვედრაშიც დამტკიცდა, არადა მატჩის დასაწყისშივე **გიორგი მერებაშვილმა** ზედიზედ 2 გოლი რომ გაიტანა, ყველას ყველაფერი დამთავრებული ეგონა. ყველას, გარდა მეტოქისა: „გურიამ" ერთი ბურთი პირველ ტაიმშივე გაქვითა, მეორე ტაიმში კი ბევრად უფრო გააქტიურდა და ეფექტური კომბინაცია არანაკლებ ეფექტური თავური დარტყმით **გიგა კვერენჩხილაძემ** დაგვირგვინა! ამ დროს კი, ძირითადი დროის დამთავრებამდე ბევრი არაფერი რჩებოდა; ანუ სეზონის მთავარ სენსაციასაც არაფერი უკლდა, მაგრამ მარცხენა ფლანგიდან **დარკო გლიშიჩის** ყოვლად „უწყინარ პარაშუტს" ალღო ვერ აუღო სტუმართა მეკარე **გიორგი ძაძამიამ** და მისი ავტოგოლის წყალობით „დინამომ" ნახევარფინალში გააღწია. იქაც არანაკლებ მოტივირებული მეტოქე ჰყავდა და რუსთავში ჩატარებულმა პირველმა მატჩმაც დაამტკიცა „სათასო კაპრიზები": ცოტა არ იყოს უცნაური სცენარით წარმართულ შეხვედრაში „მეტალურგმა" მოიგო (2:1). ამ მარცხის ერთ-ერთ მიზეზად ქარიანი ამინდი დასახელდა. სამაგიეროდ საპასუხო შეხვედრაში კლიმატური პირობები აშკარად „საფეხბურთო" იყო და დინამოელებმაც ერთი-მეორეზე ლამაზი გოლებით ერთგული ქომაგებიც გაახარეს და, რაც მთავარია, სამწლიანი პაუზის მერე ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს! ისე, „ჩიხურას" უკანახაზელებსა თუ მეკარეს დღეს სერიოზული გამოცდა ელით: ბოლო ოთხი შეხვედრაა, „დინამოს" ოთხ ბურთზე ნაკლები არ გააქვს მეტოქეთა კარში!



შარშანდელი ფინალი სკანდალური გამოდგა — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

### ფეხბურთელები

თბილისის „დინამოს" ლეგიონერთა აბსოლუტური უმრავლესობა პირველად იასპარეზებს საქართველოს თასის ფინალში; ასე რომ, **ჩისკოს, მიკელ ალვაროს, კარლეს კოტოს, უსტარიცს** (ყველა - ესპანეთი), **პეტერ გრაიციარს** (სლოვაკეთი), **პატრიკ მილხრაუმსა** (გერმანია) და **დარკო გლიშიჩს** (მაკედონია) მშვენიერი შანსი აქვთ, საქართველოს ჩემპიონის პირველ ტიტულს თასიც მიუმატონ. სამაგიეროდ, „დინამოს" რამდენიმე ქართველ ფეხბურთელს უთამაშია თასის ფინალში და ზოგიერთისათვის აქ გამარჯვება „ნაცნობი სურათია": ორჯერ აქვთ თასი მოპოვებული „დინამოს" შემადგენლობაში **გიორგი შაშიაშვილს** (2003, 2004) და **ლევან ხმალაძეს** (2004, 2009), თითო-თითოჯერ - **გიორგი მერებაშვილს** (2009), **გიორგი ლორიას** (2009) და **ოთარ ხიზანეიშვილს** (2003). ამათ გარდა „დინამოში" ისეთი ფეხბურთელებიც არიან, სხვა გუნდების შემადგენლობაში რომ უასპარეზიათ ფინალში: **დიმიტრი ტატანაშვილი** „ამერის" მაისურით ორჯერ გახდა საქართველოს თასის მფლობელი (2006, 2007), ერთხელ კი ფინალისტობას დასჯერდა (2008); თავის მეოთხე ფინალს „უმიზნებს" **გიორგი სეთურიძეც**: „დინამოს" მარჯვენა მცველმა 2005 წელს თასი მოიგო („ლოკომოტივის" შემადგენლობაში), ორჯერ კი ფინალი წააგო - 2009 წელს „ოლიმპის" ფეხბურთელის რანგში, 2011 წელს კი „ტორპედოს" შემადგენლობაში. მეორედ მოუწევს თასის ფინალში ასპარეზობა ჯაბა დვალს, თუმცა ბოლო წლების ყველაზე შედეგიან ქართველ ფორვარდს შარშანდელი მართლაც სამარცხვინო ფინალის გახსენება დადებით ემოციებს ნამდვილად არ დაუტოვებს...

დაბოლოს, „დინამოს" კიდევ ერთ ფეხბურთელზე, რომელიც საქართველოს თასის ფინალში... 13-წლიანი პაუზის მერე ითამაშებს: **გივი კვარაცხელია** 2000 წელს თბილისის „ლოკომოტივის" შემადგენლობაში თასის მფლობელი გახდა!

22.05 . თბილისი. მ. მესხი 18:00.
LIVE პირველ არხზე

**გზა ფინალამდე**

**დინამო (თბ) VS ჩიხურა**

**დინამო (თბ)**

| 1/16 ფინალი | |
|---|---|
| დინამო - სტუ | 8:0 |
| გოლები: ვოსკობოინიკოვი - 3, ალვარო, დვალი, მერებაშვილი, რობერტინიო, ჭავჭავაძე (საკუთარ კარში) | |
| სტუ - დინამო | 1:6 |
| გოლები: ვოსკობოინიკოვი - 2, ჩისკო, - 2, ალვარო, გლიშიჩი | |
| **1/8 ფინალი** | |
| კოლხეთი (ფ.) - დინამო | 0:1 |
| გოლი: ჩისკო | |
| დინამო - კოლხეთი | 3:0 |
| გოლები: ჩისკო, ძარია, შაშიაშვილი) | |
| **1/4 ფინალი** | |
| გურია - დინამო | 0:0 |
| დინამო - გურია | 3:2 |
| გოლები: მერებაშვილი - 2, ძაძამია - საკუთარ კარში | |
| **1/2 ფინალი** | |
| მეტალურგი - დინამო | 2:1 |
| გოლი: დვალი | |
| დინამო - მეტალურგი | 5:0 |
| გოლები: ალვარო - 2, ჩისკო, ხმალაძე, მერებაშვილი) | |

ყველა გოლი: ჩისკო - 5, ვოსკობოინიკოვი - 5, ალვარო - 4, მერებაშვილი - 4, დვალი - 2, ძარია - 1, ხმალაძე - 1, შაშიაშვილი - 1, გლიშიჩი - 1, რობერტინიო - 1, ჭავჭავაძე (სტუ, - საკუთარ კარში), ძაძამია (გურია, - საკუთარ კარში)

**ჩიხურა**

| 1/16 ფინალი | |
|---|---|
| ჩიხურა - კოლხეთი (ხობი) | 2:0 |
| გოლები: ლ. ჭელიძე, ოდიკაძე | |
| კოლხეთი - ჩიხურა | 0:2 |
| გოლები: ბაკურაძე, გ. ჩხეტიანი | |
| **1/8 ფინალი** | |
| ჩიხურა - ქობულეთი | 8:0 |
| გოლები: დეკანოიძე - 4, ნ. კვასხვაძე - 2, კირკიტაძე, ზაზახიძე | |
| ქობულეთი - ჩიხურა | 0:3 |
| გოლები: გ. ჩხეტიანი, რეხვიაშვილი, ქიმაძე | |
| **1/4 ფინალი** | |
| ჩიხურა - დილა | 3:0 |
| გოლები: ლომაშვილი - 2, დ. ბოლქვაძე | |
| დილა - ჩიხურა | 1:2 |
| გოლები: ლ. ჭელიძე, გოცირიძე | |
| **1/2 ფინალი** | |
| ჩიხურა - სიონი | 2:0 |
| გოლები: ოდიკაძე, რეხვიაშვილი | |
| სიონი - ჩიხურა | 1:0 |

ყველა გოლი: დეკანოიძე - 4, ლ. ჭელიძე - 2, გ. ჩხეტიანი - 2, რეხვიაშვილი - 2, ლომაშვილი - 2, ნ. კვასხვაძე - 2, ოდიკაძე - 2, კირკიტაძე - 1, ზაზახიძე - 1, ქიმაძე - 1, დ. ბოლქვაძე - 1, გოცირიძე - 1, ბაკურაძე - 1

### ჩიხურა

თბილისის „დინამოს" წინაშე ყოველი სეზონის დაწყების წინ მხოლოდ და მხოლოდ მაქსიმალური მიზნებია: ჩემპიონობა და თასის მოპოვება; აი, „ჩიხურა" კი, უდავოდ, გამორჩეულ და განსაკუთრებულ სეზონს ატარებს თავის ისტორიაში: ჩემპიონატში მეორედ ასპარეზობდა და მართლაც საპატიო, მეოთხე ადგილი დაიკავა, თასის გათამაშებაში კი პირველად მოახერხა ფინალში გასვლა! ჰო, „ჩიხურას" ფინალში გასვლა უკვე წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, რომ აღარაფერი ვთქვათ არანაკლებ მიღწევაზე - საჩხერელთა გუნდს ამ ზაფხულს ევროტურნირებზე დებიუტი ელოდება!

...„ჩიხურას" აღზევება და ამ სეზონში წარმატებული ასპარეზობა გუნდის მთავარი მწვრთნელის, **სოსო ფრუიძის** უდიდესი დამსახურებაა. ეს გამოცდილი სპეციალისტი უკვე 6 წელიწადია „ჩიხურას" თავკაცობს და აი, შედეგიც მოიმკო. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში სოსო ფრუიძეს არაერთი გუნდი გაუწვრთნია: ქუთაისის „ტორპედო", ზესტაფონის „მარგვეთი", წყალტუბოს „სამგურალი", სამტრედიის „იბერია", ლანჩხუთის „გურია", „ბორჯომი".

...ფინალისკენ მიმავალ გზაზე „ჩიხურას" თავდაპირველად პრობლემა არ შექმნია: 1/16 და 1/8 ფინალებში პირველი ლიგის წარმომადგენლებს შანსი არ დაუტოვა და იმ ოთხ მატჩში მეტოქეთა კარში 15 გოლი გაიტანა! ბევრად კი არა, მართლაც სოლიდურზე-სოლიდური მეტოქე ჰყავდათ საჩხერლებს მეოთხედფინალში: თასის მოქმედი მფლობელი და ჩემპიონობის ერთ-ერთი ფავორიტი გორის „დილა"; თუმცა, მოდით, ამ მეოთხედფინალურ „დაპირისპირებებზე" ნუ შევჩერდებით და ნურც ამავე გუნდების საჩემპიონო მატჩებზე; შეგახსენებთ, რომ ორივე სათასო მატჩში „დილამ", ფაქტობრივად, სარეზერვო შემადგენლობა გამოიყვანა და „ჩიხურასაც" გამარჯვება არ გასჭირვებია რასაც ვერ ვიტყვით ნახევარფინალზე, სადაც, უნდა ვაღიაროთ, რომ წილისყრისას ყველაზე მეტად სწორედ „ჩიხურას" გაუმართლა: თბილისის „დინამოსაც" ასცდა, რუსთავის „მეტალურგსაც" და მეტოქედ ბოლნისის „სიონი" შეხვდა. ამ წყვილში ფავორიტად „ჩიხურა" მიიჩნეოდა (მით უფრო, რომ ბოლნისელებს ჩემპიონატშიც სერიოზული საფიქრალი ჰქონდათ) და პირველი მატჩის შედეგიც ამის დასტური იყო; თუმცა საპასუხო შეხვედრაში მოვლენები ისე განვითარდა, ცოტაც და, „სიონი" მეოთხედფინალში ჩადენილ გმირობას გაიმეორებდა (დღესაც უკვირს ბევრს, თუ როგორ შეძლეს ბოლნისელებმა ქუთაისის „ტორპედოსთან" ორბურთიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა). 8 მაისს ბოლნისში მართლაც დაძაბული და ნერვიული მატჩი იყო, შეხვედრის სირიელმა არბიტრმა **აბდულა ბასლეჰლომ** ორივე გუნდის 10 ფეხბურთელი გააფრთხილა, 65-ე წუთზე კი პენალტი დანიშნა სტუმართა კარში. ეს პენალტი **კოკა მიკუჩაძემ** ზუსტად შეასრულა, „სიონიც" მთელი გუნდით წინ წავიდა და მატჩის მიწურულს რეალურზე-რეალური შანსიც მიეცა: **ვილი ისიანი** უაღრესად ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი მართლაც ჩინებული რეაქციით მოიგერია **გიორგი სომხიშვილმა** და „ჩიხურაც" ფინალში გავიდა!

### ფეხბურთელები

- მეტოქისგან განსხვავებით, „ჩიხურას" დღემდე არც ერთი ტიტული არ მოუგია, თუმცა საჩხერელთა შემადგენლობაში მრავლად არიან ისეთი ფეხბურთელები, სხვადასხვა დროს სხვადასხვა გუნდის შემადგენლობაში თასის ფინალში რომ უასპარეზიათ. ამათგან, უპირველეს ყოვლისა, **შოთა კაშია** უნდა ვახსენოთ, დღეს თავის მეხუთე ფინალს რომ ითამაშებს! ალბათ, ზედმეტია იმის შეხსენება, რომ შოთა კაშია თბილისის „დინამოს" აღზრდილია და ამ გუნდის შემადგენლობაში ორჯერ აქვს მოპოვებული საქართველოს თასი (2004, 2009), ერთხელ კი ფინალისტობას დასჯერდა (2010). კაშიამ შარშანაც მოიპოვა საქართველოს თასი, ამჯერად უკვე გორის „დილას" შემადგენლობაში. კაშიას გარდა, „ჩიხურაში" მრავლად არიან გამოცდილი ფეხბურთელებიც: **დავით ბოლქვაძე** „ამერის" შემადგენლობაში ორჯერ დაეუფლა საქართველოს თასს (2006, 2007), ქუთაისის „ტორპედოს" მაისურით კი ფინალი ითამაშა (2004). თავის მეოთხე ფინალისათვის ემზადება **ედიკ საჯაიაც**: „ზესტაფონის" შემადგენლობაში ერთხელ გაიმარჯვა (2008), ორჯერ კი ფინალი წააგო (2007, 2012). კაშიას, ბოლქვაძისა და საჯაიას გარდა საქართველოს თასის ფინალში გამარჯვების „გემო" იციან „ჩიხურას" სხვა ფეხბურთელებმაც: **დავით დილმელაშვილი** 2009 წელს თბილისის „დინამოსთან" ერთად ზეიმობდა, **ნიკა კვასხვაძე** კი 2008 წელს „ზესტაფონის" მოთამაშე გახლდათ. ახლა კი „ჩიხურას" ის ფეხბურთელები ვახსენოთ, სხვადასხვა გუნდების შემადგენლობაში ფინალი რომ წაუგიათ: **რევაზ გოცირიძე** (2008 წელი - „ამერი", 2011 - „ტორპედო"), **ლაშა ჭელიძე** (2002, 2004 - „ტორპედო"), **გაგა ჩხეტიანი** (2007 - „ზესტაფონი", 2009 - „მეტალურგი"), **ზურა ძამსაშვილი** (2005 - „ზესტაფონი"), **გიორგი სომხიშვილი** (2005 - „ზესტაფონი")...

გია ტუხაშვილი

ინტერვიუ

## ჯაბა დვალი: დუბლი გვსურს



ჯაბა დვალი

**თბილისის "დინამოს" თავდამსხმელი ჯაბა დვალი ეროვნული თასის ფინალისთვის ემზადება და იმედოვნებს, რომ მისი გუნდი სეზონში მეორე ტიტულის მოპოვებას მოახერხებს.**

**- ჩემპიონატის შემდეგ დინამოელები ჩვეულ რეჟიმში ვარჯიშობდით თუ რამდენიმე დღე დაისვენეთ?**

- ჩვეულებრივად ვვარჯიშობთ და სხვათა შორის, თასის ფინალამდე ჩემპიონობის აღნიშვნაც გადავდეთ, რადგან სეზონში მეორე ტიტული მოპოვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თუ ვინმეს ჰგონია, რომ "დინამოს" მოტივაცია ჩემპიონობით ამოიწურა, ძალიან ცდება. ჩვენი მიზანი ჯერ დუბლის შესრულებაა, მერე კი სუპერთასის აღება და ჩემპიონთა ან ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლა – "დინამოს" ტიტულები ძალიან მონატრა.

**- დასრულებულ სეზონში საჩხერის "ჩიხურას" 4-დან სამი შეხვედრა მოუგეთ და ერთი ფრედ დაასრულეთ. მოკლედ, აშკარა უპირატესობა გაქვთ - ვითომ, ფინალშიც არ გაგიჭირდებათ?**

- ჩვენმა სამმა მოგებამ არავინ მოატყუოს. ფინალი ერთი მატჩისგან შედგება და კარგად მომზადება ნებისმიერ გუნდს შეუძლია, მით უფრო, "ჩიხურას".

**- შენი აზრით, რა არის "ჩიხურას" მინუს-პლუსები?**

- საჩხერელთა აშკარა მინუსს ვერც ვხედავ. ამ გუნდმა დაამტკიცა, რომ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა და ნებისმიერი გუნდისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა. დადებითი მხარე ისაა, რომ გამოცდილი და მაღალ დონეზე ნათამაშები გამოცდილი ფეხბურთელები და ძლიერი მწვრთნელიც ჰყავთ. მთლიანობაში ძალიან კარგი გუნდია.

**- მათგან ვის გამოარჩევ?**

- ცალკე არავის დავასახელებ, რადგან "ჩიხურას" ბევრი კარგი მოთამაშე ჰყავს. ამიტომ დიდი სიფრთხილე და მონდომება დაგვჭირდება.

**- 2006-2007 წლებში, "ჩიხურაშიც" გითამაშია.**

- მაშინდელი შემადგენლობიდან დღეს გუნდს არავინ შემორჩა.

**- როგორც ვიცი, 22 მაისს მესამე ფინალს ითამაშებ.**

- დიახ, მესამე ფინალია – 2004 წელს "დინამოში" ქუთაისის "ტორპედოს" მოვუგეთ, შარშან კი "ზესტაფონის" შემადგენლობაში გორის "დილასთან" წავაგეთ. იმედია, წლეულს თასს კიდევ ერთხელ ავწევ.

**- თასი კი აგიწევია, მაგრამ აქამდე ფინალში არ გაგიტანია.**

- მართალს ამბობთ და ძალიან მინდა, რომ ეს ამჯერად მაინც მოვახერხო. ესეც დამატებითი სტიმულია. თამაშის დროს, 6:0 რომ ვიგებდეთ, სანამ არ გავიტან, ვერ ვისვენებ. ეს ყველა თავდამსხმელის თვისებაა. მოედანზე იმიტომაც ვარ, გუნდს გოლით რომ დავეხმარო. ფინალსაც ამ განწყობით ველოდები.

**- სტადიონის შევსების იმედი გაქვს?**

- საქართველოს თასის ფინალი წლის ყველაზე კარგი და ემოციური თამაშია და ხალხის მოსვლა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ისე, ფინალზე მაყურებელი ყოველთვის მოდის, მაგრამ სტადიონი არასოდეს შევსებულა. ცოტა მეეჭვება, ახლა სხვაგვარად იყოს, რადგან ბოლო დროს ხალხი ჩვენს ფეხბურთს ნაკლებად ეტანება. მაგრამ ძალიან მინდა, ვცდებოდე. როდესაც ტრიბუნები შევსებულია და საღამოს განათებაზე თამაშობ, მოედანზე სულ სხვა მუხტით გადიხარ. ამიტომ მაყურებელს მოვუწოდებ – მოდით სტადიონზე, მჯერა, რომ კარგ თამაშს იხილავთ.

მერაბ მამულაშვილი

## ედიკ საჯაია: ბრძოლაც იქნება და სანახაობაც

თასის ფინალის წინ "ჩიხურას" ფეხბურთელები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. "ლელოს" რესპონდენტი საჩხერელთა 32 წლის მცველი ედიკ საჯაიაა, რომელიც იმედოვნებს, რომ მისი გუნდი წარმატებულ სეზონს საქართველოს თასის მოპოვებით დააგვირგვინებს.

**- რას ნიშნავს პირადად შენთვის ეს მატჩი?**

- ეს ჩემს კარიერაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრაა და მისთვის განსაკუთრებული მონდომებით ვემზადები. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ჩემი გუნდის გამარჯვებაში წვლილი შევიტანო.

**- გუნდში როგორი განწყობაა?**

- განწყობა საბრძოლო და ოპტიმისტურია. თითოეული ჩვენგანი ფინალის მნიშვნელობას კარგად აცნობიერებს და გვაქვს იმედი, რომ ტიტული ჩვენ დაგვრჩება. "ჩიხურას" ისტორიაში ეს უმნიშვნელოვანესი დღეა – კლუბს აქვს შანსი, არსებობის ისტორიაში პირველი ტიტული მოიგოს და ამ მიზნის მისაღწევად მეც და ჩემი თანაგუნდელებიც მოედანზე თავს დავდებთ. "ჩიხურამ" შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და უკვე ბევრს მიაღწია, მაგრამ ტიტულს სულ სხვა ფასი აქვს.

**- "ჩიხურამ" ევროსაგზური უკვე დაიბევა. ამის გამო ხომ არ არის იმის საშიშროება, რომ გუნდი ფინალზე მაქსიმალურად არ იყოს კონცენტრირებული?**

- ეს აბსოლუტურად გამორიცხულია. ფინალამდე მეც და ჩემი თანაგუნდელებიც დავივიწყებთ იმას, რომ ევროპის ლიგაზე თამაში გარანტირებული გვაქვს და მხოლოდ თასის მოსაპოვებლად ვიბრძოლებთ.

**- "ჩიხურას" გულშემატკივრები არც თბილისში უნდა მოაკლდეს...**

- ჩვენი ერთგული ქომაგები "მიხეილ მესხზე" მრავლად მოვლენ და თავს სტუმრად ნამდვილად არ ვიგრძნობთ. საჩხერელი გულშემატკივრები "ჩიხურას" წარმატებაში დიდ როლს თამაშობენ და გვჯერა, ისინი ფინალშიც აქტიურ დახმარებას გაგვიწევენ.

**- სხვადასხვა მიზეზის გამო, "ჩიხურას" ფინალში რამდენიმე მნიშვნელოვანი ფეხბურთელი დააკლდება...**

- ეს ძალიან ცუდია, მაგრამ არც მათი შემცვლელები არიან ურიგო შემსრულებლები და ჩვენს ხელთ არსებული ძალებით მაინც შევეცდებით მეტოქის წინააღმდეგობის დაძლევას.

**- "დინამოზე" რას იტყვი?**

- საქმე ძლიერ და გამოცდილ მოწინააღმდეგესთან გვაქვს. "დინამოს" დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ მისი არ გვეშინია. ბრძოლისთვის მზად ვართ. შანსებს 50/50-ზე შევაფასებდი.

**- ბრძოლასთან ერთად, სანახაობრივ მატჩსაც თუ ელი?**

- იმედი მაქვს, რომ სანახაობაც კარგი გამოვა. მოვუწოდებ როგორც ჩვენს, ასევე ნეიტრალურ გულშემატკივრებს, მობრძანდნენ სტადიონზე. ფინალისტები მათ კარგ ფეხბურთს აჩვენებენ. მჯერა, რომ ფინალში ბრძოლაც იქნება და სანახაობაც.

ლევან ჯანეზაშვილი



ედიკ საჯაია

● კახა კალაძის გამოსამშვიდობებელი მატჩი. პრესკონფერენცია



დღევანდელ პრესკონფერენციაზე — ირინა ლოთუაძის ფოტოები

# კახა კალაძის მეგობრები ნაწილობრივ დაასახელეს

## კანავარო, მამა მალდინი და თერიმიც გვესტუმრებიან

**კახა კალაძის** გამოსამშვიდობებელი მატჩის ორგანიზატორებმა **დავით მუჯირმა** და **მამუკა კვარაცხელიამ** გუშინ მორიგი პრესკონფერენცია "საქართველოს ბანკში" გამართეს.

მამუკა კვარაცხელია: "დათო მუჯირი ჩემთვის აღმოჩენაა. ის მოედანზე შემოქმედი იყო, მაგრამ საორგანიზაციო საკითხებშიც ისეთი არაორდინარულობა გამოავლინა, დარწმუნებული ვარ, დიდი ჩინოვნიკი გვეზრდება. სასიხარულოა, რომ ამ ღონისძიებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. შევეცდებით, გაცილების საღამო უეფას ოფიციალური მატჩის დონეზე ჩავატაროთ. ფეხბურთელებთან შეხვედრა მატჩამდე ვერ მოხერხდება, წინა დღით ჟურნალისტებისთვის ღია ვარჯიში ჩატარდება და მხოლოდ თამაშის შემდეგ, შერეულ ზონაში შეძლებთ ვარსკვლავებთან დალაპარაკებას".

**დავით მუჯირი:** „ჯერ მსურს დიდი მადლობა მოვახსენო ღონისძიების მხარდამჭერებს, მატჩის წარმომდგენ „საქართველოს ბანკს", გენერალურ სპონსორ „ბილაინს" და სპონსორებს, „სილქ როუდ ჯგუფსა" და „კავკასუს ონლაინს". მათ გარეშე საორგანიზაციო საკითხების მოგვარება შეუძლებელი იქნებოდა.

თამაშის სანახავად რამდენიმე ქვეყნის ოფიციალური პირი და დელეგაცია მოემგზავრება. ეს ფაქტი ბევრზე მეტყველებს - 31 მაისს თბილისში 15 ქვეყნის ფინანსთა მინისტრს ველოდებით. იმედია, ისეთ ღონისძიებას ჩავატარებთ, რომელიც დიდხანს ემახსოვრება ქართველ გულშემატკივარსა და სტუმრებს.

22 მაისიდან ბილეთები არა მხოლოდ „დინამო არენაზე", არამედ "მიხეილ მესხზეც" გაიყიდება, ფასი კი 5, 7 და 10 ლარი იქნება. ბილეთები გადაეცემათ საფეხბურთო კლუბებს, ფედერაციებსა და მის ხელმძღვანელებს, ფანკლუბებს, ნოდარ ახალკაცის სახელობის ტურნირის მონაწილე ბავშვებს...

კახამ კარიერა თბილისის „დინამოში" დაიწყო, რომლის ხელმძღვანელობაც ისე გვეხმარება, შეიძლება ითქვას, რომ მატჩის თანაორგანიზატორები არიან. ამისთვის დიდი მადლობა რომან ფიფიას. "დინამო-არენას" საფარი კი იდეალურ მდგომარეობაშია".

მთავარი შოუ მაინც ვარსკვლავების დაპირისპირებაა. ცხადია, მუჯირი ამ თემასაც შეეხო:

- ყველა ვარსკვლავის ერთად შეკრება წარმოუდგენელია, თუმცა 31 მაისს ყველაზე ნაკლები დანაკლისი გვექნება. თბილისში „მილანის" ფეხბურთელებს თამაშის დღეს ჩარტერით დაახლოებით 15:00 საათზე ველოდებით - იტალიელები „რედისონში" დაბინავდებიან.

„მილანის" მთავარი მწვრთნელი, კარლო ანჩელოტისთან ერთად, ჩეზარე მალდინიც იქნება. იტალიელთა ხელმძღვანელობამ 20-მდე ფეხბურთელის სია გადმოგვცა, სიაში სამი თაობის მოთამაშეები არიან. მაგრამ ეს არ არის საბოლოო ვარიანტი. მაგალითად, კაკას ჩამოსვლა ბრაზილიის ნაკრებში გამოძახებაზეა დამოკიდებული.

**- როგორც ვიცით, არ გამოუძახებიათ.**

- ძალიანაც კარგი... გამოგვაკლდა ეტოო, რადგან 1-ელ ივნისს "ანჟიში" რუსეთის თასის ფინალში უნდა ითამაშოს. ასევე გასარკვევია ჯილარდინოს საკითხი.

კახას მეგობრების მწვრთნელები **ალექსანდრე ჩივაძე და ფათიხ თერიმი** იქნებიან. შემადგენლობას რაც შეეხება, ჩამოვა 2006 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ფაბიო კანავარო. **მიხაელ ბალაკის** ამბავი ჯერ უცნობია, რადგან 4 ივნისის ფეხბურთიდან მასაც აცილებენ. ითამაშებენ **სებასტიან ფრეი**, კიევის „დინამოდან" **სერგეი რებროვი და ანდრეი გუსინი**, ასევე ქართველი ფეხბურთელები. აქვე ვიტყვი, რომ კახას ვარსკვლავები თეთრ მაისურებში გამოეწყობიან, „მილანი" კი - ტრადიციული წითელ-შავ ფორმაში.

მეკარეები: **ვალერიო ფიორი, სებასტიანო როსი**

მცველები: **პაოლო მალდინი, ჯუზეპე პანკარო, დარიო სიმიჩი, ჯუზეპე ფავალი, მასიმო ოდო, ჯანლუკა ძამბროტა, როკე ჟუნიორი, იაპ სტამი**

ნახევარმცველები: **ზვონიმირ ბობანი, სერჟინიო, რუი კოშტა, მასიმო ამბროზინი, ფედერიკო ჯუნტი, ანჯელო კარბონე, იბრაჰიმ ბა,**

თავდამსხმელები: **ანდრეი შევჩენკო, ფილიპო ინძაგი, კრისტიან ვიერი**

**მერაბ მამულაშვილი**




● ინტერვიუ

### გოგა გახოკიძე:

# კაშიას ძლიერი კლუბები იწვევენ

## რატომ ველარ ხვდებიან ქართველები ტოპ-ლიგებში?

იყო დრო, როდესაც ქართული მედია სასიამოვნო თემებზე წერდა: "ბოკა ხუნიორსიდან" წამოსული **გიორგი ქინქლაძე** "ლივერპულში" ითამაშებდა თუ მადრიდის "ატლეტიკოში", **ზაზა ჯანაშია** "შტუტგარტში" თუ "ინტერში", **გიორგი ნემსაძე** - "სელტიკში" თუ "იუვენტუსში"; რატომ არ წავიდა **კახა კალაძე** "ჩელსიში", **შოთა არველაძე** "ლევერკუზენში", **ზურაბ ხიზანიშვილი** - "არსენალში", **გოჩა ჯამარაული** - "კიოლნში", **გოგიტა გოგუა** — "ჰართში" თუ "აიაქსში", ინგლისის პრემიერლიგის რომელი კლუბი იწვევდა **თემურ ქეცბაიასა და კახა ცხადაძეს...**

ჩვენი საფეხბურთო ცხოვრება თუ არ დუღდა, ჩამკვდარი მაინც აღარ იყო. ახლა კი ჩვენი ჩემპიონატის წამყვანი მოთამაშეებით რუსეთის და გერმანიის მეორე ბუნდესლიგის გუნდების დაინტერესება და უკრაინაში წასვლაც მოვროპაში წასვლის საშუალება ბევრს არ გააჩნია და კატასტროფული ვითარება ამიტომაც მივიღეთ.

**- რაიმე დამაიმედებელს მაინც თუ ხედავ?**

- რა გითხრათ... ძლიერი ჩემპიონატი არ გვაქვს და ლიდერებიდან რამდენიმეს პრობლემებიც შეექმნა. გამოსავალი მარტივია და ახალს ვერაფერს ვიტყვი – ჩემპიონატში დიდი ფული უნდა ჩაიდოს. მერე ეშველებათ გუნდებსაც, ბავშვთა ფეხბურთსაც და ნიჭიერებსაც მოვუვლით. უფრო ძლიერი ნაკრები და სოლიდური ჩემპიონატი მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გვექნება.

**- საქართველოში გეგულებათ ფეხბურთელი, რომელიც ძლიერ ევროპულ ლიგაში ითამაშებს?**

- დღეისათვის ისეთს ვერავის ვხედავ, რომელიმე გუნდის ძირითად შემადგენლობაში რომ ითამაშოს. მაგრამ



გოგა გახოკიძე (მარცხნივ) და ვიტესის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია

ლენაა — განსხვავება აშკარაა, ძლიერ ევროპულ კლუბებში ქართველების ტრანსფერი ისეთივე იშვიათობა გახდა, როგორიც საჰარის უდაბნოში - წვიმა.

სამწუხაროა, რომ ჩვენი ფეხბურთის საერთო დონე დაეცა. ამ პრობლემაზე დაწყებული ლაპარაკი ფიფას აგენტმა, წარსულში საქართველოს ნაკრებისა და "ეინდჰოვენის" ნახევარმცველმა **გოგა გახოკიძემ** საინტერესო მიმართულებით წაიყვანა და მცირე იმედი მაინც დაგვიტოვა:

- ორი აზრი არ არის, ნიჭიერი ბავშვები გვყავს და ეს გადაჭარბებული შეფასება არ არის. მაგრამ პრობლემა მათ სწორი გაზრდა და გზაზე დაყენებაა. საქართველოში ის პირობები არ არის, ევროპელების მსგავსად ხელი რომ შევუწყოთ. თითქოს ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ 14-წლიდან ველარ ვეხმარებით, როდესაც ყველაზე სწორი მიდგომა და პირობებია საჭირო. ვინც აქაურობას თავს დააღწევს და უცხოეთში მიდის, ნიჭს ავლენს. სამწუხაროდ, ევგარკვეული მომზადების შედეგად, ამას ბევრი მოახერხებს.

**- როგორც ვიცი, "ვიტესის" კაპიტან გურამ კაშიასთან თანამშრომლობთ. მისით დაინტერესებულ კლუბებად "ბაზელი" და "ფრაიბურგი" დაასახელეს.**

- "ბაზელი" დაინტერესებულია, "ფრაიბურგზე" კი არაფერი მსმენია.

**- მართალია, თითქოს შარშან "ჩელსი" იწვევდა?**

- ლაპარაკი ადრე იყო, მაგრამ არა - კონკრეტული. ახლა საკმაოდ ძლიერი ინგლისური, გერმანული და ბელგიური კლუბები იწვევენ.

**- ბელგიური "ანდერლეხტის" დაინტერესებაზე გურამის "ვიტესში" გადასვლამდე ლაპარაკობდნენ.**

- შარშან "ვიტესს" ავარჯიშებდა იონ ვან დერ ბრომი - "ანდერლეხტის" ამჟამინდელი მწვრთნელი, რომელსაც კაშია ძალიან მოსწონს. მაგრამ ჯერ გურამის მომავალზე ლაპარაკი არ მინდა. "ვიტესი" ევროთასებზე გავიდა და ეს ბევრ რამეს ცვლის.

**- თქვენი აზრით, კაშია მაღალ დონეზე სათამაშოდ მზად არის?**

- ამაში დარწმუნებული ვარ. კაშიას უკეთეს გუნდში გადასვლაზე ლაპარაკი იყო და იქნება, რადგან ძალიან გაიზარდა. ჰოლანდიაში ყველა ამბობს, რომ საუკეთესო მცველები ის და "ტვენტეს" დუგლასი არიან, მაგრამ გურამი სიმბოლურში უფრო მეტჯერ მოხვდა. როდესაც მარჯვენამცველობიდან ცენტრში გადაიყვანეს, თავის პოზიციაზე გაცილებით უკეთ გამოჩნდა და ახლა ყველა აღიარებს, რომ კაშია ნიჭიერი კაცია.

**- "ტრანსფერმარკტი" გურამის ტრანსფერს 4,5 მილიონ ევროდ აფასებს. ეს რეალური ღირებულებაა?**

- ეს სააგენტო ოდნავ დაბალ ფასს უწერს - ახლა "ვიტესი" კაშიას 4,5 მილიონად არავის დაუთმობს. მისი ტრანსფერი უფრო ძვირი ღირს. დაინტერესებულ გუნდსაც გააჩნია. ფინანსურად ძლიერს მეტს მოსთხოვენ, საშუალოევროპულს კი – ნაკლებს. სატრანსფერო ბაზარზე ფასი ამის მიხედვით ყალიბდება.

**მერაბ მამულაშვილი**

### პირველი ლიგა

XXXII ტური

A ჯგუფი

| | |
|---|---|
| გურია – ჭიათურა | 1:1 |
| დინამო-2 – ბეთლემი | 5:0 |
| სტუ – მეშახტე | 2:4 |
| რაჭა – სულორი | დღეს |
| სასკო – იმერეთი | დღეს |
| გაგრა – სქური | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 32 | 26 | 4 | 2 | 85-20 | 82 |
| 2. დინამო-2 | 32 | 20 | 6 | 6 | 96-41 | 66 |
| 3. სასკო | 31 | 19 | 4 | 8 | 80-33 | 60 |
| 4. გაგრა | 31 | 16 | 4 | 11 | 58-40 | 52 |
| 5. იმერეთი | 31 | 12 | 7 | 12 | 34-38 | 43 |
| 6. მეშახტე | 32 | 12 | 6 | 14 | 39-66 | 42 |
| 7. ჭიათურა | 32 | 11 | 7 | 14 | 36-47 | 40 |
| 8. სტუ | 32 | 11 | 3 | 18 | 61-75 | 36 |
| 9. სქური | 31 | 9 | 8 | 14 | 30-47 | 35 |
| 10. ბეთლემი | 32 | 10 | 4 | 18 | 37-73 | 34 |
| 11. რაჭა | 31 | 7 | 3 | 21 | 38-71 | 24 |
| 12. სულორი | 31 | 6 | 4 | 21 | 27-20 | 22 |

B ჯგუფი

| | |
|---|---|
| სპარტაკი – ადელი | 4:0 |
| შუქურა – ლიახვი | 4:0 |
| კოლხეთი (ხ) – მერცხალი | 4:0 |
| ლოკომოტივი – ალგეთი | 3:1 |
| სამტრედია – სამგურალი | 4:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 29 | 24 | 2 | 6 | 77-14 | 74 |
| 2. ლოკომოტივი | 29 | 18 | 6 | 5 | 68-28 | 60 |
| 3. შუქურა | 29 | 18 | 4 | 7 | 54-24 | 58 |
| 4. კოლხეთი | 29 | 17 | 3 | 9 | 41-27 | 54 |
| 5. სამტრედია | 29 | 16 | 4 | 9 | 49-37 | 52 |
| 6. სამგურალი | 30 | 13 | 7 | 10 | 59-48 | 46 |
| 7. ალგეთი | 29 | 10 | 3 | 16 | 39-51 | 33 |
| 8. მერცხალი | 29 | 5 | 10 | 4 | 36-50 | 25 |
| 9. ჩხერიმელა | 29 | 6 | 2 | 21 | 33-86 | 20 |
| 10. ლიახვი | 29 | 4 | 6 | 19 | 28-72 | 18 |
| 11. ადელი | 29 | 4 | 3 | 22 | 26-73 | 15 |

● წიგნის თარო

# ემატოს მატიანეს

ერთმა კოლეგამ, როცა **რევაზ შენგელიას** ბოლო ნაშრომი აიღო ხელში, თქვა: „რა ბედნიერებაა, რომ ეს კაცი დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის მატიანეს წლიდან წლამდე ქმნიდა და ქმნის, თორემ ამდენი ინფორმაციის მოძიებას და ერთად თავმოყრას ანი ხელს ვინლა მოჰკიდებდა ან როგორ შესძლებდაო". ჭეშმარიტად! მომავალს გარანტირებული აქვს ქართული ფეხბურთის მატიანე 1990-იანი წლებიდან მოყოლებული და ეს არის დაუღალავი სტატისტიკოსისა და შესანიშნავი პიროვნების, სფფ-ის გენერალური სამდივნოს უფროსის, რევაზ შენგელიას უდიდესი დამსახურება. ქართული ფეხბურთის სტატისტიკის მოყვარულთა და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ამ თემაზე მომუშავე ჟურნალისტების სამაგიდო სახელმძღვანელო წიგნ-ცნობარს მიემატა ხსენებული ავტორის ახალი ნაშრომი სერიიდან: „ქართული ფეხბურთის ყოველწლიური წიგნი - №19, 2012-2013 წლები". ტრადიციულად წიგნში წარმოდგენილია ყველა ჩემპიონატში მონაწილე გუნდების შედეგები; 2012-2013 წლების სეზონში ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილე ფეხბურთელები და გუნდები; პირველ და მეორე ლიგაში და დუბლების ჩემპიონატში მონაწილე გუნდების განაცხადები; 2011-2012 წლების ჩემპიონატისა და ეროვნული თასის გათამაშების შედეგები; ეროვნული ნაკრების მატჩები ევროტურნირებში, აგრეთვე ევროპის ჩემპიონატის 2012 წლის ფინალური ტურნირის შედეგები...

დავძენთ, რომ ეს ნაშრომიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელშეწყობითაა გამოცემული.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი

# მასიმო მორატი სტრამაჩონის უშვებს

## პრეზიდენტს მოთმინების ფიალა აევსო



მასიმო მორატის (მარჯვნივ) და ანდრეა სტრამაჩონის გზები იყრება

**მასიმო მორატიმ** არაერთხელ განაცხადა, რომ **ანდრეა სტრამაჩონის** ბოლომდე ენდობა და რომ ახალგაზრდა მწვრთნელს მომდევნო სეზონშიც მიეცემა „ინტერის“ მთავარ მწვრთნელად მუშაობის საშუალება. მორატის მთავარი არგუმენტი ასეთი იყო: მიმდინარე სეზონში დაგროვილი გამოცდილება ახალგაზრდა სპეციალისტმა ისევ ჩვენ გუნდს უნდა მოახმაროს და არა კონკურენტსო. მოკლედ, სენიორ მასიმო მწვრთნელს ნდობას უცხადებდა, მაგრამ ყველაფერს აქვს საზღვარი და როგორც ჩანს, პრეზიდენტსაც აევსო მოთმინების ფიალა. „ინტერმა“ სეზონის ფინიში სამარცხვინოდ ჩაატარა, რომლის „გვირგვინი“ „უდინეზესთან“ საშინაო მარცხი გახლდათ. მარცხიცაა და მარცხით, 2:5 მეტისმეტი გახლდათ და ეს ნამატჩევს მორატიმაც აღნიშნა:

*„საშინელი სეზონი იყო, რომელიც სამარცხვინო მარცხით დავასრულეთ. ამას ჩვენი გულშემატკივრები არ იმსახურებენ და სამწუხაროა, რომ მათ კიდევ ერთხელ გავუცრუეთ იმედი. სიმართლე გითხრათ, ასეთი დაღმასვლა ვერც კი წარმომედგინა“.*

მორატის ამ განცხადებას იტალიურ სპორტულ პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა, სულ მალე კი გავრცელდა ცნობა, რომ ანდრეა სტრამაჩონის წასვლა გადაწყვეტილი ამბავია. დიახ, „გაძეტა დელო სპორტის“ მტკიცებით, მასიმო მორატიმ უკვე მიიღო გადაწყვეტილება და მომდევნო სეზონიდან სტრამაჩონი „ნერაძურის“ მესაჭე აღარ იქნება. აღნიშნული ინფორმაცია ჯერ არ დადასტურებულა, მაგრამ მორატის მორიგი კომენტარი ეჭვებს კიდევ უფრო აღრმავებს:

*„ანდრეა სტრამაჩონი ნიჭიერი მწვრთნელია და მას დიდი მიზნების მიღწევა შეუძლია, მაგრამ ფაქტია, რომ განვლილი სეზონი პირწმინდად ჩაუვარდა. დარჩება თუ არა მთავარ მწვრთნელად? - საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს. სიმართლე გითხრათ, ბოლო თამაშებმა ჩემში მომავლის რწმენა შეარყია - ამიტომ, ცვლილებებია საჭირო“.*

არ გაგიკვირდებათ თუ დავძენთ, რომ ანდრეა სტრამაჩონის სავარაუდო შემცვლელად **ვალტერ მაცარი** განიხილება. დღეს, „ნაპოლის“ ექსთავკაცი ყველაზე მოთხოვნადი იტალიელი სპეციალისტია და ბუნებრივია, მისი გადაბირება მორატისაც უნდა - ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

ნაპოლი


რაფაელ ბენიტესმა შესაძლოა კარიერა „ნაპოლიში“ განაგრძობს

# დე ლაურენტისს ბენიტესი სურს

## კავანი სიტიში, მოლაპარაკება დაწყებულია...

**„ნაპოლიში“ ვალტერ მაცარის ერა დასრულდა და კლუბის პრეზიდენტი, აურელიო დე ლაურენტისი დიდ აურზაურშია. ერთი, რომ მაცარის შემცვლელია მოსაძებნი და მეორე, „ნაპოლის“ მთავარმეგოლე ედინსონ კავანიზეა ნადირობა გამოცხადებული. დე ლაურენტისმა ორივე თემაზე გააკეთა კომენტარი...**

### ახალი მწვრთნელი

მაცარის წასვლის ამბავი დაახლოებით ერთი თვის წინ გავიგე და მას შემდეგ, ახალ მწვრთნელზე განუწყვეტლივ ვფიქრობ. არ დაგიმალავთ და მქონდა კიდეც რამდენიმე შეხვედრა, რომლებმაც უშედეგოდ ჩაიარა. ამ დროისთვის, რამდენიმე კანდიდატს განვიხილავთ, რომელთა შორის ნამდვილად არის რაფაელ ბენიტესი. ესპანელი გამარჯვებული მენტალიტეტის მქონე სპეციალისტია, ისეთი, როგორიც ჩვენ გვჭირდება. ამას წინათ წავიკითხე, თითქოს ლონდონში ვიყავი და რაფას შევხვდი, რაც არასწორია, მაგრამ მისით დაინტერესებას ვადასტურებ. უახლოეს დღეებში, ალბათ მართლაც შედგება შეხვედრა და იქ გაირკვევა კიდეც ბევრი რამე. რობერტო დი მატეო? - „ჩელსიში“ კარგად წარმოაჩინა თავი და ნიჭიერ მწვრთნელად მივიჩნევ, მაგრამ მასზე ფსონის დადება მაინც სარისკოდ მეჩვენება. იმავეს ვიტყოდი მარსელო ბიელსაზე, რომელსაც იტალიაში მუშაობის არანაირი გამოცდილება არ აქვს. დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას და ყველა კითხვას გაეცემა პასუხი.

### ედინსონ კავანი

ჩვენი სურვილია, რომ კავანი დარჩეს „ნაპოლიში“, მაგრამ ამის ალბათობა მცირეა. ურუგვაელის მიმართ არაერთი კლუბი იჩენს ინტერესს და გაგიმხელთ, რომ ერთ-ერთ მათგანთან მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. დიახ, ჩვენი კლუბის სპორტული დირექტორი რიკარდო ბიგონი მანჩესტერშია და „სიტის“ მესვეურებთან მოლაპარაკებას აწარმოებს. ჩვენ ედინ ჯეკოს გადმობირება გვსურს და ალბათ ხვდებით, რომ ლაპარაკი ნაწილობრივ ბარტერზეა. კავანის სატრანსფერო ღირებულება 63 მილიონი ევროა, სხვა დეტალები კი უახლოეს პერიოდში გაცხადდება. იმედია, ჯეკო „ნაპოლიში“ გააგრძელებს ასპარეზობას, მაგრამ ამით ნამდვილად არ შემოვიფარგლებით. ჩვენი მიზანი გუნდის სერიოზულად გაძლიერებაა და ეს ამ პირობებშიც შესაძლებელია, თუ კავანი დაგვტოვებს.

მილანი

# გალიანიმ ალეგრის წასვლა უარყო

ბოლო პერიოდში, აქტიურად ვრცელდებოდა ხმები **მასიმილიანო ალეგრის** „მილანის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან განთავისუფლების შესახებ და თანაც იმ შემთხვევაშიც კი, თუ გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებდა. ჟურნალისტთა მტკიცებით, ალეგრის გაშვება პირადად **სილვიო ბერლუსკონის** სურვილია, რომელიც უკმაყოფილოა არა იმდენად შედეგებით, რამდენადაც გუნდის თამაშის სტილით. მოკლედ, ბევრმა ალეგრის მილანურ კარიერას წერტილი დაუსვა, თუმცა როგორც გუშინ განცხადდა, არც მთლად მასე ყოფილა საქმე - მოვუსმინოთ კლუბის ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის**:



ადრიანო გალიანის თქმით, სილვიო ბერლუსკონი (მარჯვნივ) მასიმილიანო ალეგრის გაშვებას არ აპირებს

*„ერთ-ერთ გაზეთში ბერლუსკონის ციტირებაც კი მოახდინეს, სადაც საუბარი იყო ალეგრის გაშვების აუცილებლობაზე და გუნდში რევოლუციური ცვლილებების მოხდენაზე. არც კი ვიცი, ვის თავში მწიფდება ასეთი აზრები და საიდან იღებს ეს ყველაფერი სათავეს. სილვიოს გუშინ ვესაუბრე და არაფერი მსგავსი არ უთქვამს. ჩვენ ალეგრის მომავალზეც ვილაპარაკეთ და შევთანხმდით, რომ ამ საკითხზე ახლო მომავალში სპეციალურ შეხვედრას გავმართავთ. ზოგადად, ბერლუსკონი არაა ალეგრის მუშაობით უკმაყოფილო და ვფიქრობ, რომ მასიმილიანოს დარჩენის ალბათობა ძალიან მაღალია. ასე რომ, ნუ მიაქცევთ ყურადღებას ჭორებს, ყველაფერს ჩვენ თვითონ გაგაგებინებთ“.*

ფიორენტინა

# მონტელა: უნდა გავძლიერდეთ

## პისაროს წასვლა უნდა

„ფიორენტინამ“ სერია A-ს უკვე ისტორიად ქცეულ გათამაშებაში წარმატებით იასპარეზა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებამდე სულ ცოტა დააკლდა. თუმცა, კლუბის მესვეურებმა მეოთხე ადგილი და ევროპალიგის საგზურიც წარმატებად შეაფასეს. ფლორენციული გუნდის წარმატებების მთავარ შემოქმედად **ვინჩენცო მონტელა** მიიჩნევა, რომელიც რჩება „ვიოლაში“ და კიდევ უფრო ამბიციურ გეგმებს ისახავს. თუმცა, მწვრთნელს კარგად ესმის, რომ გაძლიერების გარეშე არაფერი გამოვა:

*„კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო, რომ განვლილი სეზონით ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენგან არავინ ელოდა თუ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბოლო ტურამდე ვიბრძოლებდით. „მილანს“ ღირსეული კონკურენცია გავუწიეთ და ამით ვამაყობ. მომდევნო სეზონში კიდევ უფრო ამბიციური გეგმები გვაქვს: ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება, იტალიის თასისა და ევროპალიგის მოგება. კარგად მესმის, რომ არსებული რესურსით, ამ მიზნების მიღწევა გაგვიჭირდება, ამიტომ, გაძლიერებაა საჭირო. უკვე დავიწყეთ ახალი ფეხბურთელების შერჩევა და მალე, გეგმებსაც გამოვამზეურებთ“.*

### მოულოდნელი განცხადება

„ფიორენტინას“ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 33 წლის ნახევარმცველმა დავიდ პისარომ. ჩილელმა შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და ფლორენციელ გულშემატკივრებს მყისვე შეაყვარა თავი... თუმცა, პისაროს აგენტმა **ალეჰანდრო სანტისტებანმა** მეტად მოულოდნელი განცხადება გააკეთა:

*„დავიდს საოცარი სეზონი ჰქონდა, 2476 წუთი ითამაშა, სამი გოლი შეაგდო და არაერთი საგოლე გადაცემა გააკეთა. 33 წლის ასაკში ეს მართლაც ბრწყინვალე შედეგია. ჩემი კლიენტი კიდევ ორი-სამი წელი აპირებს ფეხბურთის თამაშს და სურს, ახალი გამოწვევა მიიღოს. დავიდით ინგლისური პრემიერლიგის და გერმანული ბუნდესლიგის გუნდები არიან დაინტერესებული. უახლოეს დღეებში „ფიორენტინას“ მესვეურებს შევხვდებით და ყველა საკითხს გადავწყვეტთ“.*

შეგახსენებთ, რომ დავიდ პისარომ იტალიურ საფეხბურთო სამყაროს „უდინეზეში“ ასპარეზობით გააცნო თავი, რის შემდეგაც ერთი სეზონი „ინტერში“ დაჰყო და „რომაში“ გადაბარგდა, სადაც ექვსი წელი იასპარეზა. ცოტა ხანი „მანჩესტერ სიტიშიც“ თამაშობდა, 2012 წლიდან კი „ფიორენტინას“ ღირსებას იცავს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



დავიდ პისარომ „ფიორენტინას“ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა

დაკავება

# იუვეს მწვრთნელი დააკავეს


მასიმო კარერა

2011 წლის პირველ იანვარს, „იუვენტუსის“ სამწვრთნელო შტაბის ერთ-ერთი წევრი **მასიმო კარერა** ავტოავარიაში მოჰყვა, რის შედეგადაც ორი 23 წლის გოგონა გარდაიცვალა. 49 წლის სპეციალისტს გაუფრთხილებლობით მკვლელობის მუხლით მაშინვე წაეყენა ბრალდება, მაგრამ სასამართლო პროცესმა ორ წელზე მეტ ხანს გასტანა.

სასამართლომ საბოლოო განაჩენი გუშინ გამოიტანა და კარერას 2.5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. აქვე ვთქვათ, რომ მასიმო კარერამ ფეხბურთელის კარიერის დიდი ნაწილი „იუვენტუსს“ მიუძღვნა და ამ გუნდთან ერთად პრაქტიკულად ყველაფერი მოიგო: სკუდეტო, იტალიის თასი, უეფას თასი და ჩემპიონთა ლიგა. სამწვრთნელო კარიერა „იუვეს“ ბავშვთა სექტორში დაიწყო, შემდეგ კი **ანტონიო კონტეს** თანაშემწე გახდა და ამ უკანასკნელის დისკვალიფიკაციისას, ერთი ხანობა მთავარი მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არგენტინა. ტორნეო ფინალი. XIV ტური




ინდეპენდიენტეს ხუან კასედომ მოაგებინა

# ლიდერების უიღბლო ტური

**არსენალი–რასინგი 1:0**

გოლი: 1:0 ნ. აგირე (48).

**გოდოი კრუსი–ველესი 3:1**

გოლები: 1:0 ხ. ფერნანდესი (45), 2:0 კასტელანი (49-პენ), 3:0 ნ. კასტრო (59), 3:1 ფ. ფერეირა (88).

**ატლ. რაფაელა–ესტუდიანტესი 0:2**

გოლები: 0:1 დ. საპატა (7), 0:2 რ. მარტინესი (90).

**კილმესი–ნიუელსი 1:1**

გოლები: 0:1 სკოკო (9), 1:1 კანეო (87).

**ბოკა–კოლონი 1:0**

გოლი: 1:0 ხ. მარტინესი (49).
გაძევება: ურიბარი (73. კოლონი).

**ინდეპენდიენტე–სან მარტინი 3:1**

გოლები: 1:0 გოდოი (26), 2:0 ხ. კაისედო (41), 2:1 ოსორიო ბოტელიო (58), 3:1 ხ. კაისედო (73).

**უნიონი–რივერი 2:2**

გოლები: 1:0 ფრანსოია (26), 2:0 კავალიარო (35), 2:1 როხელიო ფუნეს მორი (37), 2:2 მორა (84).
გაძევება: გონსალეს პირესი (90. რივერ პლეიტი).

**ოლ ბოისი–სან ლორენსო 0:3**

გოლები: 0:1 ი. პიატი (61), 0:2 გ. ვერონი (75), 0:3 ი. პიატი (84).

**არ. ხუნიორსი–ბელგრანო 1:3**

გოლები: 0:1 მელანო (11), 1:1 მატელანი (18), 1:2 ფ. მარკესი (33), 1:3 მ. საპატა (61).

**ტიგრე–ლანუსი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუელსი | 14 | 9 | 2 | 3 | 27-18 | 29 |
| 2. ლანუსი | 14 | 7 | 7 | 0 | 18-6 | 28 |
| 3. რივერი | 14 | 7 | 5 | 2 | 19-13 | 26 |
| 4. სან ლორენსო | 14 | 6 | 5 | 3 | 18-11 | 23 |
| 5. გოდოი კრუსი | 14 | 6 | 5 | 3 | 18-13 | 23 |
| 6. არსენალი | 14 | 6 | 5 | 3 | 17-14 | 23 |
| 7. კილმესი | 14 | 5 | 6 | 3 | 22-17 | 21 |
| 8. ატლ. რაფაელა | 14 | 5 | 6 | 3 | 18-13 | 21 |
| 9. ბელგრანო | 14 | 4 | 7 | 3 | 13-10 | 19 |
| 10. რასინგი | 14 | 5 | 4 | 5 | 17-15 | 19 |
| 11. ინდეპენდიენტე | 14 | 5 | 4 | 5 | 14-13 | 19 |
| 12. ტიგრე | 14 | 5 | 2 | 7 | 16-21 | 17 |
| 13. ოლ ბოისი | 14 | 4 | 4 | 6 | 13-16 | 16 |
| 14. კოლონი | 14 | 4 | 3 | 7 | 15-25 | 15 |
| 15. სან მარტინი | 14 | 3 | 5 | 6 | 20-23 | 14 |
| 16. ესტუდიანტესი | 14 | 3 | 5 | 6 | 12-16 | 14 |
| 17. უნიონი | 14 | 2 | 7 | 5 | 13-18 | 13 |
| 18. ბოკა | 14 | 2 | 7 | 5 | 10-21 | 13 |
| 19. ველესი | 14 | 2 | 5 | 7 | 12-17 | 11 |
| 20. არ. ხუნიორსი | 14 | 1 | 4 | 9 | 8-20 | 7 |

ბომბარდირები: 10 - სკოკო (ნიუელს ოლდ ბოისი); 8 - სილვიო რომერო (ლანუსი); 7 - ჟიგლიოტი (კოლონი); 6 - ობოლო (გოდოი კრუსი), ვიეტო (რასინგი), დ. საპატა (ესტუდიანტესი).

**სარელეგაციო ცხრილი:**

| | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|
| 16. კილმესი | 33 | 40 | 1.212 |
| 17. არ. ხუნიორსი | 109 | 129 | 1.183 |
| **18. ინდეპენდიენტე** | **109** | **126** | **1.156** |
| **19. სან მარტინი** | **71** | **79** | **1.113** |
| **20. უნიონი** | **71** | **70** | **0.986** |

**არგენტინის ჩემპიონატის მე-14 ტურში რამდენიმე მნიშვნელოვანი რამ მოხდა. სამივე ლიდერმა ქულები დაკარგა და ამით ჩემპიონობისთვის ბრძოლაში ჩართვის მცირე შანსი სხვებსაც დაუტოვა; ძალიან დაიძაბა სიტუაცია სარელეგაციო ცხრილში, სადაც ყველაფერი ბოლო ტურებში უნდა გადაწყდეს...**

## ლიდერები

როგორც ალვნიშნეთ, ლიდერთა ტრიოდან გამარჯვება ვერავინ მოიპოვა. „ნიუელსმა", „ლანუსმა" და „რივერმა" ფრედ ითამაშეს, თუმცა სამივე შემთხვევაში ვითარება განსხვავებული იყო. „ნიუელს ოლდ ბოისი" „კილმესს" ენვია, რომელიც ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის და ამ გუნდს ქულები ჰაერივით სჭირდება. მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას **ხერარდო მარტინოს** გუნდი ფლობდა და შეხვედრის საბოლოო შედეგი მინდორზე განვითარებულ მოვლენებს ადეკვატურად ვერ ასახავს. ანგარიში მე-9 წუთზე **იგნასიო სკოკომ** გახსნა, რომელმაც მოგვიანებით პენალტიც მოიპოვა, მაგრამ 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა. ამის გამო, „ნიუელს ოლდ ბოისი" დაისაჯა - მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე, **მიგელ კანეომ** საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და მასპინძელთა ერთადერთი მომენტი გოლად აქცია. 30 წლის ნახევარმცველმა, წინა ტურში შესრულებულ დუბლს ამჯერად ერთი გოლიც მიამატა და „კილმესს" ძალიან მნიშვნელოვანი ქულა მოუტანა.

ლიდერის უიღბლობით ვერ ისარგებლეს მდევრებმა. „ლანუსმა" „ტიგრესთან" უგოლო ფრე ითამაშა, „რივერ პლეიტი" კი „უნიონს" ხვდებოდა და მარცხს ძლივს გადაურჩა. მასპინძლები, რომლებიც 99-პროცენტიანი ალბათობით, მეორე დივიზიონის საგზურს მომდევნო ტურში გაიფორმებენ, ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ, მაგრამ **რამონ დიასის** გუნდმა ბოლომდე იბრძოლა და სანტა ფედან ქულის წამოღება შეძლო. „ლოს მილიონარიოსის" მხრიდან გოლები **როხელიო ფუნეს მორიმ** და **როდრიგო მორამ** გაიტანეს.

## მდევრები

შესანიშნავ ფორმაში შევიდა „სან ლორენსო", რომელმაც ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო, ხოლო ბოლო 5 ტურში 13 ქულა დააგროვა. რომის პაპის საყვარელი გუნდი უკვე მეოთხე ადგილზეა და „ნიუელსს" 6 ქულით ჩამორჩება. მე-14 ტურში **ხუან ანტონიო პიცის** შეგირდებმა „ოლ ბოისი" დაიბრიყვეს - 3:0. მატჩის გმირი **იგნასიო პიატი** გახდა. „ლეჩედან" არგენტინაში დაბრუნებულმა ფეხბურთელმა დუბლი შეასრულა და „სან ლორენსოში" პირველი გოლები გაიტანა. კიდევ ერთი ბურთი **გონსალო ვერონის** ანგარიშზეა, ვინც თავი ზედიზედ მესამე შეხვედრაში გამოიჩინა, არადა მანამდე ჩატარებულ 13 შეხვედრაში გოლი არ ჰქონდა გატანილი.

ასევე 23 ქულა აქვს კიდევ ერთი ყოფილი ფორვარდის, **მარტინ პალერმოს** „გოდოი კრუსს". მენდოსელებმა ჩემპიონი დაამარცხეს, თანაც ეს საკმაოდ მარტივად გააკეთეს. „ველესი" უკვე მე-19 ადგილზეა და ერთადერთი პოზიტიური რაც ამ გუნდში მოხდა, ლაზარეთიდან დაბრუნებული **ფაკუნდო ფერეირას** მორიგი გოლია. ტორნეო ინისიალის თანაბომბარდირმა (სკოკოსთან ერთად) ზედიზედ მეორე შეხვედრაში გაიტანა.

ბურთების უარესი სხვაობის გამო, მეექვსე პოზიციაზეა „არსენალი". 2012 წლის კლაუსურას ჩემპიონმა „რასინგს" უმასპინძლა და 1:0 მოუგო. ამჯერად გოლი არ გაუტანია **დარიო ბენედეტოს**, სამაგიეროდ იყოჩალა ვეტერანმა **მარიანო გონსალესმა** - „პორტუს" და „ინტერის" ყოფილმა ნახევარმცველმა საგოლე პასი ჩაიწერა აქტივში. ერთადერთი გოლი კი **ნიკოლას აგირემ** გაიტანა და სარანდელებს ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი გაუჩინა.

## აუტსაიდერები

ამ კატეგორიაში გუნდები ორად უნდა გავყოთ: ისინი, ვინც ტორნეო ფინალში ცუდად თამაშობენ და ისინი, ვისაც ლიგიდან გავარდნა ემუქრებათ.

პირველი კატეგორიიდან მხოლოდ „ბოკა ხუნიორსზე" გვსურს საუბარი, რომელმაც 12-მატჩიანი უილბლო სერია შეწყვიტა და როგორც იქნა, გამარჯვება მოიპოვა. ცარიელ „ბომბონერაზე", რომელიც „რივერთან" „სუპერკლასიკოს" დროს მომხდარი არეულობის გამო დისკვალიფიცირებული იყო, ერთადერთი გოლი **ხუან მანუელ მარტინესმა** გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიიდან დაბრუნებულ ფორვარდს, აქამდე არგენტინის ჩემპიონატში გატანილი არ ჰქონდა.

რაც შეეხება ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლას: აქ სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა. „ინდეპენდიენტემ" ერთ-ერთი კონკურენტი „სან მარტინი" დაამარცხა, მის წინ მყოფმა „არხენტინოს ხუნიორსმა" კი შინ წააგო („ბელგრანოსთან", 1:3). ახლა ამ გუნდებს შორის სხვაობა მხოლოდ სამი ქულაა, რაც საოცრად დაძაბული ფინიშის გარანტიას იძლევა. აღსანიშნავია, რომ „არხენტინოსმა" ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო, ლიბერტადორესის თასის 7-გზის მფლობელმა კი უკანასკნელ 4 ტურში 10 ქულა დააგროვა.

● საფრანგეთი. ლიგა 1. სტატისტიკური შეჯამება

# გრენიეს ლამაზი და მნიშვნელოვანი გოლი

**კლემან გრენიემ „ნიცას" საჯარიმო დარტყმით ულამაზესი გოლი გაუტანა, დევიდ ბექჰემმა ყველას დაუმტკიცა, რომ უმაღლეს დონეზე თამაში 38 წლის ასაკშიც შეუძლია, „სოშოს" და „ტრუას" კი გადარჩენისთვის გადამწყვეტი ბრძოლა ბოლო ტურში ელით...**

**80** - „ბრესტთან" მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, „პარი სენ-ჟერმენმა" 80 ქულა მოაგროვა. დედაქალაქურ გუნდს, ერთ სეზონში ამდენი ქულა არასდროს დაუგროვებია.

**4** - „ლიონი", „სენტ ეტიენი", „ლილი" და „ნიცა" მე-3-6 ადგილებს იკავებენ. მათ შორის სხვაობა მხოლოდ სამი ქულაა და ბოლო ტური გამოარკვევს იმ ორ გუნდს, რომელიც ევროთასების საგზურს მოიპოვებს („სენტ ეტიენს" ევროპალიგის საგზური ლიგის თასის მოგების გამო გარანტირებული აქვს).

**60%** - „ბრესტთან" გამართულ შეხვედრაში, **დევიდ ბექჰემმა** საჯარიმოში 5-ჯერ ჩააწოდა და აქედან სამჯერ ბურთი პარტნიორთან მივიდა. მათ შორის ერთხელ მაშინ, როდესაც ინგლისელმა კუთხური მოაწოდა, რომელიც **ბლეზ მატუიდის** გოლით დასრულდა. 60-პროცენტიანი შედეგი ამ სალამოს საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

**76** - „ლილთან" გამართული მატჩი, რომელიც უგოლოდ დასრულდა, **რენე ჟირარისთვის** 76-ე და უკანასკნელი საშინაო მატჩი იყო. „მონპელიეს" დამრიგებელმა, „სტად დე ლა მოსონზე" საკუთარ გუნდს 46 შეხვედრაში მოაგებინა და 16 მატჩი ფრედ დაასრულებინა.

**29** - **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** „ბრესტის" კარში ორი გოლი გაიტანა და ახლა შვედის ანგარიშზე 29 ბურთია. პსჟ-ს ფორვარდს ერთი გოლი აკლია **ჟან-პიერ პაპენის** მიღწევის გამეორებამდე, რომელიც უკანასკნელი მოთამაშეა, ვინც ერთ სეზონში 30 გოლი გაიტანა. „მარსელში" მოთამაშე პაპენმა ეს 1989/90 წლების სეზონში გააკეთა.

**59** - გოლი აქვს გატანილი „სენტ ეტიენს", რაც 1981/82 წლების სეზონის შემდეგ გუნდის საუკეთესო მაჩვენებელია. მაშინ, „მწვანეებმა" 74 გოლი გაიტანეს, ჩემპიონატში კი მეორე ადგილი დაიკავეს.

**34.3** მეტრი - იყო დისტანცია კარამდე, როდესაც ბურთთან **კლემან გრენიე** მივიდა და აუღებელი დარტყმით **დავიდ ოსპინას** გაუტანა. საბოლოოდ, „ლიონმა" „ნიცასთან" ქულა აილო და ეს გოლი შესაძლოა გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს მესამე ადგილისთვის ბრძოლაში.

**10** - „ვალანსიენის" კარში გატანილი პენალტი, **გრჟეგორჟ კრიხოვიაკისთვის** მხოლოდ მე-4 გოლი იყო, თუმცა ამ 4 ბურთით კრიხოვიაკმა საკუთარ გუნდს 10 ქულა მოუტანა. ბოლო სამი გოლი პოლონელმა იმ შეხვედრებში გაიტანა, რომელიც „რეიმსმა" 1:0 მოიგო.

**1** - ბოლო ტურში, „სოშოს" „ბასტიასთან" ქულის აღება სჭირდება იმისთვის, რომ ლიგა 1-ში ადგილი შეინარჩუნოს და „ტრუა" კვლავ მეორე დივიზიონში დააბრუნოს.



კლემან გრენიე (მარცხნივ)

● ამბები

## პისარო დაბრუნდა

„ფიორენტინას" ნახევარმცველი ჩილეს ნაკრებს უბრუნდება. **დავიდ პისარო** 8-წლიანი პაუზის შემდეგ, ისევ მოირგებს საკუთარი ქვეყნის ეროვნული გუნდის ფორმას. ნაკრებში უკანასკნელი შეხვედრა 33 წლის ფეხბურთელმა 2005 წელს ჩაატარა. მაშინ, დისციპლინის დარღვევის გამო, პისარომ, რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად, დისკვალიფიკაცია მიიღო, ვადის გასვლის შემდეგ კი ეროვნულ გუნდში თამაშზე უარი განაცხადა. ჩილელთა არგენტინელმა დამრიგებელმა, **ხორხე სამპაოლიმ** ვეტერანი ნახევარმცველი დაითანხმა და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის უახლოესი ორი შეხვედრისთვის გამოიძახა. ჩილე 7 ივნისს პარაგვაის შეხვდება, 11-ში კი ბოლივიას.

## ზეედორფი საუკეთესოა

რიო დე ჟანეიროს შტატის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად **კლარენს ზეედორფი** დაასახელეს. შეგახსენებთ, რომ ტურნირის გამარჯვებული ჰოლანდიელის „ბოტაფოგო" გახდა, რომელმაც კარიოკას ორივე ეტაპი (ტაკა გუანაბარა და ტაკა რიო) მოიგო და ისე გაჩემპიონდა, რომ სუპერფინალის ჩატარება საჭირო არ გახდა. „ფოგოს" ტრიუმფში ყველაზე დიდი წვლილი 37 წლის ნახევარმცველმა შეიტანა.

სიმბოლურ ნაკრებში ჩემპიონის 8 ფეხბურთელი მოხვდა. გარდა ამისა, „ბოტაფოგოს" წევრებმა მოიგეს საუკეთესო მწვრთნელის (**ოსვალდო დე ოლივეირა**) და ახალბედას (**ვიტინიო**) პრიზიც.

კარიოკას სიმბოლური ნაკრები:

**მეკარე:** ჟეფერსონი (ბოტაფოგო)

**მცველები:** ლუკასი (ბოტაფოგო), ბოლივარი (ბოტაფოგო), დორია (ბოტაფოგო), კარლინიოსი (ფლუმინენსე).

**ნახევარმცველები:** გაბრიელი (ბოტაფოგო), ჟეანი (ფლუმინენსე), კლარენს ზეედორფი (ბოტაფოგო), ნიკოლას ლოდეირო (ბოტაფოგო).

**თავდამსხმელები:** ერნანი (ფლამენგო), რაფაელ მარკეში (ბოტაფოგო).

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები



გონსალო იგუაინი

## რეალი ლევანდოვსკისა და ისკოს შეძენაზე მოლაპარაკებებს მართავს

ესპანური პრესის თანახმად ამჟამად მადრიდის „რეალი" სამ კლუბთან აწარმოებს ტრანსფერზე მოლაპარაკებას. ტურინის „იუვენტუსი" დაინტერესებულია **გონსალო იგუაინის** შეძენით.

თავის მხრივ, „რეალს" სურს დორტმუნდის „ბორუსიას" ფორვარდი **რობერტ ლევანდოვსკი** და „მალაგას" შემტევი ნახევარმცველი **ისკო**.

წყაროს ცნობით, „რეალი" ზაფხულში ტრანსფერზე დააყენებს **ლუკა მოდრიჩს**, ისკო მისი ბუნებრივი შემცვლელი იქნება, ლევანდოვსკი კი იგუაინს ჩაანაცვლებს.

## ახალ სეზონს ნეიმარი „ბარსაში" დაიწყებს?

21 წლის **ნეიმარის** მომავალი საფეხბურთო კარიერა ჯერაც ბურუსით მოცულია. ახლახან გაიმართა „ბარსელონას" ვიცე-პრეზიდენტ **რაულ სანლეის** და „სანტოსის" პრეზიდენტის, **ოდილიო როდრიგესის** შეხვედრა. „სანტოსს" სურს ნეიმარის გაყიდვა, თუმცა სხვა პრობლემები წარმოიშვა.

ნეიმარის ტრანსფერს ამ ეტაპზე აფერხებს ბრაზილიელი ფეხბურთელის მამა, რომელსაც მიაჩნია, რომ მისი შვილი კონფედერაციათა თასის შემდეგ უფრო ძვირად გაიყიდება. თუმცა ამ შემთხვევაში „ბარსა" მას უკვე ველარ შესწვდება, რადგან 60 მილიონ ევროზე მეტს ვერ გადაიხდის. ფეხბურთელი სავარაუდოდ „რეალს" ჩაუვარდება ხელში, ან „ჩელსის".

თუმცა არის ერთი სიახლეც: ბრაზილიურ პრესასთან ურთიერთობისას „სანტოსის" სამწვრთნელო შტაბის ერთ-ერთმა წევრმა ინკოგნიტოს სტატუსით განაცხადა, რომ „სანტოსში" 100%-ით დარწმუნებულნი არიან, რომ ნეიმარი ახალ სეზონს „ბარსელონაში" დაიწყებს.

*„ჩვენ ერთი წამითაც არ გვეპარება ეჭვი, რომ ახალი სეზონიდან ნეიმარი „ბარსელონაში" ითამაშებს. ახლა უბრალოდ, „სანტოსი" საკუთარ ინტერესებს იცავს ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულებასთან დაკავშირებით".*

## სოსიედადის თავკაცმა ჩემპიონთა ლიგა რენზე გაცვალა!

ესპანეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე სან სებასტიანის „რეალ სოსიედადი" მე-4 ადგილზეა, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურს იძლევა.

ბასკებს ორი მატჩი დარჩათ „რეალთან" შინ და „დეპორტივოსთან" სტუმრად. ამ დროს კი გუნდის ფრანგმა თავკაცმა **ფილიპ მონტანიემ** კლუბიდან წასვლა გამოაცხადა.

კარგი შედეგების გამო მას ახალ კონტრაქტს სთავაზობდნენ, მაგრამ მონტანიემ უარი თქვა და „რენში" **ფრედერიკ ანტონეტის** შეცვლის.

მონტანიე „რენთან" 3-წლიან კონტრაქტს აფორმებს. 48 წლის სპეციალისტი 2011 წელს დაინიშნა „რეალ სოსიედადში". 2009 წელს ის ლიგა 2-ის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს („ბულონში").

ესპანეთი. ლა ლიგა. XXXVI ტურის შეჯამება

# განსაკუთრებულის 3-წლიანი ეპოქის დასასრული

**ამჯერად** მცირე შეჯამებას გთავაზობთ ტურისას, როდესაც გამოცხადდა ჟოზე მოურინიოს სამწლიანი ერის დასასრული მადრიდის „რეალში". გაზეთმა „მარკამ" 90 ათასი ადამიანი გამოკითხა, რომლის 40% პროცენტი უკიდურესად უარყოფითად აფასებს „განსაკუთრებულის" მადრიდულ კარიერას. 50 წლის მოურინიომ „რეალთან" ერთად სულ 3 ტიტული მოიგო, რომელთაგანაც შარშანდელი ჩემპიონობა უმთავრესია. მოურინიოს გაქანების მწვრთნელისთვის აშკარად ცოტაა.



ბარსელონამ ახალი სეზონის ფორმა წარადგინა

## კაპიტნის საქციელი

„ბარსელონამ" „კამპ ნოუზე" „ვალიადოლიდთან" არაფრისმომცემი მატჩის წინ 82-ე ლა ლიგის ტიტული ჩაიბარა. სხვებთან ერთად იზეიმა **ლეო მესის** თვეების ვაჟმა **ტიაგო მესიმ**. მისმა მამამ კი თამაშში ტრავმის გამო ვერ მიიღო მონაწილეობა.

ტიტულის გადაცემის ცერემონიალისას ყველაფერი გააფუჭა **ალექს სონგმა**. საქმე იმაშია, რომ **კარლეს პუიოლმა** გადაწყვიტა კაპიტნის უფლებით არ ესარგებლა და ჩემპიონის თასი სიმსივნესთან მებრძოლ **ერიკ აბიდალს** და **ტიტო ვილანოვას** აღემართათ. კამერუნელი აბიდალის გვერდით იდგა, როცა პუიოლმა ფრანგს ხელი დაუქნია, სონგს ეგონა, რომ მას ეძახდნენ და ვილანოვასა და აბიდალს შორის ჩადგა.



ლეო და ტიაგო დაჯილდოებაზე

### იცით, თუ არა, რომ...

* **ვიქტორ ვალდესმა** „ბარსელონას" შემადგენლობაში მე-500 მატჩი ითამაშა.

* 24-წლიანი განშორების შემდეგ პრიმერადივიზიონს „ელჩე" დაუბრუნდა.

* ვიქტორ ვალდესმა ლა ლიგაში მე-300 გოლი გაუშვა

### ტურის საუკეთესო გოლი

**დიეგო ბუონანოტე** (მალაგა) „ოსასუნას" კარში

### ტურის საუკეთესო პასი

**კარლოს მარტინესი** (რეალ სოსიედადი) საგოლე პასი **იმანოლ აგირეჩეს**.

### ტურის სტატისტიკა

33 გოლი ტურში (3,3 მატჩში). 5 თამაში მოიგეს მასპინძლებმა, ფრედ მატჩი არ დასრულდა და 5 სტუმრებმა მოიგეს. მსაჯებმა 56 ყვითელი ბარათი, 4 წითელი დაარიგეს.

### მომდევნო ტური

26 მაისი: ბილბაო-ლევანტე, ატლეტიკო-მალიორკა, ბეტისი-სარაგოსა, ესპანიოლი-ბარსელონა, ხეტაფე-რაიო ვალეკანო, მალაგა-დეპორტივო, ოსასუნა-სევილია, რეალ სოსიედადი-რეალი, ვალენსია-გრანადა, ვალიადოლიდი-სელტა.

ტურის გმირი

ჟერემი მატიო (ვალენსია)



„ვალენსიას" ფრანგმა მცველმა „ხეტაფეს" კარში ერთადერთი გოლი გაიტანა, რითაც „ღამურები" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში დატოვა. მატიოს ბურთი პარეხომ დაუგორა საჯარიმოს მისადგომთან.

### ბომბარდირები

46 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
34- კრიშტიანო რონალდო (რეალი)
28 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

### ასისტენტები

15 - ანდრეს ინიესტა (ბარსელონა)
12 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
11 - სესკ ფაბრეგასი (ბარსელონა)

### გოლი+პასი

58 - ლიონელ მესი (ბარსელონა)
44 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)
29 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო)

წინა ტურთან შედარებით მთელი 11-ეული შეიცვალა. კრიშტიანო რონალდო (რომლის „რეალმაც" ადრე ითამაშა 36-ე ტურის მატჩი) სიმბოლურში მე-16-ედ მოხვდა. გუნდში კი 4 დებიუტანტია.

### მე-12 ფეხბურთელი

**იმანოლ აგირეჩე** (სოსიედადი)

## ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით




ამბები

## ფლორენტინო: დასამალი რაა, პსჟ-ს ანჩელოტის თაობაზე ველაპარაკეთ

მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა **ფლორენტინო პერესმა** უკვე გამოაცხადა, რომ **ჟოზე მოურინიო** სეზონის დასრულების შემდეგ გუნდიდან მიდის, თუმცა არაფერი უთქვამს მის შემცვლელზე. ფლორენტინოს მოუწია კონკრეტულ კითხვაზე პასუხის გაცემამ: რას იტყვის ის **კარლო ანჩელოტიზე**.

პრეზიდენტის პასუხი ასეთი იყო: *„რა თქმა უნდა, ჩვენ უკვე ვფიქრობთ ახალი მწვრთნელის კანდიდატურებზე. მაგრამ ამ ეტაპზე არც ერთ მწვრთნელთან არ მიგვიღწევია რაიმე სახის შეთანხმებისთვის. ჩვენ პატივს ვცემთ სხვა კლუბებს, მათ შორის „პარი სენ-ჟერმენს". დასამალი არაფერია, ჩვენ უკვე მივმართეთ პარიზულ კლუბს, მაგრამ მათ აგვიხსნეს, რომ ანჩელოტის ტრანსფერი „რეალში" შეუძლებელია. მას მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს პსჟ-სთან".*

„მარკას" ცნობით, პსჟ არ შეუშლის ხელს ანჩელოტის სურვილის ასრულებაში. ერთი პირობით, „სამეფო კლუბს" რამდენიმე ფეხბურთელის დათმობა მოუწევს. პარიზული კლუბის პრეზიდენტი **ნასერ ალ-ხელაიფი** მზადაა შემხვედრი ნაბიჯი გადადგას „სამეფო კლუბისკენ", თუკი ეს უკანასკნელი პარიზელთა ინტერესის სფეროში მყოფი რამდენიმე ფეხბურთელის შესახებ მოლაპარაკებაზე დათანხმდება.

ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ პსჟ-ს **კრიშტიანო რონალდო, ანხელ დი მარია**, პეპე და **გონსალო იგუაინი** აინტერესებს.

## მაროტა მადრიდში პიპიტასთვის

ტურინის „იუვენტუსის" გენერალური დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** მადრიდში მიფრინავს „სამეფო კლუბთან" **გონსალო იგუაინის** ტრანსფერის საბოლოოდ შესათანხმებლად.

როგორც უკვე ცნობილია, „რეალი" და თავად არგენტინელი ფეხბურთელი თანახმა არიან დაიწყოს მოლაპარაკება ტრანსფერზე. „პიპიტას" „რეალის" სასტარტო შემადგენლობაში გარანტირებული ადგილი არა აქვს, მას ხიბლავს „ბებერი ქალბატონის" რიგებში გადასვლის პერსპექტივა.

ესპანური პრესის ცნობით, „რეალი" იგუაინის სანაცვლოდ 30 მილიონ ევროს ითხოვს. იტალიური გრანდი ამდენის გადახდას არ აპირებს. არგენტინელი, სავარაუდოდ, 25 მილიონად გაიყიდება.

შეგახსენებთ, რომ 25 წლის ფეხბურთელს „რეალთან" 2016 წლამდე აკავშირებს ხელშეკრულება.

## 16 ივნისს რეალის პრეზიდენტის არჩევნებია

**ფლორენტინო პერესის** 20 მაისის პრესკონფერენციაზე ყველაფერი გადაფარა **ჟოზე მოურინიოს** ამბავმა, თუმცა პერესმა სხვა მნიშვნელოვან საკითხებზეც ილაპარაკა. მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა გამოაცხადა კლუბის პრეზიდენტის ახალი არჩევნების თარიღი - 16 ივნისი.

ფლორენტინო პერესმა უკვე დაადასტურა, რომ თავადაც მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში.

პრეზიდენტის კანდიდატი უნდა იყოს: ესპანეთის მოქალაქე, 20 წლის განმავლობაში მაინც უნდა იყოს „რეალის" კლუბის წევრი, არ უნდა იყოს, რომელიმე სხვა კლუბის ხელმძღვანელი პირი, ასევე, მან უნდა წარადგინოს საბანკო ჩეკი, რომელიც „რეალის" წლის ხარჯების 15%-ს უნდა შეადგენდეს.

გვერდი მოამზადა

**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ლივერპული

# წითლების სატრანსფერო გეგმები

## კოლო და კირიაკოსი დაცვას მიხედავენ

ბრიტანული „დეილი მეილის“ ჟურნალისტის, **დომინიკ კინგის** მტკიცებით, „მანჩესტერ სიტის“ 32 წლის ივუარელი ცენტრალური მცველი **კოლო ტურე** კარიერას „ლივერპულში“ განაგრძობს. ვეტერანს „ქალაქელებთან“ ხელშეკრულება ერთი თვის შემდეგ უმთავრდება. შესაბამისად ის „ენფილდზე“ სრულიად უსასყიდლოდ ამოყოფს თავს. „სიტიში“ ფეხბურთელმა ოთხი წელიწადი გაატარა, თუმცა ძირითადის მოთამაშედ არასოდეს მიიჩნეოდა. ამ ხნის განმავლობაში მან სულ 99 თამაში ჩაატარა. **ბრენდან როჯერსი** კოლო ტურეს პენსიაზე გასული **ჯეიმი კარაგერის** შემცვლელად განიხილავს. ამჟამად ივუარელი ამერიკაში იმყოფება გუნდთან ერთად, მერსისაიდს კი ის ოკეანის გაღმიდან დაბრუნებისთანავე ესტუმრება. აფრიკელის აგენტსა და „ლივერპულს“ შორის პრინციპულ საკითხებზე შეთანხმება უკვე მიღწეულია. მოსალაპარაკებელი მხოლოდ დეტალებიღა დარჩა. რამდენიმე დღის წინ ჩვენ უკვე ვწერდით, რომ კოლო ტურე უპირატესობას ინგლისურ კლუბებს მიანიჭებდა, რადგან მას ამ ქვეყნიდან წასვლის პერსპექტივა არ ხიბლავს.


ლივერპულმა კოლო ტურე უკვე დაიბევა და დივუარელის გარდა კიდევ ერთ კარგ ცენტრალურ მცველს ეძებს

### 12 მილიონი პაპადოპულოსში

Liverpool Echo-ს ინფორმაციით, „ლივერპული“ მზად არის „შალკეს“ 21 წლის ბერძენი ცენტრალური მცველი **კირიაკოს პაპადოპულოსი** შეიძინოს. ბერძენ ფეხბურთელზე მოლაპარაკებების დაწყებას „წითლები“ შარშან შემოდგომაზეც აპირებდნენ, მაგრამ ნოემბერში კირიაკოსი მარცხენა მუხლზე საოპერაციო შეიქნა, რის გამოც მან ბუნდესლიგის მე-2 წრე მთლიანად გამოტოვა. ამჟამად ის უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს. მერსისაიდელები იმედოვნებენ, რომ გერმანელები 12 მილიონ ფუნტს (14,13 მლნ ევრო) დათანხმდებიან. კოლო ტურეს გარდა კიდევ ერთი სტოპერით დაინტერესება შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ **ბრენდან როჯერსი მარტინ შკრტელთან** გამოთხოვებას აპირებს. 28 წლის სლოვაკი 2013 წლის იანვრიდან მოყოლებული სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ 2-ჯერ მოხვდა, იყო შემთხვევები, როცა ის საერთოდ განაცხადს მიღმაც კი რჩებოდა.

„ლივერპული“ პაპადოპულოსის გარდა **ეშლი უილიამსისა** („სუონსი“, 28 წლის) და **ტობი ალდერვეირელდის** („აიაქსი“, 24 წლის) კანდიდატურებსაც განიხილავს. ზემოთ ხსენებული წყაროს ცნობით, როჯერსმა ლისაბონის „სპორტინგს“ 20 წლის **ტიაგუ ილორიში** 3,5 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ პორტუგალიელებს თანხა ეცოტავათ. ერთი სიტყვით, მომდევნო სეზონისთვის „ენფილდზე“ აუცილებლად გამოჩნდება მინიმუმ ორი ახალი უკანახაზელი.

● არსენალი

# არსენალი ტიტულს გაისად გეგმავს


არსენალის აღმასრულებელი დირექტორი ივან გაზიდისი

„არსენალის“ შემადგენლობის გაძლიერებაზე „ნიუკასლთან“ 38-ე ტურის შეხვედრის დასრულების შემდეგ არსენ ვენგერმა ვრცლად ილაპარაკა. ამავე თემას შეეხო კლუბის ვებგვერდთან ინტერვიუში „მეთოფეთა“ აღმასრულებელი დირექტორი ივან გაზიდისი. სატრანსფერო გეგმების გარდა მან გუნდის შესახებაც საინტერესოდ ისაუბრა:

- „არსენალმა“ პრემიერლიგის დასკვნით ეტაპზე ყველა გააოცა თავისი თამაშით. გუნდმა იმდენად კარგი ფორმა აკრიფა, რომ საამაყოდ გვქონდა საქმე. ბოლო ტურში მოგების წყალობით ზედიზედ მეთექვსმეტედ მოვახერხეთ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი ჩვენთვის არ ყოფილა პროგრამა-მაქსიმუმი. ზუსტად ეს გვითხრა „არსენალის“ ბოსმა სტენ კრონკემ, რომ მე-4 ადგილი კარგია, მაგრამ გუნდმა მომდევნო სეზონში ერთ-ერთი ის ტურნირი უნდა მოიგოს, რომელშიც ითამაშებს. საამისოდ კი მას გაძლიერება დასჭირდება. ვენგერმა ამ საკითხზე მუშაობა უკვე დიდი ხანია დაიწყო. ერთი რამის თქმა დარწმუნებით შეიძლება. კლუბს ყველა პირობა აქვს შექმნილი იმისთვის, რომ მხოლოდ და მხოლოდ წინ იაროს. ზუსტად ამას მოწმობს ის, რომ „არსენალმა“ ჩემპიონატში ბოლო 16 შეხვედრიდან მხოლოდ 1 დათმო. გუნდს მყარი საძირკველი აქვს გაჭრილი იმისთვის, რომ სამომავლოდ ზედ წარმატებული მომავალი აშენდეს.

● სანდერლენდი

# ფეხბურთელები დი კანიოს წინააღმდეგ

„სანდერლენდის“ ფეხბურთელები გუნდის მთავარ მწვრთნელ **პაოლო დი კანიოს** პროფკავშირებში უჩივიან და იტალიელის ალოგიკური ჯარიმებისა და გაუგებარი პოლიტიკისგან დაცვას ითხოვენ. „შავი კატების“ დამრიგებელმა პრემიერლიგის ბოლო ტურის წინ ერთბაშად 7 ფეხბურთელი დააჯარიმა ვარჯიშზე დაგვიანებისთვის, მაგრამ მოთამაშეებს ამის გამო პრეტენზია არ გასჩენიათ. დი კანიომ რამდენიმე შეგირდი იმის გამო დასაჯა, რომ მათ გაბედეს და გუნდის ექიმის ზარებს არ უპასუხეს, სხვებს კი ავტოგრაფების სესიაზე არმისვლის გამო დაუქვითა ხელფასი. ის კიდევ უფრო შორს წავიდა და ხელმძღვანელობისგან **ფილ ბერდსლისა** და **მეტიუ კილგალონის** ტრანსფერზე დაყენებას ითხოვს. მიზეზი ამჯერად 14 მაისს „არსენალი“-„უიგანის“ შეხვედრის კაზინოში ყურება გახდა. პრემიერლიგის 37-ე ტურის ეს შეხვედრა ასოციაციის თასის ფინალის გამო მოგვიანებით გაიმართა, მაშინ, როცა ბერდსლისა და კილგალონს თავისი მატჩი უკვე გადაგორებული ჰქონდათ. „საუთჰემპტონთან“ პირველმა მოედანზე 90 წუთი გაატარა, მეორე კი ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დარჩა.


პაოლო დი კანიო

● ამბები

### რუნი უკვე ორი შვილის მამაა


უეინ რუნის ოჯახში მატებაა

„მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების 27 წლის თავდამსხმელ **უეინ რუნის** სამშაბათს გრინვიჩის დროით ღამის 2:11 საათზე მეორე ვაჟი **კლეი ენტონი რუნი** ეყოლა. ახალშობილი 3,5 კგ-ს იწონის. ისიც და უეინის მეუღლე **კოლინიც** თავს შესანიშნავად გრძნობენ. ფეხბურთელმა აღნიშნული ინფორმაცია „ტვიტერის“ საშუალებით პირადად გაავრცელა. უეინსა და კოლინს უფროსი ვაჟიც ჰყავთ. **კაი რუნი** უკვე 3 წლის გახლავთ. სწორედ მეუღლის მდგომარეობა გახდა იმის მიზეზი, რომ 2012/13 წლების სეზონის უკანასკნელ შეხვედრაში „ვესტ ბრომვიჩთან“ (5:5) რუნი განაცხადში ვერ მოხვდა. ამ შემთხვევაში „იუნაიტედიდან“ რუნის წასვლის სურვილი არაფერ შუაში იყო.

### სამი წლით ციხეში

კვირას გამთენიას ბუქარესტის აეროპორტში „სტიაუას“ მილიარდერი მესაკუთრის **ჯიჯი ბეკალის** დაკავების შესახებ გუშინდელ ნომერში უკვე ვწერდით. გამოძიება მას რუმინეთის თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებთან ერთად ქვეყნისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ზარალის მიყენებას ედავებოდა. ბიზნესმენმა სწორედ სასამართლოს გადამწყვეტი სხდომის წინ დააპირა ქვეყნიდან გაპარვა, მაგრამ სასაზღვრო პოლიციის მოტყუება ვერ მოახერხა. გუშინ ბუქარესტის სასამართლომ 54 წლის ოლიგარქს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

### რაცი ჩაქუჩი გახდა

„დეილი მეილის“ ინფორმაციით, დონეცკის „შახტარის“ 31 წლის მარცხენა მცველმა **რაზვან რაცმა** გუშინ „ვესტ ჰემის“ ექიმების მეთვალყურეობით სამედიცინო შემოწმება გაიარა და ლონდონურ კლუბთან 3-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. *„რაზვანი ლონდონელთათვის სასურველ ფეხბურთელთა სიაში პირველ ადგილზე გახლდათ. სწორედ ამიტომ იყო, რომ კლუბმა პირველად სწორედ ჩემს კლიენტთან გააფორმა ხელშეკრულება,“* – განაცხადა რუმინელის აგენტმა **ფლორინ მანიამ**. *„ჩვენს რიგებში აღმოჩნდა ფეხბურთელი, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაშიც და ეროვნულ ნაკრებშიც უმაღლეს დონეზე უთამაშია. მისი გამოცდილება და ნიჭი ჩემს გუნდს დიდად წაადგება,“* – განაცხადა **სემ ელერდაისმა**.


რაცი სამედიცინო შემოწმებაზე

### ფსონების მიღება დაიწყო

მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთმა ყველაზე მსხვილმა ბუკმეიკერულმა კანტორა „უილიამ ჰილმა“ იქამდე, ვიდრე მიმდინარე ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაიმართება, მომდევნო 2013/14 წლების სეზონის გამარჯვებულზე ფსონების მიღება დაიწყო. ექსპერტების აზრით, საუკეთესო შანსი ევროპის ყველაზე პრესტიჟული საკლუბო გათამაშების მოსაგებად მიუნხენის „ბაიერნს“ აქვს (4,50), მეორეზეა „ბარსელონა“ (5,50), მესამეზე – მადრიდის „რეალი“ (7,50). „უილიამ ჰილის“ გათვლით, 25 მაისს „უემბლიზე“ გასამართ გადამწყვეტ შეხვედრას აშკარა ფავორიტი ჰყავს. ტიტულის მოგებაზე „ბაიერნის“ შანსი 1,40-ზეა შეფასებული, „დორტმუნდის“ ტრიუმფს კი 2,70 უწერია.

პოპულარულმა კანტორამ პრემიერლიგის დასრულებიდან ორიოდე დღეში 2013/14-ის სეზონის ფავორიტებიც დაასახელა. „იუნაიტედს“ (2,75) თანაქალაქელ „სიტისთან“ (2,87) მცირე უპირატესობა აქვს.

### ასტონ ვილას დანი არ სჭირდება


რიჩარდ დანი

„ტელეგრაფის“ ინფორმაციით, „ასტონ ვილამ“ ირლანდიელ **რიჩარდ დანს** ოფიციალურად აცნობა, რომ მომდევნო სეზონისთვის მასთან თანამშრომლობას არ გეგმავს. რაკი ვეტერან ცენტრალურ მცველს ხელშეკრულება ეწურება, მას ახალი კლუბის ძებნა მოუწევს. 2012/13 წლების სეზონში დანს ერთხელაც არ უთამაშია. რისი ძირითადი მიზეზიც ტრავმებია. ამას გარდა ბირმინგემელთა თავკაცი **პოლ ლამბერტი** უახლოეს დღეებში კიდევ რამდენიმე მოთამაშესთან აპირებს შეხვედრას, რათა სამომავლო გეგმები მათთანაც განიხილოს. შოტლანდიელი მაღალანაზღაურებად, მაგრამ უსარგებლო ფეხბურთელებთან გამოთხოვებას აპირებს. ლაპარაკია **დარენ ბენტზე** (29 წლის, თავდამსხმელი, 16 თამაში 3 გოლი), **სტივენ აირლანდსა** (26 წლის, ნახევარმცველი, 13 თამაში) და **შეი გივენზე** (37 წელი, მეკარე, 2 თამაში).

### პულისი გადადგა


ტონი პულისი

პრემიერლიგის 2012/13 სეზონის ბოლო ტურიდან 72 საათზე ცოტა მეტია გასული და მთავარი მწვრთნელი უკვე ხუთ გუნდში შეიცვალა. **ალექს ფერგიუსონის, რობერტო მანჩინის, რაფა ბენიტესისა** და **დევიდ მოიესის** გზას „სტოკ სიტის“ 55 წლის დამრიგებელი **ტონი პულისიც** დაადგა. უელსელი „ბრიტანია სტედიუმზე“ 2006 წლიდან მუშაობდა. ჯერჯერობით მისი მემკვიდრეობის ფავორიტად ბრიტანული პრესა **რობერტო დი მატეოს** მიიჩნევს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● ლეგენდა



2012/13 წლების სეზონის საუკეთესოდ ალექს ფერგიუსონი დაასახელეს

# სერ ალექსის კიდევ ერთი აღიარება

ინგლისში მწვრთნელთა ასოციაციის მიერ წლის საუკეთესო სპეციალისტად აღიარება პრესტიჟულ ჯილდოდ მიიჩნევა (არ შეგვეშალოთ „ბარკლაის“ ვერსიით საუკეთესოში), რადგან მასში პრემიერლიგასა და ჩემპიონშიპში მომუშავე მწვრთნელების გარდა მხოლოდ ინგლისის ნაკრების თავკაცი მონაწილეობს.

2012/13 წლების სეზონის დასრულების შემდეგ კოლეგებმა საუკეთესოდ **ალექს ფერგიუსონი** დაასახელეს. ლეგენდარული შოტლანდიელისთვის ეს ტიტული უკვე მეოთხეა. აი, რა თქვა ასოციაციის თავმჯდომარე **ჰოვარდ უილკინსონმა:**

*„ეჭვიც კი არ მეპარებოდა, რომ ყველაზე მეტად სწორედ ალექს ფერგიუსონი იმსახურებდა ჩვენგან ასეთ პატივს. ჩვენი არჩევანი ყოველთვის ყველაზე ობიექტურია, რადგან მწვრთნელის მიერ ჩატარებულ სამუშაოს მისივე კოლეგები აფასებენ. ძნელია გაიხსენო და ჩამოთვალო ყველაფერი, რაც კი ოდესმე სერ ალექსს მოუგია. დღევანდელი პრიზი მისთვის მხოლოდ ერთ-ერთი იქნება მის დამსახურებათა ვრცელ ნუსხაში. მისთვის ეს კიდევ ერთი მწვერვალია, რომელიც დაიპყრო. აქამდე 4-ჯერ ეს პრიზი არავის მოუგია“.*

**ლევან ბიბილაშვილი**






ჩოგბურთი

# ტატიშვილს ვესნამ ვერ არგო

სტრასბურგში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 235.000 დოლარი), რომლის მთავარ ბადეში ჩაება თბილისელი **ანა ტატიშვილი.** ჩვენებური ასპარეზობის პირველ დღეს „უაილდ ქარდით" მიწვეულ მასპინძელს - კაროლინ გარსიას უნდა დაპირისპირებოდა, მაგრამ უამინდობის გამო ეს შეხვედრა გუშინ გაიმართა. პირველი სეტი ფრანგმა დაძაბულ ბრძოლაში 7:6 მოიგო, მაგრამ საბოლოო გამარჯვებისთვის ძალა არ ეყო: მომდევნო ორი ხელი დათმო - 5:7, 4:6 და ტატიშვილი შემდეგ ეტაპზე გავიდა, რითაც 30 სარეიტინგო ქულაც დაიმსახურა. მეორე წრეში იგი მე-5 ნომერ რუმინელ მონიკა ნიკულესკუს (მსოფლიო რეიტინგით 49-ე) შეხვდება. ამ უკანასკნელმა მძიმე პაექრობაში მარინა ერაკოვიჩს (ზელანდია) სძლია - 6:7, 6:3, 7:6.


ანა ტატიშვილი

ტურნირზე პირველ ნომრად იყო განთესილი მასპინძელი მარიონ ბარტოლი, მაგრამ მან იოლად დათმო სასტარტო ორთაბრძოლა იტალიელ კამილა ჯორჯისთან - 3:6, 2:6.

წყვილებში ტატიშვილი ვესნა დოლანჩთან (სერბეთი) იყო შეამხანაგებული. ქართველი ჩოგბურთელი გუშინ მეორედ გავიდა კორტზე და ვესნასთან ერთად კარა ბლექისა (ზიმბაბვე) და მარინა ერაკოვიჩის (ზელანდია) დუეტს დაუპირისპირდა. თავიდან ჩვენებურისა და სერბის ტანდემი დაწინაურდა 3:2, თუმცა იმდენი მოახერხეს, რომ საქმე ტაიბრეიკებამდე მიიყვანეს და საბოლოოდ პირველი ხელი 6:7 წააგეს. მეორე სეტში ტატიშვილმა და მისმა მეწყვილემ ზედიზედ 4 გეიმი დათმეს, მართალია, მერე გარკვეულწილად მდგომარეობა გამოასწორეს, მაგრამ მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ - 4:6 და შეჯიბრებას გამოეთიშნენ. ბლექი და ერაკოვიჩი მეორე წრეში პოლონელებს - მარტა ლინეტეს და კატარზინა პიტერს შეხვდებიან. ამ წყვილმა გუშინ ნიკოლ კლერიკო (იტალია) და ჟუსტინა ჟეგიოლკა (პოლონეთი) იოლად დაჯაბნა - 6:2, 6:0.

იტალიურ კასერტაში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) წარმატებით აილო სტარტი **მარგალიტა ჩახნაშვილმა.** პირველ წრეში მან კვალიფიკაციიდან ალზევებული კაროლინა პილოტი (იტალია) დაამარცხა და მე-2 წრეში მესამე ნომრად განთესილ კრისტინა დინუს (რუმინეთი) გაუწევს მეტოქეობას. ამ უკანასკნელმა გუშინ ბრაზილიელი ედუარდა პიაი დაამარცხა - 6:0, 6:3.

ვაჟა დანელია

ავტოსპორტი


დათა ქაჯაია

# ქაჯაიას პოკერი

საფრანგეთში შარადის ტრეკი ქალაქ კლერმონ ფერანის სიახლოვეს მდებარეობს. სწორედ იქ გაიმართა ლეჯენდსის კლასის სარბოლო ავტომობილების ევროპის ეროვნებათა თასის მეორე ეტაპი, რომელშიც კვლავ იყოჩაღა ქართველმა მრბოლმა **დათა ქაჯაიამ.** ჩვენებურმა ორ კლასიფიკაციაში მეორე და მესამე ადგილები დაიკავა, სპრინტში კი ტოლი არ ჰყავდა. საგულისხმოა, რომ ქართველმა სპორტსმენმა ევროპის ტრასებზე ოთხი რბოლა მოიგო და კლასიფიკაციაში გამოკვეთილი ლიდერია. მომავალ კვირას ქაჯაია მეორე სპრინტსა და მთავარ რბოლაში ჩაებმება.

ვაჟა დანელია

# სომხეთით ვიწყებთ

სან მარინოში ჩოგბურთელ ვაჟთა დევისის თასის გათამაშების ევროაფრიკული ზონის მე-3 ჯგუფის 16 გუნდი შეიკრიბა. გუშინ წილისყრა გაიმართა, რომელმაც მოასპარეზენი სამ სამგუნდა და ერთ ოთხგუნდა ჯგუფში გადაანაწილა. სტარტზე საქართველოს ნაკრებს (ალექსანდრე მეტრეველი, გიორგი ცივაძე, შოთა მეფარიძე, კაპიტანი ვიქტორ ბაკში) გაუმართლა - ფავორიტებს ასცდა: მეორე ჯგუფის ორი საგზურისთვის პლეი ოფში გასასვლელად C ჯგუფში მასპინძელ სან მარინოს (დიეგო ზონზინი, მარკო დე როსი, პიეტრო გრასი, მოთამაშე კაპიტანი - დომენიკო ვიცინი) და სომხეთს (აშოტ გევორქიანი, ხაჩატურ ხაჩატრიანი, სედრაქ ხაჩატრიანი, მიქაელ ავეტისიანი, კაპიტანი ვაჰე ავეტისიანი) დაუპირისპირდება.

დანარჩენ ჯგუფებში გუნდები ასე განაწილდნენ:

A **ჯგუფი.** საბერძნეთი, ჩერნოგორია, ლიხტენშტეინი.

B **ჯგუფი.** ნორვეგია, მალტა, ისლანდია.

D **ჯგუფი.** მაკედონია, თურქეთი, ალბანეთი, აზერბაიჯანი.

წრიული შეხვედრების შემდეგ A ჯგუფის პირველადგილოსანი C ჯგუფის გამარჯვებულს შეხვდება, B ჯგუფისა - D ჯგუფში უძლიერესს გაუწევს მეტოქეობას.

დღეს, 22 მაისს, ითამაშებენ: ჩერნოგორია - საბერძნეთი, ნორვეგია - მალტა, **საქართველო - სომხეთი**, თურქეთი - მაკედონია, ალბანეთი - აზერბაიჯანი.

ვაჟა დანელია

ანმყო, შობილი წარსულისაგან

# დინამოს დაბრუნება

შეუდარებელია სპორტსაზოგადოება „დინამოს" წვლილი ქართული სპორტის წინსვლა-განვითარებასა და უმაღლეს სპორტულ მიღწევებში. მაგრამ ეს იყო წარსულში. ტრადიციების აღორძინებასა და სამომავლო გეგმებზე „ლელოს" შეკითხვებს პასუხობს სპორტსაზოგადოების სამართალმემკვიდრე "ფიზკულტურულ- სპორტულ კლუბ „დინამოს" ახალი ხელმძღვანელი **ნოდარ სირბილაშვილი.**

**- რაკი სათავეში ჩაუდექით ამ ისტორიულ ორგანიზაციას, ტრადიციების აღორძინების გზებიც გექნებათ დასახული. როგორ აპირებთ მიზნის მიღწევას?**

- საქართველოს „დინამო" ერთ-ერთი მოწინავე იყო „დინამოს" საკავშირო ორგანიზაციებს შორის. ჩვენთან აღიზარდა 17 ოლიმპიური ჩემპიონი, 16 ვერცხლისა და 22 ბრინჯაოს პრიზიორი; 25 მსოფლიოს და 54 ევროპის ჩემპიონი. თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდი ორჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და თასის მფლობელი და რაც მთავარია, მოიპოვა ევროპის თასების თასი. კალათბურთელები საკავშირო ჩემპიონატების არაერთგზის გამარჯვებულები არიან და ევროპის ჩემპიონთა თასიც აქვთ მოგებული, წყალბურთელთა გუნდი კი ევროპის საკლუბო თასის მფლობელი და საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის გამარჯვებულია. „დინამოს" ჰქონდა ყველაზე მრავალრიცხოვანი და კეთილმოწყობილი სპორტული ბაზები მთელ რესპუბლიკაში, მუშაობდნენ რჩეული სპეციალისტები, ყოველივე ეს კი განაპირობებდა მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებას.

**- აქვე გკითხავთ, რა ბედი ეწია სპორტულ ობიექტებს?**

- მავანთა თვითნებობით ან ჩალის ფასად გაიყიდა, ან ბანკში ჩაიდო, ან გაპარტახდა. ეს იყო მტრობა ქვეყნის წინაშე. თუ რამე ქონება დარჩა, მასზეც ყადაღაა დადებული.

**2011 წლის ივნისში მოხდა ენით აუწერელი გარიგება - ფსკ-ის მაშინდელი ხელმძღვანელობა ზეწოლით აიძულეს, გაესხვისებინა დიღმის საქვეყნოდ ცნობილი საწვრთნელი ბაზა 38 700 კვმ თავისი შენობა-ნაგებობებით 600 000 ლარად.**

**- რა აკავშირებთ დღეს ერთმანეთთან ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ „დინამოს" და ამავე სახელწოდების საფეხბურთო კლუბს?**

- ამჟამად საფეხბურთო კლუბი „დინამო" არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ყველა ღონეა ნახმარი, რათა ფსკ-ი ჩამოცილებულიყო საფეხბურთო გუნდს. „დინამო არენის" 34% -ის მეპატრონე იყო ფსკ. არაერთი რესტრუქტურიზაციით 11 %-მდე დაგვიყვანეს, თუმცა აქციების ნომინალური ღირებულება არ შეცვლილა. ეს ყველაფერი კეთდებოდა კლუბთან შეუთანხმებლად. გარდა ამისა, 2011 წლის ივნისში მოხდა ენით აუწერელი გარიგება - ფსკ-ის მაშინდელი ხელმძღვანელობა ზეწოლით აიძულეს გაესხვისებინა დიღმის საქვეყნოდ ცნობილი საწვრთნელი ბაზა 38 700 კვმ თავისი შენობა-ნაგებობებით

>> მე-11 გვერდზე

ხელბურთი



# სტუ-მ ჩემპიონობა ვადამდე გაინაღდა

დასასრულს უახლოვდება საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა 23-ე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც მედლებისთვის ხუთი გუნდი იბრძვის. ბოლო მე-4 რაუნდშიც მოასპარეზენი წრიული სისტემით ხვდებიან ერთმანეთს. დასკვნით ეტაპზე უკვე გათამაშდა ორი ტური და საქართველოს ჩემპიონიც ვადამდე გამოვლინდა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთელებმა 28 ქულა მოაგროვეს და, დარჩენილი სამი ტურის მიუხედავად, სხვებისთვის მიუწვდომელი გახდნენ.

გაუწყებთ პირველი ორი ტურის შედეგებს:

I ტური. თსუ-"მერანი"-"ბათუმი" 31:35, სტუ-"იმედი" 46:27.

II ტური. "იმედი"-"ქუთაისი" 35:33, "ბათუმი"-სტუ 22:29.

დღეისთვის ასეთი სატურნირო მდგომარეობაა: სტუ - 28 (517:365), "ბათუმი" - 19 (493:335), თსუ-"მერანი" - 13 (438:408), "იმედი" - 8 (436:523), "ქუთაისი" - 0 (316:455).

დარჩენილ სამ ტურში ითამაშებენ:

22 მაისი. "მერანი"-„ქუთაისი", „იმედი"-„ბათუმი".

23 მაისი. "მერანი"-"იმედი", სტუ-"ქუთაისი".

24 მაისი. "ქუთაისი"-"ბათუმი", თსუ-"მერანი"-სტუ.

ვაჟა დანელია

მხარე

# მიზანი: რეგიონებში კარატეს პოპულარიზაცია

## სემინარები ქუთაისში

საქართველოს კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, **კახა ბასილიას,** ინიციატივით რეგიონებში ადგილობრივი სპორტსმენებისთვის ყოველწლიურად საწვრთნელი სემინარები ტარდება, რომელიც ტრადიციული კარატეს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს მოიცავს. კახა ბასილიამ საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად ქუთაისის მე-17 სპორტული სკოლის დარბაზში სპორტსმენებისა და მწვრთნელებისთვის ერთდღიანი სემინარი ჩაატარა. თეორიულ კურსთან ერთად ახალგაზრდები კარატეს ილეთების დახვეწაში ავარჯიშა. სემინარის მონაწილეებს საქართველოს ნაკრების წევრებთან, სპარინგის საშუალებაც მიეცათ. „ეს იყო კალენდარული ღონისძიება, რომლის მიზანი რეგიონებში კარატეს პოპულარიზაციაა. შესაძლოა მალე კარატე ოლიმპიური სახეობა გახდეს და 2020 წლის თამაშებში იქნეს წარმოდგენილი. კარატე უკვე შეიტანეს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის პროგრამაში, რომელიც 2015 წელს ბაქოში ტარდება. ჩვენი ძირითადი დასაყრდენი რეგიონებია, ამიტომ ეწყობა თეორიული და პრაქტიკული სემინარები" - განაცხადა კახა ბასილიამ

დავით პოხრეიძე
ქუთაისიდან


კახა ბასილია პრაქტიკულ მეცადინეობაზე

« მე-10 გვერდიდან



ნოდარ სირბილაშვილი

600 000 ლარად. აქ ალბათ კომენტარი ზედმეტია.

**- ბალანსზე რა ქონება დაგხვდათ, რა სპორტული ბაზებია თქვენს განკარგულებაში?**

- მოსვლისთანავე ჩავატარე შიდა აუდიტი. „დინამო არენას" აქციების 11%-ის გარდა გაგვაჩნია ფსკ-ს ქუთაისის ფილიალი, სპორტული ბაზა (15 556 კვმ) სრულ საკუთრებაში, ბაკურიანის ბაზის 40 %, საკალათბურთო კლუბის 10 %, შპს რაგბის კლუბ „დინამოს" 100 %, თუმცა გუნდი არ არსებობს. ფაბრიკა „დინამოს" 100%, რომელიც 2011 წლის აპრილში ასევე ზეწოლით გასხვისდა უპრეცედენტო გარიგებით - 6 500 კვ.მ ტერიტორია და 8 000 კვმ შენობა-ნაგებობა გაიყიდა... 680 000 ლარად. აქაც კომენტარი საზოგადოებისთვის მიგვინდვია.

პასივებზეც გეტყვით, ქ. ბათუმის სტადიონი გამქრალია ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე. გაჩუქებულია სანიჩბოსნო ბაზა ქ. ფოთში, ჩოგბურთის კორტები თბილისში, რომლის ადგილზე იუსტიციის სახლია წამომართული, სკოლა "ნორჩი დინამოელი", „დინამოს" ცენტრალური ისტორიული ოფისი... დღემდე „დინამოს" ტრაფარეტით დამშვენებული შენობაც კი „თიბისი" ბანკის მიერ უკვე წლებია წარდგენილია აუქციონზე გასასხვისებლად. რომელი ერთი ჩამოვთვალო? ახლა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უპირველეს ამოცანად სხვისი შეცდომების გამოსწორება მიმაჩნია.

**ქ. ბათუმის სტადიონი, გამქრალია ყოველგვარი დოკუმენტის გარეშე. გაჩუქებულია სანიჩბოსნო ბაზა ქ. ფოთში, ჩოგბურთის კორტები თბილისში...**

**- თქვენი კლუბის სახელში ფიგურირებს სიტყვა „ფიზკულტურული". პრაქტიკულ საქმეში, თანამედროვე გაგებით მისი რეალიზება როგორ წარმოგიდგენიათ?**

- თუ შსს და სხვა სამართალდამცავი ორგანოები მხარში დაგვიდგებიან, ვაპირებთ ძველი ტრადიციების აღდგენას.

**- რეგიონულ ორგანიზაციებს თუ შექმნით?**

- აუცილებლობად მიგვაჩნია აჭარაში, კახეთში, იმერეთსა და ქვემო ქართლში მომავალში გაიხსნას ჩვენი ფილიალები.

**- კიდევ ვინ იქნებიან თქვენი სუბიექტები?**

- ტრადიციულად კლუბი ყოველთვის ემსახურებოდა ძალოვან სტრუქტურებს და თავდაცვის სამინისტროს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო წვევამდელთა მოსამზადებლად. ვთვლით, რომ ტრადიციების აღდგენა, თანამედროვე რეალობის გათვალისწინებით, საშური საქმეა. აქვე ხაზი მინდა გავუსვა, რომ ფსკ. „დინამოს" კარი ყველა დაინტერესებული ფიზიკური თუ იურიდიული პირისთვის ღიაა.

**- და ერთ-ერთი მთავარი საკითხი - დაფინანსება, რა იქნება შემოსავლის წყარო, ან სახელმწიფო თუ გაიღებს რაიმე წილს?**

- ეს ყველაზე მტკივნეული საკითხია. მოკრძალებული, მაგრამ დღემდე შერჩენილი ქონება, სწორი სტრატეგია და მენეჯმენტი მოგვცემს კლუბის შენარჩუნება-აღორძინების შესაძლებლობას, რაც ყველაზე აუცილებელია ამ ეტაპზე. თუმცა ეს „პარტნიორების" ხელშეწყობაზეც იქნება დამოკიდებული. უნდა მივაღწიოთ სხვისი დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად არსებული დავალიანებებისა და კრედიტების რესტრუქტურიზაციას სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების კეთილი ნებით.

**- საქართველოში სპორტული საზოგადოებები აღარ არსებობს. ადრე მათ შორის ტარდებოდა საუწყებო შეჯიბრებები. ახლა ვისთან მოგიწევთ სპორტული ოსტატობის დემონსტრირება, ან რა სტატუსით აპირებთ მონაწილეობას საქართველოს პირველობებში, რომ ქვეყნის ნაკრებ გუნდებში მოიპოვონ ადგილი თქვენმა სპორტსმენებმა?**

- სპორტსაზოგადოების არარსებობა ზოგადად დაეტყო კიდეც ქართულ სპორტს, სპორტსმენიც დაუცველი გახდა, არანაირი იურიდიული პირი ზურგს აღარ უმაგრებს, გაუჩნდა ათასი თავსატეხი. თუ რა სტატუსით ვაპირებთ მონაწილეობას საქართველოს პირველობებში და ადგილების მოპოვებას ნაკრებ გუნდებში, ამ ყველაფერზე აქტიურად ვმუშაობთ.

***- მინდა გკითხოთ ვეტერანების შესახებ. ცნობილია, „დინამო" ჯეროვნად არ აფასებდა ქვეყნის წინაშე ვალმოხდილ სპორტსმენებს, ღირსეულ გაცილებასაც არ უწყობდნენ. როგორი იქნება თქვენი დამოკიდებულება?***

- ეს დღეს არა მარტო „დინამოს", სრულიად საქართველოს პრობლემაა. მესმის, რატომაც მეკითხებით. ვალმოხდილ სპორტსმენებზე როცა ვლაპარაკობთ, გასათვალისწინებელია, რომ მათი 80% ძველი დინამოელია. მეც და მთლიანად „დინამოს" კოლექტივიც, სწორედ მათთან შეთანხმებით და მჭიდრო ურთიერთობებით ვაპირებთ შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას. ჩემი დევიზია, რომ დღეს არც ერთმა ვეტერანმა არ იგრძნოს თავი მიტოვებულად. გაერთიანებულ კრებაზე, ძირითადი, რაზედაც შევთანხმდით, იყ.ო მათი ჩართულობა და ზოგადი ზედამხედველობის გაწევა ჩვენს საქმიანობაზე. ეს ბევრს ნიშნავს. გვჯერა, რომ ყველაფერს მოევლება ახალი მიდგომებით.

ესაუბრა
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

● *ძიუდო. მეტოქე*

# კონკურენტთა აბრაკადაბრა

## მოლდოვური კვანძი მოულოდნელად გაიხსნა, ყალბისმქნელს სასჯელი არ ასცდება

მოლდოურ ძიუდოში მიმდინარე სკანდალზე არაერთხელ ვწერდით, თუმცა მოკლედ მაინც შეგახსენებთ მის არსს: თებერვალში ექვსი წამყვანი ძიუდოისტი ნაკრების ლიდერის, მსოფლიოსა და ევროპის მესამე პრიზიორ **სერგეი ტომასა** (81) და ლონდონის ოლიმპიადის მონაწილე **ივან რემარენკოს** (90) მეთაურობით გუნდის ექსთავკაც **ვასილი კოლცასთან** ერთად უზბეკეთში წავიდა და მარტის დასაწყისში არც ნაკრების შეკრებაზე გამოცხადდნენ, მოგვიანებით კი, მოლდოვური ფედერაციის წინააღმდეგობის მიუხედავად, არაბთა გაერთიანებული საამიროების სახელით ჯერ აზიის პირველობაზე, მერე კი პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირებშიც გამოვიდნენ. ამან იმთავითვე გაკვირვება გამოიწვია, რადგან მოქალაქეობის შეცვლა ასე იოლად, სპორტსმენის სურვილის მიხედვით არ ხდება, დაუკითხავად წასვლა კი დისკვალიფიკაციით ისჯება. ყველაზე გასაკვირი სწორედ ის იყო, საერთაშორისო ფედერაცია როგორ აძლევდა გამოსვლის ნებას. და აი, კვანძი მოულოდნელად გაიხსნა - მოლდოვური ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **დუმიტრუ ეშანმა** აღიარა, რომ ფედერაციის პრეზიდენტ **ვიაჩესლავ მანოლაკის** სახელით, ოღონდ მისგან დაუკითხავად, სპორტსმენების გაშვებაზე თანხმობა საერთაშორისო ფედერაციაში მან გაგზავნა, რისთვისაც მანოლაკის ხელწერაც კი გააყალბა! თავისი გადაწყვეტილება ეშანმა იმით ახსნა, რომ ბიჭებს ფულის შოვნაში ხელს ვერ შეუშლიდა. *„ჩვენ მათ ვერაფრით ვეხმარებოდით და ოლიმპიადის შემდეგ ისინი სპორტისთვის თავის დანებებას აპირებდნენ. უფლება არ მქონდა, მათთვის წასვლა დამეშალა და ფულის შოვნაში ხელი შემეშალა. საერთაშორისო ფედერაციაშიც მე გავგზავნე თანხმობა. მაშინ მანოლაკი შვებულებაში იმყოფებოდა საზღვარგარეთ. ამიტომ დოკუმენტზე ხელი მის ნაცვლად მე მოვაწერე, ზუსტად მივამსგავსე მის ხელმოწერას"* - გამოტყდა ეშანი...

სიმართლე გითხრათ, მოლდოვური ფედერაციის ქმედებაში პირველად მაშინ დავეჭვდი, როცა არაბულმა მხარემ განაცხადა, რომ ყველაფერი კანონის შესაბამისად მოხდა და მათ არაფერი დაურღვევიათ - გიჟი უნდა იყო, რომ ისეთ აშკარა კანონდარღვევაზე და დისკვალიფიკაციაზე წახვიდე, რაც გაქცევის შემთხვევაში იმ სპორტსმენებსა და არაბულ ფედერაციას ელოდათ. საერთაშორისო ფედერაციის დუმილმა აზიურ ჩემპიონატში მოლდოველთა გამოსვლაზე ეჭვი უფრო გააძლიერა, რომ მანოლაკი და მისი ქვეშევრდომები მოსაჩვენებლად ხმაურობდნენ, თორემ „ძაღლის თავი" სადღაც მათ ახლოს ჩანდა დამარხული. მით უფრო, თავიდან მანოლაკმა ისიც კი თქვა, არსადაც არ გაქცეულან და როგორც კი ტაშკენტში ერთობლივი შეკრება დასრულდება, მაშინვე უკან დაბრუნდებიანო. საკუთარი სიმართლის დამტკიცება და სურვილის შემთხვევაში იმ სპორტსმენების დაბრუნება მათ ოდნავადაც არ გაუჭირდებოდათ, ამ საქმეში იმდენი „თეთრი ძაფი" ჩანდა. ეჭვები დაადასტურა მოლდოვის სპორტის მინისტრმა **ოქტავიან ციკუმ**, რომელმაც პირდაპირ დაადანაშაულა მანოლაკი: *„ეს ყველაფერი მანოლაკის და მისი გუნდის დადგმული სპექტაკლია, რომელიც ადრევე დაგეგმეს. საამიროების წარმომადგენელმაც და საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა მარიუს ვიზერმაც პირდაპირ მითხრეს, რომ გადასვლა მანოლაკის თანხმობით მოხდა".*

ვგონებთ, აქ საკამათოც არაფერია. დაუზუსტებელ ფაქტებზე წერა ძალზე ძნელია, მაგრამ ვეჭვობთ, არაბებმა მანოლაკი და მოლდოვური ძიუდოს მთელი ხელმძღვანელობა ფულით მოისყიდეს... მით უფრო, რომ ფედერაციის სხდომაზე მანოლაკი, მართალია, არც გაშვებას დაეთანხმა, მაგრამ დაბრუნებაც არ მოუთხოვია კატეგორიულად, ხოლო ნაკრების ახლანდელი მთავარი მწვრთნელი **ვიაჩესლავ ბოკალი** უკვე დაეთანხმა მათ გათავისუფლებას.



ტომა თურმე ოფიციალურად გაუშვიათ

ახლა საქმე ისაა, რა ბედი ელის ეშანს, რომელმაც საბუთების გაყალბება უკვე აღიარა... მან გენერალური მდივნის თანამდებობა კი დატოვა, მაგრამ არ არის გამორიცხული, ახლა სამართალდამცავებთან მოუხდეს საქმის დაჭერა. ყოველ შემთხვევაში, მანოლაკმა განაცხადა, ნებისმიერი ფალსიფიკაცია კანონით ისჯებაო, თუმცა მისი გულწრფელობა უკვე აღარაა დასაჯერებელი. სამაგიეროდ, ნუ დაგვავიწყდება, რომ ცოტა ადრე საქმეში პროკურატურის ჩართვა სპორტის მინისტრმა ციკუმ მოითხოვა.

თუ მოსყიდვაზე ვარაუდი მართალია, ვერაფრით გავამართლებთ მათ პოზიციას, რაგინდ კეთილშობილური მიზეზითაც უნდა შეფუთონ ის (თუნდაც სპორტსმენთა მომავალზე ზრუნვით) - ეს საკუთარი ქვეყნის ღალატია. მსგავსი პრობლემა ქართულ ფედერაციასაც უდგას, სადაც, იმედია, ეშანები და მანოლაკები არ აღმოჩნდებიან.

### ესტონეთი მსოფლიოს გარეშე?

ვიდრე მოლდოველები ასეთ არაორდინარულ ვითარებაში არიან, არანაკლებ გასაკვირი ამბავი მოვიდა ესტონეთიდან - იქაური ნაკრების თავკაცმა **ალექსეი ბუდოლინიმ** განაცხადა, გუნდის სადღეისო ფორმიდან გამომდინარე, მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლას აზრი არ აქვს და იქნებ აგვისტოს ბოლოს რიო დე ჟანეიროში გასამართი მსოფლიოს პირველობა სულაც გამოვტოვოთო, თუმცა იქვე ისიც დასძინა, მანამდე კიდევ დავაკვირდებით სპორტსმენებს და საბოლოო გადაწყვეტილებას ისე მივიღებთო.

ალექსეი ბუდოლინი და ჩვენი ნაკრების დღევანდელი მთავარი მწვრთნელი **ირაკლი უზნაძე** ერთ დროს და ერთ წონაში ჭიდაობდნენ, ოღონდ უზნაძე მაშინ თურქეთის სახელით გამოდიოდა, და ძირითადი კონკურენტებიც იყვნენ. 2002 წლის ევროპის პირველობის ფინალშიც ისინი უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, მაგრამ ესტონელმა ტრავმის გამო ვერ იჭიდავა და ჩვენებური კონტინენტის ჩემპიონი გახდა. აპრილში ბუდაპეშტში გამართული ევროპის ჩემპიონატი ორივე მწვრთნელისთვის პირველი ოფიციალური შეჯიბრება იყო, რომელიც დიამეტრულად განსხვავებული შედეგით დაასრულეს - ქართველისთვის თუ ტრიუმფალური გამოდგა და ტურნირის ზეწარმატებულ დამრიგებლად იქცა, ხოლო საქართველოს სარეკორდო ევროპირველობა მოუტანა (7 მედალი), ესტონელისთვის სრული კრახით დასრულდა, ვინაიდან მისმა შეგირდებმა არათუ პრიზიორებში მოხვედრა ვერ შეძლეს, შვიდეულშიც კი ვერ შევიდნენ. ესტონელთაგან მხოლოდ **ალექსანდრ მარმელიუკმა** (90) დაგვამახსოვრა თავი მსოფლიოსა და ევროპის ორ-ორგზის გამარჯვებულთან, ოლიმპიურ ჩემპიონ **ილიას ილიადისთან** მოპოვებული წმინდა მოგებით. უზნაძისგან განსხვავებით, რომელმაც არეული გუნდი ჩაიბარა და ვითარება დაალაგა, ბუდოლინს ესტონელები თავიდანვე აუჯანყდნენ - ლიდერთა უმეტესობამ უნდობლობა გამოუცხადა და კონტინენტის პირველობისთვის მზადება პირად მწვრთნელებთან გააგრძელეს.

ესტონეთის ნაკრები არ არის ლიდერი გუნდი, თუმცა **ელნურ ალიევის** (60), **კინტერ როტბერგის** (66), და იმავე მარმელიუკის დონის ფალავნები მოეპოვება, აი, ევროპის ჩემპიონი **მარტინ პადარი** (+100) კი მათზე ბევრად ანგარიშგასაწევია...

**ირაკლი თავაძე**

● *სუმო. ნაცუ ბაშო. 12-26 მაისი*

# 0-10 ახალი ქართული ანტირეკორდია

2006 წლის ნოემბრის ბაშოზე პროფესიული სუმოს ქართველმა პიონერმა, **ლევან ცაგურიამ (კოკაი)** სტარტზე ზედიზედ 9 ორთაბრძოლა დათმო. აქამდე ეს ითვლებოდა სრულიად ქართულ ანტირეკორდად. სამწუხაროდ, მიმდინარე ზაფხულის ბაშოზე **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** ეს შედეგი „გააუმჯობესა" - ახალი ქართული ანტირეკორდი სტარტზე ზედიზედ 10 მარცხია.

ტოჩინოშინმა ტანდაბალ **ტოიონოშიმას** შეუტია, მაგრამ მიმართულება სწორად ვერ გათვალა და იაპონელს კონტრშეტევის საშუალება მისცა. ახლა ქართველი კომუსუბის რანგის სუმოისტს, **ოკინოუმის** ხვდება (1:2 ურთიერთშეხვედრებში).

**თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)** მე-7 გამარჯვება იზეიმა. მან „პატარა ტანკი" **ტაკეკაძე** მაყურებელთა დარბაზში მოისროლა. გაგამარუს 7-3 ბალანსი აქვს და მიზნის მისაღწევად ერთი მოგებაც ყოფნის დარჩენილ 5 შეხვედრაში. მისი მორიგი მეტოქე მე-14 მაეგაშირა **ჩიოოტორია**.

**X დღე**

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰარუმაფუჯი-შოჰოზანი (ოშიდაში), ჰაკუჰო-გოეიდო (ტოტარი), კაკურიუ-არანი (იორიკირი), კოტოშოგიკუ-აოიამა (უვატენაგე), კისენოსატო-კოტოოშუ (კიმედაში), მიოგირიუ-ოკინოუმი (იორიკირი), ტოიონოშიმა-ტოჩინოშინი (ოშიდაში), გაგამარუ-ტაკეკაძე (იორიკირი).

**სატურნირო მდგომარეობა**

10-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), კისენოსატო (ოძეკი).
9-1: კაკურიუ (ოძეკი).
8-2: ჰარუმაფუჯი (იოკოძუნა), კოტოშოგიკუ (ოძეკი), ტოკიტენკუ (მაეგაშირა 8)... 7-3: გაგამარუ (მ 11)... 0-10: ტოჩინოშინი (მ 2).

**XI დღე**

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კოტოოშუ, ჰარუმაფუჯი-კოტოშოგიკუ, კისენოსატო-არანი, კაკურიუ-აოიამა, გოეიდო-ტოიონოშიმა, ტოჩინოშინი-ოკინოუმი, გაგამარუ-ჩიოოტორი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



გაგამარუ (მარჯვნივ) დადებით ბალანსამდე ერთი მოგებაღა რჩება

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სუპერლიგა 2012-13. ფინალი

# ოლიმპიური სიმშვიდით

## ყველაფერი ნულიდან იწყება

21 მაისი, თბილისი. სპორტის სასახლე

**ოლიმპი 86 — შსს აკადემია 65**

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 25 | 24 | 18 | 19 |
| შსს აკადემია | 20 | 22 | 13 | 10 |

| ოლიმპი | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გულისაშვილი | 2 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ტომარაძე | 11 | 1 | 0 | 1 | 2 | 0 | 5 |
| სოკი | 26 | 1 | 3 | 3 | 0 | 0 | 17 |
| ბერიშვილი | 31 | 6 | 3 | 1 | 2 | 2 | 9 |
| თავართქილაძე | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| თენიეშვილი | 17 | 1 | 2 | 0 | 0 | 0 | 7 |
| ფაცაცია | 30 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 17 |
| დვალიშვილი | 25 | 7 | 2 | 0 | 0 | 0 | 9 |
| მური | 24 | 3 | 2 | 1 | 0 | 0 | 15 |
| მილოშევიჩი | 28 | 10 | 2 | 3 | 0 | 0 | 7 |

| შსს | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიტაშვილი | 8 | 1 | 1 | 1 | 1 | 0 | 2 |
| ვონი | 29 | 0 | 5 | 1 | 1 | 0 | 12 |
| როგავა | 14 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| ბოქოლიშვილი | 21 | 1 | 2 | 1 | 0 | 0 | 2 |
| ლონდარიძე | 14 | 5 | 0 | 0 | 1 | 0 | 3 |
| პრევიტი | 20 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 5 |
| ლომოური | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 |
| კუნასი | 17 | 5 | 4 | 1 | 0 | 0 | 5 |
| ანთაძე | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ბექაური | 3 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| არჩიბეკი | 27 | 7 | 0 | 3 | 0 | 0 | 12 |
| რეიმონდი | 31 | 7 | 1 | 1 | 1 | 1 | 21 |

*მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი, ი. ბერიშვილი*

**სერიის ანგარიში: 1:1**



*- ანგარიშმა არ მოგვატყუოს - მართალია, საბოლოოდ 21-ქულიანი უპირატესობით ვიმარჯვეთ, მაგრამ სხვაობა მას შემდეგ გაიზარდა, რაც მეოთხე პერიოდის ბოლოს მატჩის ბედი გადაწყდა. რეალურად კი ორივე გუნდი თანაბარი ძალისაა, ამიტომაცაა ანგარიში 1:1 და დღესაც გავიმეორებ, რომ დიდი ალბათობით ჩემპიონის გამოვლენას ხუთი მატჩი დასჭირდება,* — აღნიშნა „ოლიმპის" თავკაცმა **გია კაზანჯიანმა**, რომელიც პირველი მატჩის შემდეგ რთულ სიტუაციაში იყო. სერიაში, რომელიც 3 მოგებამდეა, 0:1 ჩამორჩენის შემდეგ, მეორე შეხვედრაში წაგება, ფაქტობრივად „შსს აკადემიას" ჩემპიონობას ნიშნავდა - საერთოდ, ძნელი წარმოსადგენია 0:2-ის 3:2-ად გადაქცევა.

„ოლიმპის" მწვრთნელს პირველ რიგში ფსიქოლოგიურ მდგრადობაზე უნდა ეზრუნა, შემდეგ სწორი ტაქტიკის შერჩევაზე, რადგან პირველ მატჩში „შსს აკადემიასთან" თითქმის ყველა კომპონენტში დათმო. თავის მხრივ უკეთეს პოზიციაში იყო აკადემიელთა თავკაცი **გიორგიოს კეცელიდისი**, რომელმაც სერიის პირველ მატჩში დაინახა, რომ მის გუნდს ფარქვეშ უპირატესობის მოპოვებაც შეუძლია და აულელვებელი თამაშით გამარჯვების მოპოვებაც. ასე რომ, შესაცვლელი თუ ვინმეს რამე ჰქონდა, ეს ოლიმპელები იყვნენ.

ამ გუნდის სასტარტო შემადგენლობაში პირველი ფინალისგან განსხვავებით **აკაკი დვალიშვილი** გამოჩნდა, რომელმაც ლიტველი **მარტინას ანდრიუკაიტისი** ჩაანაცვლა. მწვრთნელებს პირველ შეხვედრაში იმედი ჰქონდათ, რომ მარტინასი ფარქვეშ **სტევან მილოშევიჩს** დაეხმარებოდა, ხოლო პერიმეტრიდან უკანასაზელებს ერთ-ორ სამქულიანს შეაშველებდა. იმედი არ გამართლდა, ამიტომ მეორე მატჩში, როგორც ვთქვით, იგი დვალიშვილმა შეცვალა. ამ სვლით უმთავრესად „ოლიმპის" სამწამიანი ზონის გამაგრება იგეგმებოდა. აკაკიმ როგორც დაცვაში, ისე შეტევაში ენერგიული თამაშით დიდი დახმარება გაუწია თანაგუნდელებს. ასევე სასარგებლო იყო ცენტრი მილოშევიჩი და მიუხედავად იმისა, რომ ვერც ერთი ასცდა 10 ქულას, არ მოვერიდებით იმის დაწერას, რომ „ოლიმპის" გამარჯვებაში მთავარი წვლილი მათ მიუძღვით. თავად განსაჯეთ: სამწამიან ზონას იმდენად კარგად აკონტროლებდნენ, რომ საბოლოოდ ამ ადგილიდან შსს-მ მხოლოდ 22 ქულა ჩააგდო, თავის მხრივ მილოშევიჩი და დვალიშვილი შეტევაში თანაგუნდელებს სათანადოდ უწყობდნენ ხელს და სწორედ ამიტომ „ოლიმპმა" ფარქვეშიდან 50 ქულა მიითვალა.

საბოლოოდ გამარჯვებულთა საქმე იმანაც გააიოლა, რომ ნაადრევად დაიტვირთა ჯარიმებით შსს-ს ცენტრი **კირკ არჩიბეკი**, რომელმაც საბოლოოდ 4 ფოლით დაასრულა შეხვედრა. ასევე ოთხი ჯარიმა მიიღო **ჩად პრევიტმა**, ხოლო კიდევ ერთ ტანმაღალს **ილია ლონდარიძეს** 3 ფოლი ჰქონდა. საუკეთესო შსს-ელი **ბენჟამინ რეიმონდი** იყო, რომლის ანგარიშზე 21 ქულაა.

„ოლიმპში" კი უკანასაზელებმა იკისრეს ბომბარდირობა. სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრები ჩაატარა სამმა კალათბურთელმა: ესტონელმა **სტენ სოკმა** (6-დან 5 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი, 2-დან 1 საჯარიმო), რომელმაც 17 ქულა ჩააგდო. ამდენივე ქულა ჰქონდა **ლევან ფაცაციას**, რომელმაც 10 მოხსნაც მიამატა და ორმაგი დუბლი გაიფორმა. ერთმა გამოცდილმა ჟურნალისტმა შუა შეხვედრისას თქვა - ეს რა ტიპის თამაშია, ერთი ჩატენვაც არ ყოფილაო. სწორედ მაშინ ჩატენა **დარენ მურმა**. მან ერთი ზემოდან გდება არ იკმარა და საბოლოოდ 15 ქულამდე ავიდა.

სტატისტიკას თუ გადავათვალიერებთ, შევნიშნავთ, რომ „ოლიმპელებმა" წინა შეხვედრისგან განსხვავებით მეტოქეს მოხსნებში საკმარისად აჯობეს - 43:34. თვალში გვეცემა გამარჯვებულთა მიერ საჯარიმოების ტყორცნის დაბალი მაჩვენებელი - 42.3 (26-დან 11). მეტსაც გეტყვით: პირველ ტაიმში 15-დან მხოლოდ 5 საჯარიმო ჰქონდათ რეალიზებული.

სერიის მესამე შეხვედრა ხუთშაბათს 18 საათზე სპორტის სასახლეში გაიმართება. როგორც სოკმა თქვა - ყველაფერი ნულიდან იწყება.



### ნამატჩევს

**გია კაზანჯიანი** („ოლიმპის" მწვრთნელი):

- სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩავატარეთ. კარგად გავისარჯეთ დაცვაში, 65 ქულა გავუშვით და ეს „შსს აკადემიას" დონის გუნდთან ძალიან კარგი შედეგია. საერთოდ, 70-ზე მეტ ქულას თუ არ მივიღებთ, ნებისმიერ თამაშს მოვიგებთ. განვიხილეთ გუშინდელი შეხვედრა, რომელშიც შეცდომა დავუშვით, ვიდეოანალიზის შემდეგ მივხვდით, როგორი დაცვა უნდა გვეთამაშა. შედეგიც სახეზეა და ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ. დავამატებ, რომ ჯარიმების ასეთი დაბალი პროცენტით ტყორცნა დაუშვებელია.

**გიორგიოს კეცელიდისი** („შსს აკადემიას" მწვრთნელი):

- დღევანდელი თამაშით უკმაყოფილო ვარ. მეოთხე პერიოდი ძალიან ცუდად დავიწყეთ, მოწინააღმდეგემ მშვენივრად ისაპარეზა. ვულოცავ გამარჯვებას.

**სტენ სოკი** (ოლიმპი):

- შსს-ს წინააღმდეგ თამაში არასდროსაა ადვილი, ყოველთვის მცირე სხვაობა ფიქსირდება. გუშინ ზედმეტად ვნერვიულობდით. დღეს კი უფრო მობილიზებულები და მონდომებულები ვიყავით. ძალიან რთული თამაშები გველის და პირველივე წამებიდან მაქსიმალურად ყურადღებით უნდა ვითამაშოთ.

**რეზო როგავა** (შსს აკადემია):

- ამ სეზონში ყველაზე ცუდი დაცვა ახლა ვითამაშეთ. არაფერი გამოგვივიდა, შეტევაშიც ვერ გამოვიჩინეთ თავი, მხოლოდ 65 ქულა ჩავაგდეთ. თუმცა ვხვდებით, რომ ფინალში ორი ძლიერი გუნდიდან ის გაიმარჯვებს, რომელიც შეძლებს ცუდი თამაშის შემდეგ სწორ ანალიზს, მომზადებას და უკეთესად ასპარეზობას.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

● ქართველი თურქეთში

# მანუ 1/2 ფინალშია

### ...და ტომასს ელის

**მანუჩარ მარკოიშვილის** „გალათასარაი" ნახევარფინალში მშვიდად გავიდა - მეოთხედფინალური სერიის მეორე მატჩში „თოფაზი" მისსავე მოედანზე 82:49 დაამარცხა.

პირველ პერიოდში სტამბოლელებმა 20 ქულის სხვაობით იმარჯვეს - 26:6, რის შემდეგაც მოგება კითხვის ნიშნის ქვეშ აღარ დაუყენებიათ.

მარკოიშვილმა, ისევე როგორც „თოფაზთან" პირველ მეოთხედფინალში, ამჯერადაც 9 ქულა ჩააგდო. მის ანგარიშზე 24 წუთში 5-დან 4 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმოა, ასევე - თითო ჩაჭრა-პასი.

გუშინ თურქეთის ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტი (წინასწარი შეფასებით) „ფენერბაჰჩე" პირველობისთვის ბრძოლას გამოეთიშა - „პინარ კარშიაკასთან" მეორე მატჩშიც დამარცხდა (78:81). „ფენერის" ძლევაში 7-ქულიანი (9 მოხსნა) წვლილი შეიტანა „არმიას" ყოფილმა ფორვარდმა **უილიამ ტომასმა**.

ნახევარფინალში მანუს „გალათასარაი" სწორედ „კარშიაკას" დაუპირისპირდება.



მანუჩარ მარკოიშვილი

● ქართველი იტალიაში

# 3:3 სამ მატჩშია

საინტერესოდ მიმდინარეობს იტალიის ჩემპიონატის მეოთხედფინალური ეტაპი - ოთხიდან სამ მატჩში გამარჯვებულის გამოვლენას მეშვიდე მატჩი სჭირდება, ყველგან ანგარიშია 3:3.

**ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკიმ" „მილანის" 72:66 ძლევით სერიაში ანგარიში კიდევ ერთხელ გაათანაბრა და ახლა ნახევარფინალისტის ვინაობას 22 მაისს მილანში გასამართი შეხვედრა გამოარკვევს.

ვიქტორმა მეექვსე მეოთხედფინალში 10 წუთი ითამაშა, 4 ქულა და 1 მოხსნა მოაგროვა.



ვიქტორ სანიკიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# ნაუგებელი სამი დარჩა

**საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა B ლიგაში მეოთხე ტურის მატჩები გაიმართა, რომლის შემდეგაც დაუმარცხებელი სამი დარჩა. ესენია: „არმია", რუსთავის „ხარები" და ქუთაისის მესამე გუნდი.**

აღმოსავლეთის ზონის A ჯგუფში უდავო ფავორიტია „არმია", რომელმაც 19 ქულა დააგროვა და, სავარაუდოდ, მეტოქეებისთვის დარჩენილ ორ ტურში მიუწვდომელი იქნება. პლეი-ოფში გამსვლელი მეორე საგზურისთვის კი, თბილისის „ლელო" და „ლოკომოტივის" პირველი გუნდი იბრძვიან. მათ შორის სხვაობა ორი ქულაა. ისინი ერთმანეთს მომდევნო ტურში დაუპირისპირდებიან და გამორიცხული არ არის, მეორეადგილოსნის ბედი სწორედ ამ მატჩში გადაწყდეს.

B ჯგუფში ლიდერი თბილისის „ხულიგანაა". მართალია, მას პირველი ადგილი გარანტირებული არ აქვს, მაგრამ მეორეადგილოსან თბილისის „აკადემიასთან" ერთად მეტოქეებს იმდენად უსწრებენ, რომ პლეი ოფში თამაში განაღდებული აქვთ.

იდენტური ვითარებაა დასავლეთი ზონის A ჯგუფში. აქ ქუთაისური დუეტი, ამ ქალაქის პირველი და მესამე გუნდები ლიდერობენ. ფოთის „რაინდები" და ოზურგეთის „არწივები" მათ კონკურენციას ვერ უწევენ.

სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა B ჯგუფში, სადაც პლეი ოფში გასვლისთვის ერთბაშად სამი გუნდი იბრძვის. სტარტზე განცდილი წარუმატებლობის შემდეგ საგრძნობლად მოლონიერდა „ბათუმი", რომელმაც ზედიზედ სამი მატჩი მოიგო და გალიდერდა. მას კვალში უდგანან ქუთაისის მეორე გუნდი და ბორჯომის „თორი".



აკადემია-ხარები

### ჭაბუკთა B ლიგა

#### აღმოსავლეთი ზონა

##### A ჯგუფი

არმია-ლოკომოტივი 1 23:0, ლელო-ყოჩები 43:7

**სატურნირო მდგომარეობა**

1. არმია - 19 ქულა, 2. ლელო - 10, 3. ლოკომოტივი 1 - 8, 4. ყოჩები - 1.

**V ტური**

ლოკომოტივი 1-ლელო, არმია-ყოჩები

##### B ჯგუფი

აკადემია-ხულიგანა 16:3, ხარები-ივერია 41:21

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ხარები - 19 ქულა, 2. აკადემია - 13, 3. ხულიგანა - 4, 4. ივერია - 3.

**V ტური**

ხარები-ხულიგანა, ივერია-აკადემია

#### დასავლეთი ზონა

##### A ჯგუფი

ქუთაისი 1-რაინდები 27:7, ქუთაისი 3-არწივები 70:0

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ქუთაისი 3 - 19 ქულა, 2. ქუთაისი 1 - 15, 3. რაინდები - 5, 4. არწივები - 0.

**V ტური**

ქუთაისი 3-რაინდები, არწივები-ქუთაისი 1

##### B ჯგუფი

ბათუმი-თორი 27:11, ქუთაისი 2-ქუთაისი 4 39:0

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბათუმი - 13 ქულა, 2. ქუთაისი 2 - 12, 3. თორი - 10, 4. ქუთაისი 4 - 4.

**V ტური**

ქუთაისი 2-თორი, ქუთაისი 4-ბათუმი

თბილისის თასი

# ლოს ტეროსმა საბრძოლო რაზმი დაასახელა

**თბილისში გასამართი ახალი საერთაშორისო ტურნირის, „თბილისის თასის" გათამაშების მეოთხე მონაწილის, ურუგვაის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გუნდის შემადგენლობა დაასახელა.**

„ლოს ტეროსში", როგორც ამ გუნდს მეტსახელად ეძახიან, ჩვენთვის ნაცნობ გვარს ვერ ამოვიკითხავთ. ურუგვაის ნაკრები საქართველოში პირველად გვესტუმრება. თუმცა, თბილისში მათი ვიზიტი აქამდეც უნდა გამართულიყო, მაგრამ 2005 წელს ჩვენამდე ვერ ჩამოაღწიეს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მადრიდამდე ჩავიდნენ, თბილისში გამოფრენა კი ვერ მოახერხეს.

ურუგვაისთან ძველი ანგარიში გვაქვს. ამ გუნდს პირველად 2003 წელს ავსტრალიაში გამართულ მსოფლიოს თასზე გადავეყარეთ და დავმარცხდით. ორი წლის შემდეგ, როგორც უკვე ვთქვით, რევანშის აღების საშუალება არ მოგვეცა. ოდნავ მოგვიანებით ურუგვაელებს ბუქარესტში IRB-ის ერთა თასზე მაინც დავუპირისპირდით და დავამარცხეთ.

ამჯერად, „თბილისის თასზე" ურუგვაელებთან მატჩი ჩვენი გუნდისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან ამ შეხვედრის შედეგი მსოფლიოს რეიტინგზე აისახება.

### ურუგვაი

ავგუსტინ ალონსო, ავგუსტინ დელ კასტილიო, ავგუსტინ ინდარტე, ალბერტო რომანი, ალეხო კორალი, ალეხო დურანი, არტურო ავალო, კრისტოფ სოსარ დე ლიმა, გერმან ალბანელი, დიეგო მანო, ფედერიკო მუჟიჩა, ფერენანდო ბასკუ, ფრანსისკო ხიმენესი, ფრანსისკო ვესინო, ფრანკო ლამანა, გასტონ გიბერნაუ, გასტონ იბარბურუ, ხერონიმო ეჩევერი, ხუან ეჩევერია, ხუან გამინარა, ხუან პენა, ლეონარდო ლეივასი, მარიო საგარიო, მატეო გულარტი, მატეო სანგვინეტი, მატიას პალომე, მაქსიმილიანო გონსალესი, ნიკოლას კლაპენბახი, პაბლო ბუენო, როდოლფო დე მულა, როდრიგო დე პაროსი, როდრიგო დე პაზოსი, როდრიგო ესპიგა, სანტიაგო კორი, სებასტიან საგარიო.

### საქართველო

**პირველი ხაზი:** მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), დავით ქუბრიაშვილი, ლევან ჩილაჩავა (ორივე-ტულონი), ირაკლი მირცხულავა (ტარბი), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე), შალვა მამუკაშვილი (არმია), ირაკლი ნატრიაშვილი (ბრივი).

**მეორე ხაზი:** გიორგი ჩხაიძე (ტარბი), კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლაშა ლომიძე (მონპელიე).

**მესამე ხაზი:** გიორგი ნემსაძე (ტარბი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), დიმიტრი ბასილაია (ედინბურგი), შალვა სუთიაშვილი (მასი), ბექა ბიწაძე (არმია)

**№9:** ვაჟა ხუციშვილი (ხარები), გიორგი ბეგაძე (ბათუმი)

**№10:** ლაშა ხმალაძე (ლელო)

**№11-14:** თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი), გიორგი ფრუიძე (აია), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი).

**№12-13:** დავით კაჭარავა (როდეზი), მერაბ შარიქაძე (აკადემია), თედო ზიბზიბაძე (პერიგო).

**№15:** ბექა წიკლაური (ლოკომოტივი), მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი).

#### თბილისის თასი

**7 ივლისი**

ურუგვაი-სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრები

საქართველო-მზარდი ირლანდია

**11 ივლისი**

მზარდი ირლანდია-სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრები

საქართველო-ურუგვაი

**16 ივლისი**

ურუგვაი-მზარდი ირლანდია

საქართველო-სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრები



ურუგვაის ნაკრები

ტესტები



ბრედლი დევისი

# წითელ ურჩხულებს დევისი უკაპიტნებს

**უელსის ნაკრები ივნისის ტესტებზე იაპონიას ესტუმრება და ამომავალი მზის ქვეყნის შვილებს ორჯერ გაეჯიბრება. „წითელ ურჩხულებს" ტურნეში „ბრიტანელ ლომებში" მიწვეული მოთამაშეები დააკლდებათ. ეს გუნდი სწორედ ამ პერიოდში ავსტრალიაში გამართავს მატჩების სერიას.**

„წითელი ურჩხულების" დროებითმა მწვრთნელმა **რობ მაკ-ბრაიდმა** რამდენიმე წამყვანი მოთამაშე მოისაკლისა. მათ შორის, ალან-ვინ **ჯოუნზი**, **ჯენტინ ჯენკინსი** და **სემ ვერბარტონი**. ტრავმები აწუხებთ, **სკოტ ვილიმსს** და **რის პრისტლენდს**. მაკ-ბრაიდმა დასვენების საშუალება მისცა **რაიან ჯოუნზს**. კაპიტნობა კი **ბრედლი დევისს** ანდო. 26 წლის მეორეხაზელმა ტრავმის გამო წლევანდელი ექვსი ერის გათამაშება გამოტოვა.

ყოველივე ამის გამო უელსის ნაკრების თავკაცმა ცხრა ახალბედას უხმო. ესენი არიან: **ემირ ფილიპსი, სკოტ ბოლდუინი, ჯეიმზ კინგი, ანდრიას პრეტორიუსი, დენ ბეიკერი, რის პეტჩელი, დავიდ ჰოულისი, ოუენ ვილიამსი და სტივენ შინგლერი.**

*„საწვრთნელი შეკრება უკვე ერთი კვირაა მიმდინარეობს და ძალიან კმაყოფილნი ვართ. ახალგაზრდა მოთამაშეები ზედმეტად მონდომებულნიც კი არიან. ეს გასაგებიცაა, შანსი მიეცათ და უნდათ მაქსიმალურად გამოიყენონ"* - თქვა რობ მაკ-ბრაიდმა.

უელსის ნაკრები პირველ მატჩს იაპონიის ეროვნულ გუნდთან 8 ივნისს ოსაკაში გამართავს, ერთი კვირის თავზე კი, ტოკიოში დაუპირისპირდება.

### უელსი

**შერკინება:** რაიან ბევინგტონი, სკოტ ბოლდუინი, ჯეიმზ კინგი, დენ ბეიკერი (ოთხივე-ოსფრიზი), რის გილი (სარასენზი), ემირ ფილიპსი, როდრი ჯოუნზი, აარონ სინგლერი, რობ მაკკუსკერი (ოთხი-ჰლანეჰლი), სკოტ ენდრიუ, ბრედლი დევისი, ლუ რიდი, ანდრიას პრეტორიუსი (ოთხივე-კარდიფი), კრეიგ მიტჩელი (ექსეტერი), ენდრიუ კუმბსი (ნიუპორტი).

**უკანა ხაზი:** ლოიდ ვილიამსი, რის პეტჩელი, ოუენ ვილიამსი, ჰარი რობინსონი (კარდიფი), ტევის კნოლი, ლიამ ვილიამსი (ჰლანეჰლი), დენ ბიგარი, ეშლი ბეკი, ჯონათან სპრეტი, დავიდ ჰოულისი (ოსფრიზი), ტომ პრაიდი (ნიუპორტი), სტივენ შინგლერი (ლონდონ აირიში).

# პუმებმა ორი დანაკლისი განიცადეს

**ინგლისის ნაკრები ივნისში ტურნეს სამხრეთ ამერიკაში გამართავს. „პუმებს" წინასწარ დასახელებული შემადგენლობიდან ორი წამყვანი მორაგბე დააკლდა. ტრავმების გამო ტესტებში ვერ იასპარეზებენ ალექს გუდი და ჯოელ ტომკინსი.**

ინგლისის ნაკრების თავკაცმა **სტიუარტ ლანკასტერმა** მათ ნაცვლად **სტიუარტ მირლენდი და ლუთერ ბარელი** მიიწვია. ეს ახალგაზრდა მორაგბეები დებიუტანტები არიან და ინგლისის ჩემპიონატის მეორე წრეში გამორჩეულნი იყვნენ.

*„ლუთერ ბარელმა და სტიუარტ მირლენდმა შესანიშნავად იასპარეზეს „ავივა პრემიერშიპის" მეორე წრეში. მათ შანსი მიეცათ ეროვნულ ნაკრებში ითამაშონ სამხრეთ ამერიკაში გასამართ ტურნირში.*

*გული გვწყდება, ალექს გუდი და ჯოელ ტომკინსი რომ დაგვაკლდებიან. მათ წლეულს არანაკლებ წარმატებული სეზონი ჰქონდათ. დარწმუნებული ვარ, ორივე წარმატებით დაგვიბრუნდება მომავალ სეზონში."* - თქვა „პუმების" თავკაცმა სტიუარტ ლანკასტერმა.

შეგახსენებთ, რომ 8 და 15 ივნისს ინგლისის ეროვნული გუნდი სტუმრად დაუპირისპირდება არგენტინის ნაკრებს. 22 ივნისს კი, „პუმები" „ბორჯღალოსნებს" უმასპინძლებენ.

### ინგლისი

**შერკინება:** დეივ ეტვუდი, რობ ვებერი, დევიდ ვილსონი (სამივე-ბასი), რობ ბიუკენენი, ჯო მარლერი (ორივე-ჰარლიქვინზი), კალუმ კლარკი, პაულ დორან ჯოუნზი, კორტნი ლოუ, ტომ ვუდი (ოთხივე-ნორსჰემპთონი), ალექს კორბიშერო, დევიდ პეისი (ორივე-ლონდონ აირიში), ტომ ჯონსონი (ექსეტერი), მეთ კვესიჩი (ვორსტერი), ჯო ლანჩბერი, ბილ ვუნიპოლა (ორივე-ვოსფსი), ბენ მორგანი (გლოსტერი), ედ სლეტერი (ლესტერი), ჰენრი თომასი (სეილ შარქსი).

**უკანა ხაზი:** მაიკ ბრაუნი (ჰარლიქვინზი), ფრედი ბარნსი, ჯონი მეი, ბილი თველვეტრისი (სამივე-გლოსტერი), ლი დიქსონი, ბენ ფოდენი (ორივე-ნორსჰემპთონი), კაილი ისტმონდი (ბასი), დევიდ სტრიტლი, რიჩარდ ვაიგლსვორთი (ოთხივე-სარასენზი), ჯონათან ჯოზეფი, მერლანდ იარდე (ორივე-ლონდონ აირიში), კრისტიან უაიდი (ვოსფსი).

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

● ოლიმპიზმი




# სოჭის ფავორიტი ნორვეგიაა

ჰოკეიში მსოფლიოს ჩემპიონატი 2012-13 წლების სეზონში ბოლო სტარტი იყო ზამთრის ოლიმპიურ სახეობებში. შესაბამისად, სოჭის 2014 წლის ოლიმპიადის წინ, ექსპერტებს საშუალება მიეცათ, შეაჯამონ ზამთრის ყველა სახეობაში მსოფლიოს ჩემპიონატებზე დაფიქსირებული შედეგები და გამოავლინონ მომავალი ოლიმპიადის წინ ფავორიტი ქვეყნები.

2012-13 წლების სეზონში ოლიმპიურ სახეობებში მსოფლიოს ჩემპიონატების დონეზე ჯამში მედლების 98 კომპლექტი გათამაშდა.

ზამთრის სეზონის შედეგების მიხედვით ლიდერია ნორვეგიის ნაკრები – 17 ოქრო, 7 ვერცხლი და 10 ბრინჯაო. მეორე პოზიციაზეა აშშ (13-6-10), მესამეზე – გერმანია (9-7-10).

მიღებულია, რომ სწორედ წინასაოლიმპიადო სეზონის დროს განაწილებული მედლების რაოდენობით მსჯელობენ იმის შესახებ, როგორ გამოვა ზამთრის თამაშებზე ესა თუ ის ქვეყანა.

სრულად საერთო გუნდური ჩათვლის პირველი ათეული ასე გამოიყურება:

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 17 | 7 | 10 | 34 |
| 2. აშშ | 13 | 6 | 10 | 29 |
| 3. გერმანია | 9 | 7 | 10 | 26 |
| 4. კანადა | 7 | 12 | 9 | 28 |
| 5. რუსეთი | 7 | 5 | 11 | 23 |
| 6. საფრანგეთი | 6 | 7 | 5 | 18 |
| 7. ჰოლანდია | 6 | 7 | 4 | 17 |
| 8. კორეა | 6 | 5 | 1 | 12 |
| 9. ჩინეთი | 6 | 1 | 2 | 9 |
| 10. შვეიცარია | 4 | 6 | 0 | 10 |

● ამბები

**კალათბურთი**

## კობი წიგნს დაწერს

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერმა **კობი ბრაიანტმა** წიგნის დაწერა გადაწყვიტა. ამის შესახებ მცველმა საკუთარი "ტვიტერის" მეშვეობით გვამცნო.

*"ვფიქრობ, დრო მოვიდა წიგნი დავწერო"*, - განაცხადა ბრაიანტმა.

შეგახსენებთ, რომ ამას წინათ, საკუთარი წიგნი გამოქვეყნა "ლეიკერსის" ლეგენდარულმა მწვრთნელმა **ფილ ჯექსონმა**, რომელიც დაწვრილებით აღწერს კობისთან ურთიერთობას.

## პრიჯიონი ესპანეთში ბრუნდება?

"ნიუ იორკ ნიქსის" მცველ პაბლო პრიჯიონის რთული გადაწყვეტილების მიღება მოუწევს – გააგრძელოს გამოსვლა NBA-ში თუ დატოვოს ლიგა. საქმე ისაა, რომ არგენტინელის მეუღლეს **რაკელს** ესპანეთში დაბრუნება სურს, სადაც ამერიკაში გადასვლამდე თამაშობდა პრიჯიონი.

გასულ ზაფხულს, 36 წლის კალათბურთელმა ნიუ იორკში თან წაიყვანა მეუღლე და ორი შვილი და "ნიქსთან" სპეციალურად გააფორმა მხოლოდ ერთწლიანი კონტრაქტი, რათა შეემოწმებინა – მოეწონებოდა თუ არა მას და მის ოჯახს ამერიკა. ადრე პრიჯიონი აღიარებდა, რომ რაკელს უჭირს უცხო ქვეყანაში, რადგან ინგლისური არ იცის და ესპანეთი არასოდეს დაუტოვებია.

## სმოდიშმა კარიერა დაასრულა

ცნობილმა სლოვენიელმა კალათბურთელმა მატიაჟ სმოდიშმა კარიერის დასრულება გადაწყვიტა. თავისი ბოლო მატჩი 33 წლის სლოვენიელმა "კრკას" რიგებში ჩაატარა, რომელმაც ორი დღის წინ, სლოვენიის ჩემპიონის ტიტული გაინაღდა, როცა ფინალურ სერიაში "ოლიმპია" დაამარცხა.

სმოდიშს კარიერის საუკეთესო წლები მოსკოვის ცსკა-ში აქვს გატარებული. აქ მან ექვსი სეზონი ითამაშა და სამჯერ მოიგო ევროლიგა. მას აგრეთვე სამ ევრობასკეტში აქვს მონაწილეობა მიღებული.

**კრივი**

## ანდრე უორდის პროტესტი

მსოფლიოს საუკეთესო მოკრივეთა ათეულში შემავალმა 29 წლის ამერიკელმა **ანდრე უორდმა** უარი თქვა WBC-ის საპატიო ტიტულზე.

აპრილის შუაში, მსოფლიოს საკრივო საბჭომ (WBC) გადაწყვიტა ჩამოერთმია ტიტული უორდისთვის და მისთვის საპატიო ჩემპიონობა მიენიჭებინა. WBC-მ ამგვარი გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ ამერიკელი შვიდი თვის განმავლობაში არ იცავდა საჩემპიონო ქამარს. თუმცა WBC-ის ნაბიჯი საკამათო იყო **ფლოიდ მეივეზერის** ანალოგიური სიტუაციის ფონზე. ეს უკანასკნელი 19 თვის განმავლობაში არ იცავდა WBC-ის ტიტულს, მაგრამ მის მიმართ არანაირი სანქცია არ ყოფილა გამოყენებული.

● ფორმულა 1

# რაიკონენი: ორი ვარიანტი 2014 წლისთვის

გასულ წელს, ფინელი **კიმი რაიკონენი** ფორმულა 1-ში ორწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა და გენერალურ კლასიფიკაციაში მესამე ადგილი დაიკავა. 2013 წელს, ხუთი რბოლის შემდეგ, „ლოტუსის" პილოტს მეორე ადგილი უკავია და ტიტულისთვის ბრძოლის კარგი შანსი გააჩნია.

კიმის მაღალი შედეგები შეუმჩნეველი არ დარჩენილა და ფორმულა 1-ის სამყაროში უკვე დაიწყეს ჭორაობა იმის თაობაზე, რომ რაიკონენი მომავალ სეზონში „რედ ბულში" გადავა **მარკ უებერის** ნაცვლად. თავად კიმიმ იტალიურ Autosprint-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას 2014 წლისთვის მოვლენათა განვითარების ორი ვარიანტი აქვს.

*„ამჟამად არ გამაჩნია კონტრაქტი მომავალი წლისთვის. როცა დადგება გადაწყვეტილების მიღების დრო, მე ამას გავაკეთებ და აუცილებლად გაცნობებთ. გადაწყვეტილება ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ორი ვარიანტი აქვს, მაგრამ ფორმულა 1-ში არ შეიძლება ბოლო ასი პროცენტით იყო დარწმუნებული. საკმარისად დიდი ხანია გამოვდივარ ჩემპიონატში და ვიცი, რომ საჭიროა, ავირჩიო ვარიანტი ჩემთვის ოპტიმალური პირობებით.*

*გეგმების დაწყობა არასოდეს მიყვარდა. ვიცი, თუ ხვალ მოულოდნელად მივხვდები, რომ აღარ მინდა რბოლებში დარჩენა, მაშინვე წავალ ფორმულა 1-დან. ადრე თუ გვიან, ასეთი მომენტი დადგება, რადგან ასეთ ჩემპიონატში გამოსვლისას, ყველაფერი უნდა მიუძღვნა სამუშაოს და ფაქტობრივად სხვა არაფერზე დრო არ გრჩება. ოდესღაც მომინდება ჩვეულებრივი ცხოვრებით არსებობა, მოგზაურობა, თუმცა, ახლა, რბოლებისგან სიამოვნებას ვიღებ"*, - ამბობს რაიკონენი.

მიმდინარე სეზონზე საუბრისას, „ლოტუსის" პილოტი აცხადებს, რომ არ უკვირს თავისი გუნდის მაღალი შედეგები და პირადი მეორე ადგილი გენერალურ კლასიფიკაციაში: *„გაკვირვების მიზეზს ვერ ვხედავ. გვინდოდა სეზონი იმაზე უკეთ დაგვეწყო, ვიდრე შარშან. და ჩვენ ეს გავაკეთეთ. მე ვიცნობ გუნდს, გუნდი მიცნობს მე, ერთად მუშაობის დიდი გამოცდილება გვაქვს, წელს კი მოვახერხეთ სტაბილურობის მოპოვება და სიჩქარის ამაღლება. თუმცა გვინდოდა, რაც შეიძლება მეტი რბოლა მოგვეგო, მაგრამ ჯერ ეს არ ხდება".*

რაიკონენმა კომენტარი გაუკეთა საბურავებთან დაკავშირებულ პრობლემას: *„ყოველ წელს ვხედავთ რაღაც სიახლეს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ძირითადი საკითხები უცვლელი რჩება. თუ საკმარისად სწრაფი არ ხარ, პოდიუმზე ასვლას ვერ შეძლებ. პირველ რიგში, პილოტი უნდა იყოს ძლიერი მაღალი პოზიციებისთვის საბრძოლველად".*



კიმი რაიკონენი



ლეგენდარული **მიხაელ შუმახერი** ერთი დღით დაუბრუნდა "მერსედესის" ბოლიდის საჭეს და ერთი წრე გაიარა საინტერესო აქციის რანგში, რომელიც წინ უძღოდა "ნიურბურგრინგის 24 საათის" მარათონის სტარტს.

# შუმახერი ისევ ტრასაზეა

აქ რეკორდის დამყარება არ იგეგმებოდა. ეს იყო სარეკლამო ხასიათის აქცია და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონთან ერთად, მასში მონაწილეობა მიიღეს სხვა გერმანელმა პილოტებმა. ისინი "მერსედესის" სხვადასხვა სპორტულ მანქანას მართავდნენ, თუმცა ფორმულა 1-ის ბოლიდზე მხოლოდ მიხაელი იჯდა.

სცენარის მიხედვით, ნიკო როსბერგი, ბერნდტ შნაიდერი, კარლ ვენდრინგერი და ბერნდტ მაილანდერი შესამჩნევი ჰანდიკაპით იღებდნენ სტარტს. შუმახერის ამოცანა იყო – დაწეოდა და გაესწრო "კონკურენტებისთვის", რაც ლეგენდამ ბრწყინვალედ შეასრულა.

*"ფორმულა 1-ში ბევრი არაფერი დარჩა ისეთი, რაც ჩემთვის სიახლე შეიძლება იყოს*, - განაცხადა შუმახერმა ფინიშის შემდეგ. – *მაგრამ ის, რაც დღეს განვიცადე, რა თქმა უნდა, პირველად მოხდა ჩემს კარიერაში"*.

# ფეხბურთი რბოლის წინ

მონაკოში, ლუი II-ის სტადიონზე გაიმართება ტრადიციული საფეხბურთო მატჩი, რომელიც წინ უძღვის ფორმულა 1-ში მონტე კარლოს გრან პრის. ამ საქველმოქმედო შეხვედრაში, რომელიც წელს მეოცედ გაიმართება, პილოტების ნაკრები შეხვდება მონაკოს თავადის ალბერტ II-ის ნაკრებს.

პილოტების გუნდში ითამაშებენ ფორმულა 1-ის მოქმედი პილოტები: **ფერნანდო ალონსო, სებასტიან ფეტელი, ფელიპე მასა, სერხიო პერესი, ჟიულ ბიანკი**. ასევე გავლენ მოედანზე ჩემპიონატის ყოფილი პილოტები: **რიკარდო პატრეზე, ემანუელე პირო, გაბრიელე ტარკვინი, ვიტანტონიო ლიუცი, ჯანკარლო ფიზიკელა** და **ივან კაპელი**. მათთან ერთად, გუნდს დააკომპლექტებენ დაბალი სერიის პილოტები.

ალბერტ II-ის გუნდში რამდენიმე ყოფილ ფეხბურთელს ვიხილავთ. აქ ითამაშებს "ლაციოს", "ინტერისა" და "მანჩესტერ სიტის" ყოფილი მოთამაშე **ბერნარდო კორადი**, "ტორინოს", "სამპდორიასა" და "ფიორენტინას" ექსფეხბურთელი **სანდრო კოისი**, ცნობილი იტალიელი სამთო მოთხილამურე **კრისტიან გედინა** და სხვა ვარსკვლავები. გარდა ამისა, დაუდასტურებელი ინფორმაციით, მინდორზე გავლენ ისეთი ცნობილი მოთამაშეები, როგორებიც არიან **ჯენარო გატუზო, პაველ ნედვედი** და **ანდერსონი**.




● ველოსპორტი. ჯირო დ'იტალია

# ლიდერი უცვლელია

ჯირო დ'იტალიაზე ერთდღიანი შესვენების შემდეგ გაიმართა მე-16 ეტაპი, რომლის სიგრძე 238 კილომეტრს შეადგენდა - ვალუარადან ივრეამდე.



ინჩაუსტის ფინიში

ფინიშამდე 16 კილომეტრით ადრე, შეტევაში წავიდა კოლუმბიელი **კარლოს ბეტანკური** Ag2r-დან, რომელსაც 2008 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი **სამუელ სანჩესი** (Euskatel Euskadi) გამოედევნა. მაგრამ მალე მათ ძირითადი ჯგუფი დაეწია.

გადამწყვეტი აღმოჩნდა შეტევა, რომელშიც მონაწილეობდნენ ესტონელი **ტანელ კანგერტი** („ასტანა"), პოლონელი **პშემისლავ ნემეცი** (Lampre) და ესპანელი **ბენიატ ინჩაუსტი** (Movistar). ამ ტრიოს შორის სპრინტი ინჩაუსტმა მოიგო და სწორედ ის გახდა ეტაპის გამარჯვებული. მეორეზე გავიდა კანგერტი, მესამეზე ნემეცი.

გენერალური კლასიფიკაციის ლიდერმა, იტალიელმა **ვინჩენცო ნიბალიმ** შეინარჩუნა ვარდისფერი მაისურა. გუშინდელი ეტაპი მან ათეულის მიღმა დაასრულა. „ასტანას" წევრი კლავაც ერთ წუთსა და 26 წამს უგებს ავსტრალიელ **კეიდელ ევანსს** (BMC). საერთო ჩათვლაში მესამეა „სქაის" წევრი, კოლუმბიელი **რიგობერტო ურანი**, რომლის ჩამორჩენა ლიდერთან 2 წუთსა და 46 წამს უდრის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL პლეი ოფი

# დეტროიტი ჩემპიონს დაემუქრა

სტატისტიკის თანახმად, დეტროიტში პირველი საშინაო მატჩი კარგს არაფერს უქადდა "რედ უინგზს". ბოლო ოთხი სეზონის განმავლობაში, "ჩიკაგო" მუდმივად ბატონობდა "ჯო ლუის არენაზე" – 11-დან ცხრა მატჩი მოიგო და 33 შაიბა გაიტანა. ეს ციფრები შემთხვევითი ნამდვილად არ არის და შესაბამისად, ფავორიტად სწორედ "ბლეკჰოქსი" მიიჩნეოდა.

მაგრამ, ამჯერად, სტუმრებისთვის ყველაფერი ცუდად განვითარდა. თუმცა თავიდან დეტროიტელებმა სრულიად გაუგებარი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს, როცა პირველ პერიოდში ორჯერ რიცხობრივი უპირატესობა მისცეს მეტოქეს, მესამედ კი ეს მეორე პერიოდის სტარტზე გააკეთეს. მაგრამ, ზედმეტი ჰოკეისტის გათამაშებისას ჩიკაგოელებმა განსაკუთრებული ვერაფერი შექმნეს და ასეთი უპირატესობის გაფლანგვის გამო დაისაჯნენ კიდეც.

ჯერ **ნიკუისტი** გაიქცა კონტრშეტევაში, შემდეგ კი **მილერმა** მოიგო მეტოქის კარის სიახლოვეს ძალისმიერი ორთაბრძოლა და შედეგად, "დეტროიტმა" 31 წამის ინტერვალით ორი გოლის გატანა მოახერხა.

მესამე პერიოდში **კეინმა** ცოტა ხნით დაუბრუნა ინტრიგა შეხვედრას, როცა ერთი ერთზე გასვლა გამოიყენა, მაგრამ ორი წუთის შემდეგ, **დაციუკმა** ეფექტური წერტილი დაუსვა შეხვედრას.



დრიუ მილერის გოლი

ასე მოულოდნელად დაწინაურდა სერიაში "დეტროიტი", რომელმაც მართლაც შესანიშნავი ფორმა აკრიფა - წინა სერიაში მან დასავლეთის მეორე გუნდი – "ანაჰაიმი" გამოთიშა ბრძოლას, ახლა კი მთლიანად რეგულარული სეზონის ჩემპიონს დაემუქრა.

**დეტროიტი-ჩიკაგო 3:1**

0:0, 2:0, 1:1

გოლები: 1:0 ნიკუისტი-2 (ბრუნერი-4, ჟ. ანდერსონი-4), 2:0 დ. მილერი-1 (ივსი-2, ემერტონი-1), 2:1 პ. კეინი-2 (კიტი-5), 3:1 დაციუკი-3 (ფრანცენი-1, ბ. სმიტი-2).

სერია: 2-1

ჩოგბურთი

# დელ პოტრო პარიზში არ მიდის... ვავრინკაც?

გასულ კვირას, მადრიდის მასტერსის მესამე წრეში ფრანგ **ბენუა პერთან** წაგების შემდეგ, **ხუან მარტინ დელ პოტრო** ექიმის მითითებით არგენტინაში დაბრუნდა.

მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანს ბრონქებში სპაზმების გამო სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. როგორც Tennisworld იტყობინება, გრუნტის სეზონის მთავარი სტარტისთვის ხუან მარტინი გამოჯანმრთელებას ვერ მოასწრებს.

უნდა დავამატოთ, რომ ამერიკის ღია პირველობის ყოფილ ჩემპიონს ამ სეზონში ბევრი პრობლემა დაუგროვდა. მაგალითად, წლის დასაწყისში მაჯის არეში ტკივილებს უჩიოდა.

...

ასევე, როლან გაროსზე შეიძლება ვერ ითამაშოს **სტანსლას ვავრინკამ** - ამის მიზეზი ბარძაყის ტრავმა გახლავთ.

*„არსებობს იმის ალბათობა, რომ როლან გაროსზე ვერ გამოვალ,* - განაცხადა ვავრინკამ. - *რომის ტურნირიდან გავარდნის შემდეგ, ჩოგანი ერთხელაც არ ამიღია ხელში და დანამდვილებით შემიძლიათ გითხრათ, რომ ასე გაგრძელდება მინიმუმ ხუთშაბათამდე. უარეს შემთხვევაში, ჩემი იძულებითი პაუზა რამდენიმე კვირა გასტანს".*

რომის მასტერსზე ვავრინკამ პირველი წრე მოუგო **კარლოს ბერლოკს**, მაგრამ მეორე რაუნდში არ უთამაშია უკრაინელი **ალექსანდრ დოლგოპოლოვის** წინაალმდეგ.



როჯერ ფედერერი

# უცნაური როჯერი როლან გაროსის წინ

უცნაურ სიტუაციაში ხვდება მოახლოებულ როლან გაროსს ლეგენდარული შვეიცარიელი ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი**. პირველად 2000 წლის შემდეგ, მსოფლიოს მესამე ჩოგანი ისე ერთვება საფრანგეთის ღია პირველობაში, რომ არც ერთი ტურნირი არ აქვს მოგებული.

შეგახსენებთ, რომ როჯერს ამის შანსი გასულ კვირას, რომის მასტერსზე ჰქონდა, მაგრამ პირწმინდად წააგო ფინალი **რაფაელ ნადალთან** (1:6, 3:6).

*"მე კარგად ვთამაშობ, ჯანმრთელი ვარ, ასე რომ, როლან გაროსის წინ ყველაფერი წესრიგშია. გასული კვირა სასარგებლო იყო იმის გასაგებად, თუ რა დონეზე ვიმყოფები ამ ეტაპისთვის",* - განაცხადა ფედერერმა.

31 წლის შვეიცარიელი ამბობს, რომ პარიზში მცირე შესვენების შემდეგ გაემგზავრება. "დიდი სლემის" რიგით მეორე ტურნირი – საფრანგეთის ღია პირველობა უახლოეს კვირადღეს დაიწყება. ფედერერმა მოახლოებული ტურნირის მთავარ ფავორიტად **რაფაელ ნადალი** დაასახელა,

*"დიახ, ცოტა ხნის წინ, ნოვაკმა რაფაელი მონაკოში დაამარცხა, ასე რომ, იცის როგორ გაუმკლავდეს ესპანელს. მაგრამ, პარიზში ნადალს მხოლოდ რობინ სიოდერლინგთან აქვს წაგებული, რომელიც ახლა არ თამაშობს, ასე რომ, მასთან გამკლავება ძალიან რთული იქნება",* - გვთავაზობს თავის პროგნოზს ჯოკოვიჩი.

კრივი

# ჰოლიფილდი ვერ ისვენებს

## კრივის ცოცხალი ლეგენდა ნოემბერში აპირებს რინგზე გასვლას

ლეგენდარულმა ამერიკელმა სუპერმძიმეწონოსანმა **ევანდერ ჰოლიფილდმა**, შესაძლოა, თავისი მორიგი ბრძოლა 2013 წლის ნოემბერში გამართოს. 50 წლის ექსჩემპიონის მეტოქე უნდა გახდეს პოლონელი **კშიშტოფ ჟიმნოჩი**.

თუ მხარეები ბრძოლის ჩატარებაზე კონტრაქტს გააფორმებენ, მაშინ მოკრივეები ვარშავაში რინგზე 29 ნოემბერს ავლენ.

ჰოლიფილდს, რომელმაც თავისი ბოლო ბრძოლა 2011 წლის მაისში ჩაატარა, ოფიციალურად ჯერ არ გამოუცხადებია კარიერის დასრულების შესახებ. სულ მან პროფესიულ რინგზე 57 შეხვედრა ჩაატარა, მოიგო 44 (29 – ნოკაუტით), 10 წააგო და ორი ბრძოლა ფრედ დასრულდა.

ევანდერის ბოლო მარცხი 2008 წლის დეკემბრით თარიღდება, როცა მსაჯებმა საეჭვო გადაწყვეტილებით გამარჯვება რუს **ნიკოლაი ვალუევს** მიანიჭეს.

რაც შეეხება კშიშტოფ ჟიმნოჩს, პროფესიულ რინგზე მისი სტატისტიკა ასეთია: 16 ბრძოლა, 15 მოგება (11 – ნოკაუტით) და ერთი ფრე.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ნიკოლაი ვალუევი-ევანდერ ჰოლიფილდი

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ოლდენბურგი-ვერდერი | 0:6 |
| მოისელვიცი-ჰანოვერი | 2:3 |
| მალმიო-შალკე | 1:2 |
| **ნორვეგია** | |
| სარპსბორგი-ვოლერენგა | 3:3 |
| სანდნესი-ვიკინგი | 0:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბლაუ ვაისი-სტ. პოლტენი | 1:0 |
| ლუშტენაუ-აუსტრია (ლ) | 1:4 |
| ჰარტბერგი-ალტახი | 1:2 |
| კაპფენბერგი-გრიოდიგი | 1:1 |
| ვენა-ჰორნი | 1:1 შეწყდა |
| **ირლანდია** | |
| **ლიგის თასი** | |
| შემროკი-დანდალკი | 1:0 |
| **ისლანდია** | |
| აკრანესი-ფრამი | 2:0 |
| სტიარნანი-ვალური | 1:1 |
| ბრეიდაბლიკი-ჰაფნარი | 0:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ჰრადეცი-პრშიბრამი | 0:0 |
| ლიბერეცი-ტეპლიცე | 3:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ოლომოუცი-პარდუბიცე | 2:1 |
| **რუმინეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| პეტროლული-ოცელული | 1:2 (3:0) |
| **ლატვია** | |
| იურმალა-დაუგავა | 0:1 |
| **ლიტვა** | |
| დაინავა-სუდუვა | 1:3 |
| **ესტონეთი** | |
| სილამაე-ტამეკა | 1:1 |
| კალიუ-ტალინა | 2:0 |
| პაიდე-ტრანს ნარვა | 0:1 |
| ფლორა-კურესაარე | 6:0 |
| **მოლდოვა** | |
| მილსამი-ისკრა | 3:0 |
| ცსკა-აკადემია | 3:1 |
| დაჩია-ზიმბრუ | 0:0 |
| შერიფი-კოსტულენი | 2:1 |
| სპერანტა-ნისტრუ | 4:2 |
| ტირასპოლი-ოლიმპია | 7:1 |

| აზია | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| სეული-ბეიჟინგი | 3:1 |
| ბუნიოდკორი-ბურირამი | 0:0 |
| ალ აჰლი-ელ ჯაიში | 2:0 |
| ალ შაბაბი-ალ გარაფა | 3:0 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| სტრასბური-ვილერბანი | 74:66 |
| **გერმანია** | |
| ოლდენბურგი-ულმი | 84:86 (ო) |
| **საბერძნეთი** | |
| პაოკ-რეტიმნო | 71:75 |
| პანიონიოსი-არისი | 80:79 (ო) |
| **იტალია** | |
| სასარი-კანტუ | 95:97 |
| რომა-რეჯო ემილია | 72:59 |
| **თურქეთი** | |
| თოფასი-გალათასარაი | 49:82 |
| პინარი-ფენერბაჰჩე | 81:78 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. დიუსელდორფი** | |
| კოროლიოვი-სისლინგი | 2:6, 4:6 |
| გოფენი-ჟემლია | 7:5, 0:6, 2:6 |
| ბედენე-დავიდენკო | 3:6, 6:4, 6:3 |
| რასელი-ტროიცკი | 6:3, 3:6, 4:6 |
| **ATP. ნიცა** | |
| დუტრა და სილვა-სტახოვსკი | 2:6, 3:6 |
| ფონინი-ჩეკიატო | 1:6, 6:1, 6:2 |
| მატიო-ჰარისონი | 6:4, 6:4 |
| ხირალდო-მონფილსი | 6:4, 3:6, 3:6 |
| რუფენი-ლორენცი | 6:3, 6:1 |
| **WTA. სტრასბური** | |
| სოლერ ესპინოსა-ბუშარი | 3:6, 3:6 |
| ტატიშვილი-გარსია | 6:7, 7:5, 6:4 |
| ერაკოვიჩი-ნიკულესკუ | 7:6, 3:6, 6:7 |
| რაზანო-პაჩეკი | 6:1, 6:4 |
| ბარტოლი-ჯორჯი | 3:6, 2:6 |
| ლარსონი-ჩეტკოვსკა | 6:2, 2:6, 6:3 |
| მაკჰეილი-დევისი | 5:7, 3:6 |
| ჰრადეცკა-მუგურუსა ბლანკო | 6:4, 6:3 |
| ლინეტი-პუჩკოვა | 6:4, 7:6 |
| როჯერსი-დომახოვსკა | 6:2, 7:5 |
| დოი-პლიშკოვა | 7:5, 6:2 |
| კორნე-იოჰანსონი | 6:3, 6:2 |
| სვიტოლინა-პენეტა | 4:6, 2:6 |
| ფოერშტაინი-სხეპერსი | 5:7, 4:6 |
| ჰანტუხოვა-ტორო ფლორი | 3:6, 6:4, 6:7 |
| ბეკი-ჰსიე | 7:6, 5:7, 1:6 |

TV პროგრამა

**22 მაისი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ბაიერნი.
12:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIV ტური. ბოკა ხუნიორსი-კოლონი.
14:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. პლეი ოფი. ფინალი. სანტოსი-კორინთიანსი. საპასუხო მატჩი.
16:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ლილი-ბაიერნი.
18:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. მიმოხილვა.
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ბორუსია (მ)-ბაიერნი.
21:00 არგენტინის ჩემპიონატი. XIV ტურის მიმოხილვა.
22:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. დორტმუნდი-შახტარი.
00:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ფრაიბურგი-შალკე.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-არსენალი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. სან ანტონიო-მემფისი. II მატჩი.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ჰოფენჰაიმი.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჩემპიონის გზა. მონპელიე-ტულონი.
19:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 კალათბურთი. ევროლიგა. ჩემპიონის გზა. ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი.
22:00 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. ბოსტონ სელტიქსი. 1983-84 წლები. I ნაწილი.
23:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. სან ანტონიო-მემფისი. II მატჩი.
04:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. 1/2 ფინალი. მაიამი-ინდიანა. I მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
13:00 სპორტ-NEWS.
13:30 კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი". ფინალი. ოლიმპიაკოსი-რეალი.
16:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჰარლიქვინსი-მანსტერი.
18:00 სპორტ-NEWS.
19:30 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბოსტონი-ატლანტა.
20:30 საჩოგბურთო პროგრამა - მატჩ-პოინტი.
21:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.

ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 10 | 29 | (მზე) |
| ქუთაისი | 16 | 28 | (მზე) |
| ბათუმი | 15 | 24 | (მზე) |
| ფოთი | 14 | 25 | (მზე) |
| ზუგდიდი | 14 | 27 | (მზე) |
| გორი | 10 | 27 | (მზე) |
| თელავი | 9 | 28 | (მზე) |
| სიღნაღი | 9 | 28 | (მზე) |
| ბაკურიანი | 5 | 24 | (მზე) |
| ბორჯომი | 7 | 26 | (მზე) |
| მესტია | 8 | 23 | (მზე) |

ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1047 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6361 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.4800 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2478 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ყველაზე პარიზული სტადიონი

## რითი სჯობს როლან გაროსი ეიფელის კოშკს

**კვირას საფრანგეთის ღია პირველობა იწყება - სეზონში „დიდი სლემის" რიგით მეორე ტურნირი. დღემდე გაურკვეველია, რა უფრო პრესტიჟულია - თავად ტურნირი თუ ის სტადიონი, რომელზეც როლან გაროსი იმართება?**



საფრანგეთის ღია პირველობა 122 წლისაა. პირველად 1891 წელს ჩატარდა და მაშინ ეს იყო ერთდღიანი ეროვნული ტურნირი. რაც ყველაზე საინტერესოა, პირველი გამარჯვებული გახდა... ინგლისელი, ვინმე **ჰენრი ბრიგსი**. გასული საუკუნის 20-იანი წლების შუაში ტურნირი დამაჯერებელი ნაბიჯებით მიდიოდა იქითკენ, რომ მალე არსებობას შეწყვეტდა: უცხოელი ჩოგბურთელები დიდად არ წყალობდნენ მას, საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე კი, ასეთი ტურნირები დიდხანს ვერ ძლებდნენ. ყველაფერი მუშკეტერების წყალობით შეიცვალა. არა **ალექსანდრ დიუმას** რომანის გმირების, არამედ იმათი, რომლებმაც 1927 წელს, დევისის თასის ფინალში სტუმრად დაამარცხეს ამერიკა და პრესტიჟული პრიზი პარიზში ჩაიტანეს.

სიტყვებით ძნელი გადმოსაცემია ის ფურორი, რაც **ჟაკ ბრუნიონის, ჟან ბოროტრას, ანრი კოშესა** და **რენე ლაკოსტის** თამაშმა გამოიწვია. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ პარიზის მთავრობა მიხვდა - მოძველებული საჩოგბურთო კლუბი, Stade de France 1928 წელს გასამართი მატჩ-რევანშის დასწრების ყველა მსურველს ვერ დაიტევდა, ამიტომაც ახალი არენის აშენება გადაწყდა. ამ საქმისთვის პორტ-დ'ოტოის გვერდით სამი ჰექტარი მიწა გამოიყო. სამუშაოების დიდი ნაწილის დაფინანსება Stade de France-მა თავის თავზე აიღო. მანვე მოითხოვა, რომ ახალი სტადიონისთვის კლუბის ერთ-ერთი ძველი წევრის, საფრანგეთის არმიის სერჟანტის, ქვეყნის ისტორიაში უპირველეს მფრინავად და ეროვნულ გმირად მიჩნეული **როლან გაროს** სახელი მიენიჭებინათ. ეს სახელი დღეს საყოველთაოდ არის ცნობილი და ალბათ, ღირს როლან გაროს გმირობებზე უფრო დაწვრილებით მოგიყვეთ.

დღეს ეს შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ 1915 წლამდე პილოტები ერთმანეთის თვითმფრინავების ჩამოგდებას ჩვეულებრივი პისტოლეტით ან კარაბინით ცდილობდნენ. მუსიე გარომ კი, თავის საფრენ აპარატზე ტყვიამფრქვევი დაამაგრა და პირდაპირ მოწინააღმდეგეების თვითმფრინავების პროპელერებს უმიზნებდა ტყვიებს. ეფექტი შთამბეჭდავი გამოვიდა. პირველივე ბრძოლაში ფრანგმა ასმა ერთი გერმანული თვითმფრინავი ჩამოაგდო, სამი კი გააქცია. მომდევნო ორი კვირის განმავლობაში, მან კიდევ სამი საფრენი აპარატი გაანადგურა და ძალიან მალე, როლან გარო შიშის ზარს სცემდა გერმანელ პილოტებს.



როლან გარო

1918 წლის 5 ოქტომბერს, მისი თვითმფრინავი ჩამოაგდეს და როლან გარო დაიღუპა. მისი ხსოვნა დღეს სათანადოდ არის უკვდავყოფილი. Roland Garros ხომ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობად სავაჭრო მარკად გადაიქცა. „დიდი სლემის" ოთხივე ტურნირს საკუთარი მოკლე დახასიათება აქვს. აშშ-ის ღია პირველობა - ყველაზე მდიდარი, ავსტრალიის ღია პირველობა - ყველაზე ეგზოტიკური, უიმბლდონი - ყველაზე პრესტიჟული და სნობური. Roland Garros-ს კი, როგორც ჭეშმარიტ პარიზელს, ყველაზე მეტად ასეთი შეფასება შეეფერებოდა - „ყველაზე რომანტიკული".

თავად ჩოგბურთელები ამბობენ, რომ ამ სტადიონზე ყოველთვის ზეიმის ატმოსფერო სუფევს. მაგრამ ეს ყველას აზრი არ არის. მაგალითად, ამერიკელ **პიტ სამპრასს** Roland Garros-თან უსიამოვნო მოგონებები აკავშირებს. ამაში გასაკვირი არაფერია - „დიდი სლემის" ტურნირების 14-გზის ჩემპიონს პარიზში არასოდეს მოუგია.

ტურნირის ჩატარების დონეზე არც გულშემატკივრები წუწუნებენ. ორი კვირის განმავლობაში, მათი საერთო რაოდენობა 400 ათას ადამიანს აჭარბებს. ორგანიზატორებიც ცდილობენ კომპლექსის ტერიტორიაზე ყოფნა მაქსიმალურად კომფორტულად აქციონ. დასაწყისისთვის ის უნდა აღინიშნოს, რომ კორტების გარშემო ავტოტრანსპორტისთვის დაახლოებით 5 ათასი ადგილია გამოყოფილი.

Roland Garros-ის მთელ ტერიტორიაზე უამრავი საინფორმაციო ტაბლო დგას, რომლებზეც on-line რეჟიმში აისახება ყველა მატჩის მიმდინარეობა. საინფორმაციო უზრუნველყოფის განხრით, განსაკუთრებით გამოსაყოფია ექვსი უზარმაზარი ეკრანი - პირველ, მეორე და მეოთხე კორტებთან და კიდევ სამი - Suzanne-Lenglen-ის კორტთან. ამ ეკრანებზე შედეგების გარდა დღის პროგრამა, მოთამაშეების ფოტოები და ბიოგრაფიები აისახება.

გასაკვირი იქნება, რომ აქ მოგვარებული არ იყოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი. კვების საქმე Roland Garros-ზე უმაღლეს დონეზეა დაყენებული. კომპლექსის ტერიტორიაზე უამრავი კვების პუნქტია, რომელიც ნებისმიერის გემოვნებასა და ფინანსურ შესაძლებლობებს დააკმაყოფილებს. აქ უბრალოდ ყავისა და კრუასანის მირთმევაც შეიძლება, ან ბანალურ სასადილოში (რომლებსაც მარტივი სახელი აქვთ - Le Buffet) შესვლა. აქვეა საკმაოდ კარგი რესტორნები - როგორც საშუალო, ასევე მაღალი კლასის. პირველს განეკუთვნება Le Tribune, სადაც სადილი კაცზე დაახლოებით 40 ევრო ჯდება, ხოლო უმაღლესი კლასის რესტორანია - Roland Garros, რომელიც ცოტა ხნის წინ, უახლეს არქიტექტურულ სტილზე გადაკეთდა. აქ უკვე მაღალი ფასებია და არც არის გასაკვირი - იქაურ შეფ-მზარეულს ხუთ საერთაშორისო კონკურსზე მოპოვებული დიპლომები უმაგრებს ზურგს, მომსახურე პერსონალიც კარგად არის გაწვრთნილი. მოკლედ - გადაიხადე და დატკბი სიმშვიდით, ექსკლუზიურობით და ტერასებიდან ბრწყინვალე ხედით, რომელიც ეგზოტიკურ მცენარეებზე გადის.

სხვა რა კომფორტია... ტრიბუნებს ქვემოთ სათავსებში გარე სამყაროსთან კავშირის რამდენიმე კვანძია (კორტის ტერიტორიაზე აკრძალულია მობილურის ხმარება), სუვენირების მაღაზიები, არანორმალურად ბევრი ტუალეტები, ფოტოფირების ექსპრეს-გამჟღავნებისა და დაბეჭდვის პუნქტები და რა თქმა უნდა, Tenniseum, ანუ ჩოგბურთის მუზეუმი.

Roland Garros-ის საბილეთო პროგრამა, ისევე როგორც „დიდი სლემის" დანარჩენ ტურნირებზე, საკმაოდ დემოკრატიულია. საკვალიფიკაციო ტურნირის მატჩებზე დასწრება თითქმის უფასოა - 4 ევრო დღიური აბონემენტისთვის. შემდეგ კი, ფასები დამოკიდებულია იმ სტადიებზე, რომელზეც ტურნირი იმყოფება, აგრეთვე მომსახურეობის იმ დონეზე, რომლის მიღებასაც გულშემატკივარი ითხოვს. პრინციპში, ფინალურ მატჩზე მოხვედრაც არ არის რთული. შეგიძლიათ საერთოდ არ დაჯავშნოთ ბილეთი. გარშემო უამრავი გადამყიდველია და ისინი სიამოვნებით მოგყიდიან ბილეთს 100-150 ევროდ.

სხვა გზით წასვლაც შეიძლება - „სნორი" მოქალაქეებისთვის. ტურისტული სააგენტოების ყველაზე უბრალო VIP-პაკეტი დასწრების დღის მიხედვით ფასდება - 600 ევროდან (ტურნირის პირველი ორი დღე) 1 050 ევრომდე (ფინალი). ამ თანხად შეიძლება ცენტრალურ კორტზე პირველი კატეგორიის ადგილი მიიღოთ, ისარგებლოთ სპეციალური შესასვლელით, რესტორანში ისადილოთ... თუ მაქსიმუმის გადახდა გსურთ, ფასი ერთი ადამიანისთვის დაახლოებით 2 000 ევროა დღეში. ზემოთ ჩამოთვლილი კომფორტის გარდა, ამ პაკეტით შეიძლება ისარგებლოთ დახურული პავილიონით, პარკინგის ადგილით, პირადი მცველით. გარდა ამისა, პავილიონში აუცილებლად არის ტელეფონი, ფაქსი და... რომელიმე მოთამაშე. რა თქმა უნდა, სუპერვარსკვლავი არა, მაგრამ მაინც პროფესიონალი. სხვათა შორის, მასთან ერთად თამაშიც შეიძლება.

და თუ სრული პროგრამით დაიხარჯებით, ტურნირზე ორი კვირა ყოფნა დაახლოებით 30 ათასი ევრო ღირს.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

### ბოლო 30 წლის ფინალი

| | |
|---|---|
| 1983 ნოა (საფ)-ვილანდერი (შვედ) | 6:2, 7:5, 7:6 |
| 1984 ლენდლი (ჩეხ)-მაკინროი (აშშ) | 3:6, 2:6, 6:4, 7:5, 7:5 |
| 1985 ვილანდერი (შვედ)-ლენდლი (ჩეხ) | 3:6, 6:4, 6:2, 6:2 |
| 1986 ლენდლი (ჩეხ)-პერნფორსი (შვედ) | 6:3, 6:2, 6:4 |
| 1987 ლენდლი (ჩეხ)-ვილანდერი (შვედ) | 7:5, 6:2, 3:6, 7:6 |
| 1988 ვილანდერი (შვედ)-ლაკონტი (საფ) | 7:5, 6:2, 6:1 |
| 1989 ჩანგი (აშშ)-ედბერგი (შვედ) | 6:1, 3:6, 4:6, 6:4, 6:2 |
| 1990 ანდრეს გომესი (ეკვ)-აგასი (აშშ) | 6:3, 2:6, 6:4, 6:4 |
| 1991 კურიე (აშშ)-აგასი (აშშ) | 3:6, 6:4, 2:6, 6:1, 6:4 |
| 1992 კურიე (აშშ)-კორდა (ჩეხ) | 7:5 6:2 6:1 |
| 1993 ბრუგერა (ესპ)-კურიე (აშშ) | 6:4, 2:6, 6:2, 3:6, 6:3 |
| 1994 ბრუგერა (ესპ)-ბერასატეგი (ესპ) | 6:3, 7:5, 2:6, 6:1 |
| 1995 მუსტერი (ავსტრია)-ჩანგი (აშშ) | 7:5, 6:2, 6:4 |
| 1996 კაფელნიკოვი (რუს)-შტიხი (გერ) | 7:6(4), 7:5, 7:6(4) |
| 1997 კუერტენი (ბრა)-ბრუგერა (ესპ) | 6:3, 6:4, 6:2 |
| 1998 მოია (ესპ)-კორეჩა (ესპ) | 6:3, 7:5, 6:3 |
| 1999 აგასი (აშშ)-მედვედევი (უკრ) | 1:6, 2:6, 6:4, 6:3, 6:4 |
| 2000 კუერტენი (ბრა)-ნორმანი (შვედ) | 6:2, 6:3, 2:6, 7:6(6) |
| 2001 კუერტენი (ბრა)-კორეჩა (ესპ) | 6:7(3), 7:5, 6:2, 6:0 |
| 2002 ა. კოსტა (ესპ)-ფერერო (ესპ) | 6:1, 6:0, 4:6, 6:3 |
| 2003 ფერერო (ესპ)-ფერკერკი (ჰოლ) | 6:1, 6:3, 6:2 |
| 2004 გაუდიო (არგ)-კორია (არგ) | 0:6, 3:6, 6:4, 6:1, 8:6 |
| 2005 ნადალი (ესპ)-პუერტა (არგ) | 6:7(6), 6:3, 6:1, 7:5 |
| 2006 ნადალი (ესპ)-ფედერერი (შვეიც) | 1:6, 6:1, 6:4, 7:6(4) |
| 2007 ნადალი (ესპ)-ფედერერი (შვეიც) | 6:3, 4:6, 6:3, 6:4 |
| 2008 ნადალი (ესპ)-ფედერერი (შვეიც) | 6:1, 6:3, 6:0 |
| 2009 ფედერერი (შვეიც)-სიოდერლინგი (შვედ) | 6:1, 7:6(1), 6:4 |
| 2010 ნადალი (ესპ)-სიოდერლინგი (შვედ) | 6:4 6:2 6:4 |
| 2011 ნადალი (ესპ)-ფედერერი (შვეიც) | 7:5, 7:6(3), 5:7, 6:1 |
| 2012 ნადალი (ესპ)-ჯოკოვიჩი (სერ) | 6:4, 6:3, 2:6, 7:5 |

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* ***ირაკლი თავაძე***
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**